

საქართველოს წომი 2022

მასწავლებელი



მასწავლებელის
დღე



ძვირფასო მასწავლებლებო!
შურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ წარმოგიდგენთ

მასწავლებლის წიგნს:
„განმავითარებელი შეფასება სასწავლო პროცესში“



მასწავლებლის წიგნი

განმავითარებელი

შეფასება

სასწავლო

პროცესში

16



სამათებულო წლის 2022

მასწავლებელიმასწავლებელთა პროფესიული განვითარების
ეროვნული ცენტრის გამოცემა

პროფესიული უწერნალი
„მასწავლებელი“ გამოცემა იწოდება ერთხელ.

მთავარი რედაქტორი:

ნატო ინგორიშვა

რედაქტორები:

მანანა ბოჭორიშვილი,
ნანა მაჭავარიანი

სტილისტი:

ირმა ტაველიძე

დიზაინი:

ბესიკ დანელია

მხატვარი:

მამუკა ტყეშელშვილი

კორექტორი:

ქეთევან ნიკოლეშვილი

ნომერზე მუშაობდნენ:

იუნინა გურული,
ცოტნე ავსაჯანიშვილი,
მიშა ბახსიალიანი,
ფიქრია ყუშიტაშვილი,
ლევან ლორია, გური დავითლიძე,
ირმა კახურაშვილი,
გიორგი შერვაშიძე,
სოფო გოგალაძე, მარიამ კაშია

საკონტაქტო ინფორმაცია:

მასწავლებელთა პროფესიული
განვითარების ეროვნული ცენტრი.

მისამართი:

თბილისი, სანდრო ეულის ქ. 5,
ელ. ფოსტა: info@tpdc.ge

ურნალში გამოცემული ჰერიტაჟი:
FuturaBook Geo. ატორი: კასა ჭავჭავაძე.
ყველა უფლება ეკუთხნის ავტორს.

ურნალში გამოცემულ პუბლიკაციებში
გამოითხოვთ ზოგიერთი მოსაზრება,
შესაძლოა, არ ეთიმოდეს მასწავლებელთა
პროფესიული განვითარების ეროვნული
ცენტრისა და „მასწავლებლის“ რედაკციის
შემცირებულის. ცალკეულ სტატიაში
დასახელებული ფაქტების უტუკარობაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი.

იურია გურედი2 | საყვარელი
გირჩევის სისტემა**განორივითების**

28 | სომხები

ცოდნის ავსაკანიშვილი

6 | უაღესი ისტორია

იჩა კახურაშვილი33 | ჩატომის ან მოვალე
მიმო?**მიზა გახსოვიანი**

12 | მშვიდობისათვარი

გიორგი შარვაშიძე

38 | ჰაი, ფიზკულტურა

ფიქრის ყაზიშაშვილი

16 | აჩჩივანი

სოფო გოგალაძე43 | ღიღა მშვიდობის,
გაგობრებო ან
GUTEN MORGEN FREUNDE**დავა ღორია**

22 | პირველყოფილი

მარიამ კაშია

47 | ცოდნის ძლი



იუნონა გურული

საყვანელი გარმანელი სისუვა

„შენი საყვარელი გერმანული სიტყვა რა არის, რეჰპამ და რატომ?“ ესვამ დღევანდელი გაცვეთილის პირველ შეკითხვას და გუშინდელ სიჩმარზე ვფიქრობ, რომელმაც ყვირილით გამადვიძა და გარიურაჟიან ჭერს მოშტერებულს ამოვარდნილი გულისცემა მათვლევნა.

რეჰპამს უმთვარო დამესავით შავი, უმეტეს დროს ძირს დახ-რილი თვალები აქვს, თითქოს მშერის გაცვლის დროს საკუთარი თავის გაბრევ-გაფანტვის ეშინია. თუ გაგიმართლა და გაგილიმა, ვარსკვლავებსაც აგიციმულებს წამიერად, სანამ ისევ დაუშვებს ნერვიულად მოხამხამე ქუთუთოების ფარდას.

„Heimweh, ნოსტალგია“, მპასუხობს რეჰპამი, „იმიტომ, რომ ზუსტი თარგმანი სახლის ტკივილია. მე ვიცი, რას ნიშნავს ეს.“

რეჰპამი სირიდანაა. ის ომს გამოიეცა. ოჯახის 5 წევრიდან საკუთარი თავიღა დარჩა.

„და შენი, ანუე?“, ვცდილობ, ხმაში გაჩერნილი ბზარი ფურც-ლების შრიალით გადავფარო. სიჩმრის ნარჩენები თითქოს სასაჩე მაქვს აკრული და სუნთქვაში მიშლის ხელს.

ანუეი პასუხის გაცემის ნაცვლად, რა თქმა უნდა, მიბლვერს. ის ყველას უბრავერს და თუ არ ჩხუბობს, დუმს. წარბებქვემოდან მათვალიერებს მტრული მზერით. ვხედავ, როგორ უხტის მარცხენა მუხლი მაგიდის ქვემოთ. მუშტად შეკრულ ხელებსაც ვრედავ მაჯაჩე ახლადშეხორცებული ჭრილობებით.

„Rachsüchtig, შურისძიების წყურვილზე დამოკიდებული“, მპასუხობს მოულოდნელად, „ავხსნა, მასწ, რატომ?“ დანის წვერივით მობჯენილ თვალებში არაბავშეური ირონია ეღვრება.

ანუეი პოლონელია. ის ლოთ და მოძალად მამას გამოიეცა დედასთან ერთად, რომელსაც წასვლა არ უნდოდა, სანამ 12 წლის

შვილმა ვენები არ გადაიხსნა მის თვალწინ.

ვდგები და ფანჯარას ვაღებ. ყლუპი ჰაერი აღარაა ოთახში. სამაგიეროდ ამზებია იმდენი და ისეთი, სიკვდილივით ვერსად გაექცევი.



„მოიცა, ამდენი უცხოელი გყავს კლასში? გერმანიაც წალევეს, ხო, მაგ უფიშოებმა?“, ბოლო სიტყვა, რა თქმა უნდა, არავროპელ და არამერიკელ, მისივე თქმით, „მურთხ“ უცხოელებს ქეხბათ.

„კარგი, რა, ნოდარ“, გამზირდელი ბიძის აღზრდაზე კარგა ხანია ხელი ავიდე, მაგრამ სანდახან ისე მიშლის ნერვებს, ლამის ტელეფონი შევალეწო კედელს, „ისედაც ცუდ ხასიათზე ვარ.“

„მოხდა რამე?“, წამში ისეთი ხმა უხდება, ისევ ხუთი წლის ანგი-ნიანი გოგო მგონია თავი.

„არაფერი. უბრალოდ ჩემი ნერვული სისტემა არაა მგონი მას-წავლებლობისთვის სარგისი.“

„ჰოდა, წამოდი უკან!“, საზეიმოდ, ლამის ყიუინით დასჭექა, „ისედაც დროა, ოჯახის შექმნაზე იჯიქრო და სხვისი შვილების გაჩ-რდას არ გადაჰყვევ! საკუთარი არ გინდა? ათასჯერ მითქვამს, ქალს თავისი ვალი აქვს ქვეყნის და ერის წინაშე მოსახდელი.“

ღმერთო! ახლა ამ „პლასტინკას“ ჩართავს და აღარ გამორთავს. უსიტყვოდ ვთიშავ ტელეფონს. ხვალ შემოვირიგებ. დღეს ამის თავი არ მაქვს.



„ტამინა, შენ რას გვეტყვი, რომელი სიტყვა მოგწონს ყველაზე მეტად?“

ტამინას ჭრელი თვალები აქვს, წინწელებიანი ზღვის კენჭები-ვით, რომლებიც ხშირად სველდებან. მჭიდროდ გაურული, მუქი ფერის თავსაბურავიდან თმის დერიც კი არ უჩანს. რატომძაც მგონია, რომ დატაბლული, რბილი, მშზინავი თმა აქვს, რომელიც მხრებიე ეფინება სახლში მისვლისთანავე. სიზმარშიც ასე თმაგაშ-ლილი ვნახე.

„Entscheidungsfreiheit. გადაწყვეტილების მიღების თავისუფ-ლება“, მპასუხობს წერიალა ხმით, თითქმის უაქცენტოდ, და ისე მიღმის, გეგონება, ცხოვრება ერთხელაც ვერ ატკინა ვული.

ტამინა ავდანეთიდანაა. სამშობლოდან იმ რეუიმს გამოექცა, გოგონებისთვის რომ სჯის. ის ყველაზე უმტროსია თავის 7 და-ძმას შორის და პირველი, ვინც სკოლაში წავიდა.

„და შენი, როშან?“ ვეკითხები შემდეგს და სუნთქვას ვიკავებ, რომ ღრიალი არ დავიწყო.

როშანი არავის უყურებს თვალებში. არასდროს. შემთხვე-ვით თუ დაიჭერ ხმაურისგან დამფრთხალი ხვლივით გაქცეულ მზერას. აკურატულად დავარცხნილი, შავი, ლაპლაპა თმა აქვს. არ ძიგილაობს, არ ჩხუბობს, არ თამაშობს. ჩემზე გაწვრიალებულ-და-უთოებული ტანსაცმელი აცვია დღის ბოლოსაც კი.

„Berührungsangst. შეხების შიში“, ისე ხმადაბლა მპასუხობს, უფრო გვედები, ვიდრე მესმის სიტყვა.

„ახლავე მოგალ, სასწრაფო დასარეკი მაქვს. ბოდიშს გიხდით“, ვამბობ ხრიალით და თაგბირისმტკრევით ვტოვებ კლასს.

როშანი ინდოელია. მისი ოჯახი ხელშეუხებელთა კასტიდანაა. ის იმ საზოგადოებას გამოექცა, რომელსაც მხოლოდ ექსკრემენტები და ნაგავი ემტება მისნაირებისთვის. „დედაჩემი ყველაზე ლამაზი ქალია. როგორ შეიძლება სილამაზე ხელშეუხებელი იყოს?“, მკითხა მან ერთხელ და მე არ ვიცოდი, რა მეპასუხა.



„საშინელი სიზმარი ვნახე გუშინ. ვითომ კლასში ვიდექი და გავკეთილს ვატარებდი, უცბად მიწისძრა დააწყო და ბავშვებთან ერთად ჩავიმარხე უზარმაზარი ლოდების ქვეშ“, წყლის მაგივრად ქეთოს ვუყვები სიზმარს, „ნეტა, რას უნდა ნიშნავდეს?“

„დაიცა, გადმოვიდებ ახლა ეფრემ ვერდის“, ისე იცინის, ლამის სასა უჩანს სკააპში.

„ნეტა, შენ როდესმე დასერიოზულდებოდე...“

„მე მეუბნები მაგას? ამხელა ვალდორფი ქალი გდითარ შუაგულ ევროპაში და სიზმრების ახსას მთხოვ“, ამან ერთი თუ დაიწყო სიცილი, ხო ვეღარ ჩერდება.

„ვალდორფი კი არა, სერიოზულად ვფიქრობ რამე სხვა სამსახუ-რის მოძებნას.“

„ხო არ გააფრინე? ესაა, ძლიერს ვიპოვე ჩემი მოწოდება და ეს ბავშვები შვილებივთ მიყვარს? დაიცა, მოხდა რამე?“ სიცილი წაში მოსხიპა და სათვალე დაკოსებული დაკვირვებით მათვალი-ერებს.

„მოხდენით არაფრერი, უბრალოდ, ძალიან ვითორგუნები ხანდა-სან. დღეს თემად გვქონდა „ჩემი საყვარელი სიტყვა“ და ისეთები თქვეს, სიზმარივით ჩავქვესკნელდი“

„Steuererklärung-ს ეგენი არ გეტყოდნენ და სხვა რაზე უნდა ჩაქვესკნელდე გერმანიაში.“

არარა, ამის გამოსწორება არ იქნება.



„შენი ჯერია, აჟმად“, უნებლიერ ხვნეშით ამოვიყითხე სახელი. მგონი, ესეც იყო სიზმარში, არა?

აპმადი სხვებზე 2-3 წლით პატარა გეგონება, ოთაში შემოფრე-ნილი ჩიტი, რომელიც კედლებს აწყდება და გასასვლელის ძებნაში ფრთებს იღეწავს. გამხდარია, ლამის მსხვრევადი. მუდმივად აწუ-რული მხრებიდან მყიფე ქვები აქვს ამოჩრილი. წერის დროს თავს ხრის და წვრილ, უმწეო კისერს აშიშვლებს.

„Vorgeschmack“, ამზობს ის, „წინასწარი გემო ყველაზე გემრი-ელი სიტყვაა.“

აპმადი იემენიდანაა. ის შიშილს გამოექცა. მისი ოჯახის ყველა წევრი მასავით გამხდარია.

„ცო, მეც მიყვარს ეგ სიტყვა“, ვამბობ მე და არ ვყვები ჩემი შიში-ლის ამბებს. სანამ სიაში შემდეგ გვარს ვეძებ, წყალს არგატანებული სიზმრის ჩარეცხვას ვცდილობ გაცივებული, უშაქრო ყავით.

„და შენი სიტყვა, სალიმ?“

სალიმი გუდიაშვილის დახატულ აბესალომშ ჰეგას, უფრო სწორად, მის ბავშვობას. ნუმის ფორმის თვალები, ნატიფი ნაკვთები, თხელი ტანი. ფართო, დაუშურებელ ლიმილს მაგებებს, როგორც ყოველთვის, როცა მივმართავ.

„Grenzenlosigkeit – უსაზღვროება“, ამზობს ის ოდნავ ჩახ-ლეჩილი ხმით, „დღეს ცუდ ხასიათზე ხართ, მასწ? საერთოდ არ იღიმით.“

თავს ვაქნევ ერთმანეთზე მსხვრევამდე მიჭერილი კბილებით და თითქოს სიზმრის ლოდებქვეშ მოქცეული, ზარის დარეკვას ვნატრიობ.

სალიმი პალესტინელია, ღაზია სექტორიდან. მისი გამოყვანა როგორლაც მოახერხეს, დანარჩენი იჯახის წევრები დარჩენენ. შორეულ ნათესავებთან ცხოვრობს უკვე ცხრა თვეა და ყველაზე მეტად დედის გამომცხვარი კუნაფა ენატრება.



„წამო, ხვალ კინოში წავიდეთ. იმ ვიღაც კორეელის თუ ჩინელის ახალი ფილმი გადის, შენ რო გევასება.“

„იმ ვიღაც კორეელის თუ ჩინელის...“, გალიზიანებას მწულარტე გემო აქვს, ჩემს კოლეგა ანას კი ყველაფრისადმი ზერელე დამოკი-დებულება. ვერ გვედები, ამას საერთოდ რა უნდა სკოლაში.

„არ მცალია“, ცივად ვიშორებ თავიდან, „ექსკურსიას ვაწყობ კლასთან ერთად.“

„ნეტა, შენ, მოგცლია. დამატებით მაინც გიხდიდნენ რამეს. არ გებარება ხოლო ეს ღონისძიებები და მაგათი უფასოდ დევნა?“ უპაუზიოდ ქაქანებს და ქოქოლას მაყრის.

„არა“, გალიზიანების მატებასთან ერთად მოკლდება პასუხები.

„აბა, მე რა მჭირს. შენზე ბევრად უმცროსი ვარ და ყველაფრი მეზარება“, ყალბად ოხრავს ტელეფონში.

შეწებევრად უმცროსს შეწებევრად ლამაზი და ჭკვიანი რომ არ დაამატა, მიკვირს. არაფრისმომცემი დაალოგის დასრულებას უზრდელური დუმილით ვცდილობ და რაღაც დროის შემდეგ, მადლობა ღმერთს, ხვდება, რომ უნდა დამეშვიდობოს და უკმაყოფილო ფრუტუნით ტელეფონი გათიშოს.

სანდახან როგორ მინდება ხოლმე სადმე, უკაცრიელ კუნძულზე გაქცევა.



„შენ რომელი სიტყვა გიყვარს, ელენე“, ვეკითხები ჩემს ერთა-დერთ ქართველ მოსწავლეს.

ტუჩებს იკვნეს ნერვიულად. ყველაზე ახალია კლასში და ენაც ცუდად იცის. დაბალ ნიშნებზე ტირილს ვერ გადავაჩვიე ჯერ. იქ საუკეთესო ვიყავი და აქ ყველაზე სუსტი ვარო, შემომჩივლა ამას წინათ დარღიანი ამოხვნეშით.

„სამაჩაბლო“, მპასუხობს ბოლოს მოკლედ, ყოველგვარი ახსნის გარეშე, და ფანჯარაში იყურება, რომლიდანც აყვავებული ალუბ-ლის ხე მოჩანს.

დუდუნის ტალღა უვლის კლასს. ქხედავ, მოწაფეების ნაწილი როგორ რგაეს თავს მობილურში სიტყვის დასაგუგლად, სანამ ანგონი, დილისცისფერთვალება, მწიფე თავთავისფერთმიანი გერმანელი, ხმამალღა აპროტესტებს:

„ქს რა სიტყვაა საერთოდ! იგონებს რაღაცას!“

„არ ვიგონებ. სამაჩაბლო ჩემი სახლია“, იმეორებს ელენე ჯი-უტად და თვალები ცრემლით ევსება.

მადლობა ღმერთს, ზარმა დარეკა. ელენეს დარჩენას ვთხოვ, სანამ სხვები ურიამულით კარს აწყდებიან.

„ძალიან პატარა არ იყავი, როცა წამოხვედი?“, ვეკითხები თავ-დახრილს და თვალებდაწითლებულს.

„კი, მაგრამ მახსოვს. ჩემი ოთახის ცისფერი კედლები. ფანჯ-რიდან დანახული ეზო. ბომბორა მახსოვს, ჩვენი ძალი. ჭიშკრის ჭრიალიც...“, ისევ სრუტუნებს.

„რა უცანურია. ჩემს ოთახსაც ცისფერი კედლები ჰქონდა აფხაზეთში...“, ვამბობ ლამის ჩურჩულით და ახლა მე გავყურებ აყვავებულ ალუბლის ხეს.

დამშვიდობებისას დიდხანს მეხუტება. მისი სხეულიდან ჩემში გადმოღვრილი სითბო მახსენებს, რატომ მინდოდა მასწავლებლობა, გულისფიცარზე ცუჩების მოძრაობით დაწერილი „მადლობა“ კი, გუშინდელი სიზმრის ჩათვლით, ყველა დარდსა და ტკივილს მავიწყებს.



„საინფორმაციო ვამოშვებას სამწუხარო ამბით ვასრულებთ. დღეს, შუადღის 2 საათზე, ბერლინის ერთ-ერთ ცენტ-რალურ სკვერში შევარდა სატვირთო მანქანა. პირველადი ცნობებით დაიღუპა ექსკურსიაზე მყოფი მეშვიდე კლასის რამდენიმე მოსწავლე და მათი მასწავლებელი. არიან დაშავებულები. ჯერ-ჯერობით უცნობია, იყო თუ არა მძღოლი ნარკოტიკული ან ალკოჰოლური თრობის ქვეშ. პოლიციის

განცხადებით, არ არის გამორიცხული, მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მიენიჭოს.

მძღოლი დაცავებულია, ძიება დაწყებული.



დღეს გავვეთილი არ გვაქვს.

დღეს მე და ჩემი ბავშვები სახლში ვბრუნდებით.





ცოდნებისა და უსაკანონობრივობის

უკანასი ისტორია

მტკვარში თბილისელები ბანანა თევზებს ჰგვანან, რომლებსაც ოცნება მოუწამდეს და სიცოცხლის ბოლო წამებს დამძიმებულები გულაღმა ატარებენ, სახით შჩისკენ. მტკვარი ყველაზე დიდი სერიული მკოლელია დედაქალაქის ისტორიაში და თუ ოდესმე არსებობას შეწყვეტს, მოწამლული ბანანა თევზებიც მეტ დროს მი-იღებენ ფიქრისთვის. აქ ყველა მოწამლული ბანანა თევზი მტკვარს აბარებს საკუთარ სიცოცხლეს. არც ღმერთს და არც მის ბოროტ, წი-თელ კონკურენტს. მტკვარი უზენაესი ქურუმია, რომელიც სულებს ატყვევებს და მინგეჩაურში აბაშის. სწორედ ამიტომ, არავის უნდა გავიკრებოდა მტკვარზე მკვდრის პოვნა, ის მკვდარი თვითმკვლე-ლი რომ ყოფილიყო. მაგრამ არ იყო თვითმკვლელი. თვითმკვლელები ზურგში დანებს ვერ ირტყამენ. მით უმეტეს თორმეტჯერ. ეგეც რომ არ იყოს, ჩვენი მტკვარი ქლიავი მტკვარია. არავის მოუნდება მასთან სამუდამოდ თანაცხოვრება. მტკვარი სულაც არ არის ერთი. მტკვარი ორია, ქლიავი და ის, რომელსაც ტურისტებს ანახებენ. ლაპატი ხიდები მხოლოდ იმ მტკვარს აქვს, რომელსაც ტურისტებს ანახებენ. მოწამლულ ბანანა თევზებს ქლიავ მტკვართან ვერ ნახავთ.



მაისი იყო და იმიტომაა მზე. ეს სურათი გადაღებულია ათას ცხრას ოთხმოცდამეტ წელს. ნახე, ყველაფერი წითელია. მზე ხო წითელია და წითელია, იმის ლურჯი კაბაც წითელია და ყველას თვალებიც წითელია, არადა, არც ერთს არ ჰქონდა მაშინ წითე-ლი თვალები. ნეტა, რა ერქვა მაგ ფოტოაპარატს, ყველაფერს რომ აწითლებდა. ყველაზე კომუნისტური ფოტოაპარატი იყო,

ყველაზე არაკომუნისტურ დროში. მაგით მგონი, არც მთლად და-რიბები იღებდნენ და მდიდრებს ხო საერთოდ ფეხებზე ეკიდათ, იმიტო, რომ არც შავთეთრი გამოლიოდა და არც ფერადის თავი ჰქონდა. მგონი, ჯერ მეტრო არ იყო გათხრილი ჩვენს უბანში. ჯერ მხოლოდ ფირმა მეტრობი არსებობდა. შეიძლება ვცდები კიდეც, ზუსტად არ მახსოვს, მაგრამ თუ იყო, ხო კაი და თუ არ იყო, ესე იგი მართალი ვარ. ახლა რომ დგანან ხოლმე ტბისკორ-პუსელი ბიჭები და მეტროს წინ სიგარეტს ეწევიან, ან ბავშვები რომ ურეკავენ ერთმანეთს, გამოიდი, მეტროსთან შევხდეთო, ეგ ამბავი მკვდარი იყო მაშინ. ან არც იყო მკვდარი და მე არ მახსოვს სწორად. ეგრეც რო იყოს, მაგათ ფეხებზე ეკიდათ მეტრო. ცენტ-რში მარტო ტრამვაით მიდიოდნენ, ან ტროლეიბუსით. ტაქსით არავინ გადიოდა. ისე, ჩვენ საერთოდაც არ გავდიოდით ცენტრ-ში. ეს, მარცხნივ რომ დგას, კლეჩატი საროჩკით, რომა გაგუაა. გვერდით ლამაზი გოგო რომ უდგას, ნახე როგორ იცინის, ყველა კბილი თავის ადგილზე აქვს... არც დიდი კბილებია და არც პატა-რა, თან თეთრი... მაშინ სიგარეტს არ ეწეოდა ევა სილაგაძე. ის ორნი, ერთი რომ ჯონ უეინს ჰერი, მები არიან. სოლოლაშვილები. გაგუა, ევა სილაგაძე და უმცროსი სოლოლაშვილი, სანდრო, ერთ კლასში სწავლობდნენ. ახლაც მახსოვს, ნაირა კალანდა-რიშვილის სადამრიგებლო, მეორე სართულზე, სამასწავლებლო-დან მესამე კლასი, ყავისფერი კარი, მერე გაგუამ რო ჩამოილო... ფოტოზე მეოთხე, ვანო სოლოლაშვილი ორი კლასით იყო წინ. ჯონ უეინს პატარა ჰერი, ეგ არა. ეხლა რომ უყურებ, დაჭიმულ სიფათზე და შავ როლინგზე საერთოდ არ ეტყობა, მაგრამ სკოლა კინაღამ ფრიადზე დაამთავრა. მარტო ფიზიკაში გამოაყოლეს სამიანი. ოთხიანიც შეეძლო, მაგრამ მასწავლებელს უთხრა დე-

ცოშნის ავსაკანიშვილი

ბილი მამაშენიაო და იმან არ აპატია. მერე ისტორიული თუ რა-ლაცა გახდა. ომები და სროლა იტაცებდა. სამჯერ ჰქონდა ნანაზი შესანიშნავი შეიცელები. დანარჩენებმა ვერ მოახერხეს ეგეთები. აი, რომა გაგუას სულ ქურდობა უნდოდა და მგონი რაღაც მსგავ-სი გახდა, მაგრამ მთლად ეგეთიც ვერა. უბანს ვუყურებო იძახდა და ჩვენ სულ გვიცვირდა, ეგ რა პროფესია, ეგრე ხო ჩვენც ვუყურებთო. მერე ეგ ბრაზდებოდა, მე სხვანაირად ვუყურებო და ჩვენ ვეუბნებოდით, სხვანაირად რა, ნაშაა თუ პასტაიანკაო. გულჩილი იყო რომა გაგუა და მაგიტომ დავრჩით ცოცხლები. ამიტომ მიყვარს გულჩილობა. სიცოცხლეს რაც გინარჩუნებს, ყველაფერი გიყვარდება. აი, მამიდაჩემს ინსულინი უყვარს. მერე ქორწილი უნდა გადავუხადო. მაგარი იქნება, ეგ და ინსულინი რო არიან საკურთხეველთან. მამიდაჩემს აცვია თეთრი კაბა, ინსულინის შპრიცი კი გახვეულია შავ ნიჭხავში. მოკლედ იმას შეხედე, უმცროს სოლოდაშვილს, თვალებით ყლაპავს ევას.

რაღაც ისე ვერაა. არა? მე მასწავლი მაგას? მე ყველაფერი ვიცი, შენ უნდა მიხვდე. ვიცი, რომ გტივია. ალბათ გამოგიცდია და თუ არ გამოგიცდია, მაშინ ძმაკაცებიც ჩამოიშორე და გოგონებიც. ოდნავ რო გაიზრდები, მერე მაინც მეგობრებს დაუძახებ და ბავ-შვის ნათლობის მერე, შეგიძლია ალარც ნახო. რა არის ცხოვრება ტკიფილების გარეშე? რა არის და უკეთესი ცხოვრება. რამე პოეტურს ელოდი? მე მგონია, რომ საერთოდ არ ვგავარ ფედე-რიცვ გარსია ლორკას. ისე, ცხოვრებაში ყველაზე დიდი ტკი-ვილი სწორედ ეგა, უმცროსი სოლოდაშვილი ევას თვალებით რომ ყლაპავს, იმიტომ, რომ რომა გაგუას ევასთვის ხელი აქვს გადახვეული ისე, როგორც ქმები დებს არ ხვევნენ. არ შეიძლება ძმაკაცებს რომ ერთი გოგო უყვართ. ეგეთ ძმაკაცობას სინამდ-ვილეში ჰქვია - ჰქი, ძმაო, იქით წადი, სამოთხე დაგხვდება... შენც გვევრა, რომ შეინ ძმაა, მართლა სამოთხეში გაგზავნის, მაგრამ მიხვალ და იქ ეშმაკები დაგხვდებიან. ძმაკაცები ერთმანეთს არ უტყდებიან საერთო სიყვარულში, მაგრამ ორივე ყოველთვის ყველაფერს ხვდება. ან ერთი ასწრებს თქმას და მეორეს თავის ქნევა უწევს, გამწარებულს, შეურაცხყოფილს... ისინი ისევ ერთად არიან. ისევ ერთად უყურებენ ეროტიკულ ფილმებს, ერთად სვამერ თბილისის ზღვიზე და ერთად იღებნ ფოტოებს განგსტერების მზერით. პატარები არიან, მიამიტები... და ამიტომ კვლავაც სულელებივთ სჯერათ, რომ გვერდით ძმა უდგათ.

არადა, საშინელებაა კონკურენტი ძმაკაცი. ასე ახლოს არასდ-როს გყავს მტერი. რაციონალური მტერი კი არა, ბოროტი მტერი, უბრალოდ რომ ეზიზლები და მორჩია. ახლა არ თქვა, მაშინ არც არასდროს გყვარებიაო. ძალინაც გყვარებია, მაგრამ სისულე-ლეა იდეალები, რომლებიც გაბოლებენ. ვერც ერთ ძმაკაცს ვერ შეიყვარებ ქალზე მეტად. ეგ მასკულინური ზღაპრები მღვდლებს მოუყევი. როცა დრო დგება, მოყვასი კი არა, მარტო ევა სილაგა-ძე გიყვარს. უფროსმა სოლოდაშვილმა იცოდა, რომ უმცროსს ევა. ისიც იცოდა, რომ გაგუასაც ევა. ისიც იცოდა, რომ ევას გაგუა უმცროს სოლოდაშვილზე ძლიერად, ლამაზად და საყვარლად... მოკლედ, უფროს სოლოდაშვილს ძალიან ეცოდებოდა დედმამიშ-ვილი და ძალიან უნდოდა, რომ გაგუა... მაგრამ მერე გაიზარდენ და კიდევ ხდებოდა მათ ცხოვრებაში უცნაურობები.



ფილარმონიაში არა, მაგრამ რომელიდაც სახელოვან დარბაზში განათლების სამინისტრო ატარებდა რეპერების კონკურსს. ოღონდ ნამდილების არა. ცოლებში ჩამოიარეს და ვინმე ბავშვს თუ ემინემი მოსწონდა, მანდ წაიყვანეს, წამოდით, გარეპერო. საპატიო სტუმრები და უორი ბრუკლინიდან იყვნენ ვერ იტყვი, მაგრამ ყველა ბებერი ქუთასილი და კიდევ დედაქალაქს გარეუბნის რეპ-ლეგენდა ნამდ-ვილად მანდ იყო. კარგ ჰონორარს გამოდიოდა სამინისტრო. იცოდა მინისტრის მოადგილემ, ლეგენდებს რომ ფული არ აქვთ. ნაცონა-ლური ჰიპ-ჰობის ფუქემდებელი, „თეთრი მეფე“ სვამდა ბორჯომის და აყოლებდა რძიან შოკოლადს. განათლების სამინისტრო ჰირზე არ იყო, რა უყვარდათ რეპერ სტუმრებს. თუმცა ისც სათქმელია, რომ სახელმწიფო სახსრებით ჰლანს მანც ვერ იყიდდნენ და თუ ჰლანი არ არიან, რეპერის თვის ბორჯომი და კონიაცი ერთნაირად მისრიალებს. ჩვენს სკოლას წარმოადგენდა ნიკუშა გაგუა. ნიჭირი ბავშვი იყო, გრძელი, წითელი კალათბურთის ფორმით. თავზე ლამბი იასამინის-ფერი ბენდენა ჰქონდა წაურული. ქერა თმა ჰქონდა და მაგრად ჰგავ-და ნარუტო უზუმავის. კალათბურთის ფორმა არც ერთი გუნდის არ იყო. მარტო რვანიმერი და „ბაკეტბოლ“ ეწერა. ძონძებში უყიდა ევამ. ნიკუშას სკოლიდან საბალეშივოდ უფროსი სოლოდაშვილი წაჲყენ. მამამისის ბავშვობის ძმაცაცი. უფრო სწორედ, მამამისის ბავშ-ვობის ძმაცაცის უფროსი ძმა. სცენაზე მაგრად რეპავდნენ ცოტა უზრ-დელი ბავშვები. ცოტა უზრდელი თუ არ ხარ, ვერ გაერპავ. მანდ რით-მაში გვთაყვა, გთხოვ და მაპატიე, არ გადის. ცოტა სისუსტეს გამოიჩინ და მორჩია, რეპერი კი არა ტერენტი გრანელი ხარ, ოღონდ უნიჭი. ნიკუშამ უნდა მოიგოს, ფიქრობდა უფროსი სოლოდაშვილი. ნიკუშა კი მღეროდა, რომ კარგია, როცა ბევრი საქმე და ცოტა დრო გაქს, რადგან სანამ მოვდები, ბოლოსწინა მომენტში, ძალიან საცხე ხარ სიამაყით და საერთოდ არ გეთქმის მსუქანი. სხვები რას მღეროდნენ, არ მახსოვს. ისე, მანდ მთავარი ისაა, რას იტყვი, მუსიკა და ეგნი სულ ფეხზე კიდიათ. სიტყვები უნდა მოახველოო პრიმიტიულ გულებს. აკადემიკების ეგეთი სიტყვები არ აინტერესებთ. ბიზნესმენებს მით უმეტეს. აქ ხომ ლაპარაცი სულ იმჩენა, როგორ უჭირთ, როგორ არ აცდიან ცხოვრებას და ისკრიან ფანჯრებიდან იდიოტები, რომლებიც ესვრიან უფრო იდიოტებს, რომლებმაც შენობებში შესვლა ვერ მოას-წრეს და ეს ორივე იდიოტი, როგორ აფიწროებენ სუსტ იდიოტებს. ვის რაში აინტერესებს, რაზე ფიქრობრ პერიფერიის უკამაყოფილო თანეგვერები?... დარბაზი კი იყო საცხე და ყველა იქნევდა ხელებს. ზოგს ორი თითი ჰქონდა ცქონდა ცაში აწეული. ჯერ არ იყო შექმნილი პარტია „ლელო“. ამიტომ არც ორთითიან აუდიტორიას ეთქომიდა პარტიული აქტივი. ბოლოს უზურიმ თქვა, ნიკუშამ ვერ მოიგოო. უფრო სწორად, თქვა, რომ სხვამოიგო და ეგ იმას ნიშნავდა, რომ ნიკუშამ ვერ მოიგო. ისე, ნიკუშასაც მისცეს პრიზი. ათი ბოთლი ბელგიური ლუდი. არადა, სკოლის მოსწავლე იყო. კონკურსსაც განათლების სამინისტრო ატა-რებდა. არაოფიციალური იყო ეგ პრიზი, თორემ ყველას დაიჭირდ-ნენ. ლეგენდარულმა რეპერმა, უზრის წევრმა, „მადინა სერჯომი“ თავისი ფულით გაუმისა ეგ პრიზი ნიკუშას. იმიტო, რო გაუტყდა, ამას როგორ არ მოვაგებინეთო. ეგ სხვებზე ოდნავ გემოგნებიანი ჩანდა. ისე, საერთოდ არსებობენ გემოვნებიანი რეპერები? მე მანც მჭირია,



- რა იძოვე? – ივითხა უმცროსმა სოლოლაშვილმა

– ხელფასი ჩამერიცხა. – უპასუსა უფროსმა სოლოლაშვილმა.

– რა შევუკვეთო?

– რაც გინდა.

– დაუკ?

– კაი, წუ გაახურე რა.

– რა ხდება სკოლაში?

– რა უნდა ხდებოდეს სკოლაში...

– როგორ სწავლობს ჩვენი გაგუა?

– მერას მეკითხები, არ იცა?

– საიდან უნდა ვიცოდე?

– დედამისი გეტყოდა.

– მე და დედამისი პრიჩომ.

– საცემი კაცი ხარ!

– რეებს მიედ-მოედები, ძმაოჩემო?

– შეეშვა!

– ვის შევეშვა?

– ბებიაშენს.

– შენ ვინ გეკითხება?

– მეკითხება.

– რა იყო, შენც გევასებოდა, ვერ ამზობდი და ახლა მოგინდა? – იცინოდა უმცროსი სოლოლაშვილი.

– გაბტჩრებულია. ბავშვს დასცინიან წიომნად და სანამ ხმამაღლა უქნიათ, შეეშვი.

– შენ არ იყავი, რო მეუბნებოდი, მიდი მიაწექიო?

– ხო, თხუთმეტი წლის რო იყავი.

– შენ ჩემი ძმა ხარ თუ გაგუას ბავშვის?

– არ მოსულა ეგრე!

– ბავშობაში ჩემვენ იყავი, ახლა იმას იცავ, ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია ხარ?

– მოსწავლეა ჩემი და ეგეც რო არ იყოს, არ ხარ სწორი.

– მოკლედ, არავინ გეკითხება შენ...

– კაროჩე, ან შენით მოშორდები, ან დაგბრიდავ, ან რომასთან მივალ ციხეში, ჩავაყენებ საქმის კურსში და ის გადაგიწყვეტი.

– შენ ვისი დამბრედი ხარ, უჩიწელ? რომას კიდე არ ეტყვი, არც ეგრე გაწირავ ამდენ ხალხს. რომას რო უთხრა, ეგ მარტო მე კი არა, ევასაც გაზრიალიჩებს და არ გაწყობს შენ. მოსწავლეს ხო არ დაათბ.

ლებ? ერთი შშობელი მკვდარი, მეორე პაუიზნენის როგორ... არა, ვერ იჩამ. ხოდა, ნუ ხტუნაობ ტყუილად.

– ვიზბან ბიჭო, ვიზბან. ახლა რაც ხდება, მაგას ყველაფერი სკორბს. თან იმას ისე ვეტყვი, რო ევა არ გაიჭრლიტოს, მარტო შენ მოგდგება რომა გაგუა და ურჩიე მერე საქმეები. არც გაგირჩევს.

—მერე ვანო? უმცროს ძმას წირავ? არ გრცხვენია? —იცინოდა უმცროსი სოლლობაშვილი.

— მაგარი ახვარი ხარ.

— რატო? სიყვარული მურტალია, ძმაო.

— ბავშვს ცხოვრებას ნუ უნგრევთ! — ხმას აუწია უფროსმა

სოლოლაშვილმა.

– შენ შენ ცხოვრებას მიხედე. მე ჩემსას მივხედავ და ბავშვი კიდე
თაგოს პონტში იზამს რატეს.

— კაროჩი, მე ჩემი გითხარი!

— ხოდა, მევ გითხარი, დავაი ახლა

— ԱՐԱ, ՍԱՆԾՈՐԴՈՅ, ԱՐԱ, ԹԵՇՈՅԴԻՐՈՂ,

— ۳۵۰ —



ცოცხა ავსაკანიშვილი

იცის, რა არის ნამდვილი სიყვარული, მაგრამ ეგრე უნდა და მორჩა. ჰეთინა, რომ ეგა სიყვარული. იქნებ იცის კიდეც. მე არაფერს ვამტკაცებ, უბრალოდ კარგად მასხსოვს, როგორი ბიჭიც იყო რომა გაგუა. მოკლედ, არ ვიცი, მე ისევ უმცროს სოლოლაშვილზე მეფიქრება, რომელსაც სახეზე მარტო ის აწერია, რა ჯანდაბად მიმიყვანა დედაქემია გიტარჩეო. ორი წელი ატარეს გიტარჩე. მგონი კუპონები რომ იყო მაშინ. ადრე უხაროდა ხოლმე, გიტარჩე დაკვრა რომ იცოდა. ნანა შელეგიას აგარაკის ეზოში კი, სიმოვრებით გადააკეთებდა გიტარას ავტომატად. გიტარჩე დაკვრა რომ არ სკოდნოდა, ამისაშინელ დღეს თავს დააღწევდა უმცროსი სოლოლაშვილი. რომა გაგუამ კი კარგად იცოდა, რომ ასეთ დრამატულ, რომანტიკულ ამბებს ძალიან უხდება ქართული რომანსები. უმცროსი სოლოლაშვილი მღეროდა, ნეტავ ფრინველად მაქცია, შენკენ გამოვყენ ნიაქსა, ბავშვივით მოგვეფერებით... ასეთი გულწრფელი არასდროს ყოფილა სანდრო სოლოლაშვილი. ასეთი მატყუარაც არასდროს ყოფილა. ვის ატყუებდი სანდრო? თითქოს რომა გაგუას სიტყვებს მღეროდა. რომა გაგუას სიტყვები თუ იყო, ცრემლებს რატომ ყლაპავდი? ძალიან სევდიანი ამხავი ხდებოდა შელეგიების აგარაკის ეზოში. სამყაროს ყველაზე დიდი ბრძოლა ბორჯომში მიმდინარეობდა. ამხელა სიმართლე და ამხელა ტყუილი ერთ მთლიანობად აქამდე არასდროს არავის ენაბა სამყაროში. ევა სილაგაძე ტიროდა და სოლოლაშვილის თითქბს უყურებდა. თითქოს საერთოდ არ აინტერესებდა რომა გაგუა. უმცროს სოლოლაშვილს სძულდა ის ფატი, რომ დაიბად, გაიბარდა და ევა სილაგაძე შეუყვარდა. საერთოდ სძულდა ის, რომ კაცებს და ქალებს ერთმანეთი აინტერესებთ ხოლმე. იმ დღეს, ბორჯომში, შელეგიების აგარაკზე რომა გაგუამ ევა სილაგაძე დანიშნა. მაშინ პირველ კურსზე იყვნენ. უფრო სწორად პირველ კურსზე იყვნენ ევა და უმცროსი სოლოლაშვილი. რომა გაგუა სულ სხვანარად უყურებდა ცხოვრებას. იმ დღეს, ბორჯომში, შელეგიების აგარაკზე რომა გაგუა სილაგაძე დანიშნა. მაშინ პირველ კურსზე იყვნენ. უფრო სწორად პირველ კურსზე იყვნენ ევა და უმცროსი სოლოლაშვილმა შურისძიება გადაწყვიტა. ამ შურისძიებზე ვერავის ხათრით ვერ იტყოდა უარს.



მე მგონია, რომ ისტორიის მასწავლებლები იშვიათად ეწევიან სკოლის ტერიტორიაზე. განსაკუთრებით სკოლის ტუალეტის გაყვითლებულ ფარჯარასთან, რომელთანაც ხშირად იყრიბებიან ყველაზე დაუმორჩილებელი თინერჯერები საკლასო ოთახების ბოლო მერხებიდან. დაუმორჩილებელი უფროს სკლასელები ისედაც ეტანებიან ტუალეტის ფარჯარასთან ბირვების ჩუმ გადაწოდებას და მასწავლებლებმა, სასწავლო ნაწილმა და დირექტორმაც, ხშირად უნდა შეხედონ შიგნით, რომ იმსხვი ილაპარაკონ, რომ მოწევა კლავს, მოწევა იწვევს კანის ნაადრევ დაბერებას და იმპოტენციასაც კი. ხოდა, ამის ფონზე კიდევ უფრო იშვიათად ეწევიან ისტორიის მასწავლებლები სკოლის ტუალეტში და ვინმე თუ დაინახავო, ალბათ მათი კარიერაც დასრულდება და არც მასწავლებლის გამოცდაზე გაუშევებენ, სადაც მასწავლებლები უფრო მაღალი ხარისხისთვის იბრძვიან, რომ სახელმწიფო ინამუსოს, შრომის კოდექსი გადაშალოს და უკეთესი ხელფასი გადაიხადოს. ისე, ძალიან წესიერი მასწავლებელი იყო უფროსი სოლოლაშვილი. ტუალეტშიც მხოლოდ იმიტომ ეწეოდა, რომ კალიდორში მოსწავლები იდგნენ. ნიკუშა გაგუას ულოცავდნენ

ბელგიური ლუდის მოგებას და თან ეკითხებოდნენ, შენ ჯობიხარ, ქულიო თუ თუფაქიო? ნიკუშა გაგუა პასუხობდა, მე ვჯობივარო. არ სკეროდა, მაგრამ მაინც ასე პასუხობდა. მგონი, არც იმ ორს სკეროდა. ნიკუშა გაგუას ეფე დახეული ჯინსები, იმ ორს არ მახსოვს, რა ეფე. ალბათ დაბერით და ფიქრობთ, სკოლის კალიდორში ბავშვები სულ დგანან და სულ ლაპარაკობენ, მოწევა რა შუაშიაო...

— კაი, ბრატცი, გავედი, სბოგამ. — თქვა ნიკუშა გაგუამ და საკლასო ოთახისკენ წავიდა.

— დავაი, ნიკუშ. — ერთხმად თქვეს ბიჭებმა.

— რას ელოლიავები ამას? — თქვა შავგვრემანმა.

— რავი, კაი როჟაა. მამამისი იცი ვინაა? — თქვა ქერამ.

— ვინაა?

— ბლატაობს მაგრად. ზის ახლა.

— მე დედამისი ვიცი. — ჩაიცინა შავგვრემანმა.

— მერე?

— ბოზია.

აა, სწორედ ამიტომ ეწეოდა უფროსი სოლოლაშვილი სკოლის ტუალეტში. პირველად თავის ცხოვრებაში. არა, მეორედ... ერთხელ მერვე კლასში რომ იყო, მაშინ მოწია.



მაგნიტოფონიდან ძველი სიმღერა ისმოდა. მსმენელი იყო ძალიან კულტურული, ორკაციანი აუდიტორია საყოველთაო სიჩურით გამოხატვდა პატივისცემას ხელოვნებისადმი. მღეროდა ეკა კახიანი. მისამღერში ამბობდა, ჩვენი დრო მოვიდაო. ევას ეს სიმღერა იმ დროს ახსენებდა, ოცი წლის რომ იყო. ევა სილაგაძეს შეუნის კრიზისი ჰქონდა და ყველაფერს უფრთხილდებოდა, რაცი იმ დროიდან ჰქონდა შემორჩენილი, როცა ოცი წლის იყო. ეკა კახიანის სიმღერის გარდა, ჰქონდა უურნალი „გზა“-დან ამოხეული სანდრა ბოლოკის პოსტერი და ვიდეოს კასეტზე ჩაწერილი სერიალ „წვრილ ვარსკვლავთა ღამის“ ყველა სერია. უმცროსი სოლოლაშვილი კი, კახიანის სიტყვებს უფრო სიბოლურად ალიქვამდა, ვიდრე ნოსტალგიურად და ცდილობდა, კვეკ ნიკოლისონივით გაეღმია. ოთაში იყო სიგარეტის, ყავის და ოფლის სურნელი. ევა იყო შიშველი. უმცროსი სოლოლაშვილი ვერ ამჩნევდა ევას პატარა ლისა და ამიტომ ნერვები ეშლებოდა, როცა სილაგაძე იმ დროზე ოცნებობდა, ოცი წლის რომ იყო. სანდროს ევონა, ევას რომა გაგუა ენატრება და იმიტომ იცნებობს. სანდრო საწოლში იწვა. ევამ ვაშლი აიღო, შეატე გაჭრა. ერთ ნახევარს თვითონ ჭამდა, მეორე სოლოლაშვილს მიაჩინა. სანდროს ხილი საერთოდ არ უყვარდა და მხოლოდ ცივ საჩამიროს ჭამდა ხოლმე, მაგრამ ევას ხათრით ვაშლს ორჯერ უკბიჩა.

— უნდა მოაგვარო! — დაიწყო ევამ.

— რამეს ვიზაბა... — ჩაილაპარაკა უმცროსმა სოლოლაშვილმა.

— რაო, რა მინდაო?

— ჩემი მოსწავლეა და სკოლაში დასცინებენო.

— ჩემზე ძან უყვარს ჩემი შვილი?

— ხო, ალბათ. მაგას პატარაობიდან ევასება თავისზე პატარების დაცვა.

— მასწავლებელიც მაგიტო გახდა?

— ხო, ალბათ, მე რა ვიცი.

– სურულებიანი ეგ. მოაგვარებ, ხო?

– დაგშორდეთ და მოგვარდება. – გაიცინა უმცროსმა სოლოლაშ-
ვილმა.

– დამშორდები და ვინმეს ვიპოვი. მაგრად გაგამწარებ იცოდე.

– ეგრე თუ გიყვარდი, რას ეცი რომას?

– დაგვსწრო და შენ გეცემოდი.

– ესე იგი, მაშინ მე და რომას კი არა, ვინმე სხვასაც რო ეთქვა,
ცოლად გამომყევიო, გაყვებოდი?

– არა.

– აბარას მეუბნები?

– თქვენ ორს შორის ვმერყეობდი და თან მაგრად ვერთობოდი,
სახეორო გელეგწებოდა ხოლმე.

– სადისტკა იყავი?

– არა, გოგო ვიყავი.

– კაი, ხო. ახლა რო გაგიტეხო თავი, რაღა აჩრი აქ.

– შენს ძმას გაუტეხე თავი, ბევრს როლაპარაკობს.

– თუ აზრებ არ მოხვალთ, რომასთან მივალ, უჟე ფეხებზე მეტიდაო.

– რომა თუ ჩვენს ამბაეს გაიგებს, ჩათვალე მკვდრები ვართ.

– ვაბშე, რას ღალატობ, ეგრე თუ გეშინაა?

– აბა, ჟირა წელი ვის ველოდო?

– რამეს ვიზამ მოვლედ.

– გააჩუმე, როგორც გინდა.

– კაი, მეთქი.

– რის გაცემება შევიძლია ჩემ გამო? – წამწამები აათამაშა ევა
სილადაძები.

სოხუმის დაცემის დღე იყო და უფროსი სოლოდაშვილის
მოსწავლეები პრეზენტაციებს აკეთებდნენ აფხაზეთის ომის თემაზე.
მანამდე ბავშვებს დირექტორმა მიმართა და მოუყვა ეროვნული
გმირების შესახებ, რომელიც სამშობლოს ჩვენმა სკოლამ აღზარ-
და და რომლებიც აფხაზეთში დაიღუპნენ. უფრო სწორად მოუყვა კი
არა, მათი სახელები და გვარები უთხრა. დაფასთან იდგა ნიაკო წოწე-
კოლაური, გრძელთმიანი გოგონა, ძალიან დიდი, წითელი კიცინით.
მგონი იძახდა, ჟიული შარტავა ქალაქში ბოლომდე დარჩა, ჯერ შე-
ვარდნაძეს დაურევა, მერე ლოთი ქობალიას და მანც არაფერი გა-
მოვიდაო. ვანო სოლოდაშვილი ცხოვრებაში პირველად არ უსმენდა
მოსწავლეს და დებილივით უყურებდა ნიკუშა გაგუას. ფიქრობდა,
დაგივერო, ეს ბავშვი მართლა ჩემს ძმაზე ძალიან მიყვარს? ისე,
მართლა საყვარელი ბავშვი იყო ნიკუშა გაგუა. არც დედას ჰეგვადა
და არც მამას. რომელიმეს რომ დამსავსებოდა საერთოდ არ იქნე-
ბოდა საყვარელი. ცუდ სიტყვებსაც მხოლოდ მაშინ ამზობდა, როცა
რეპავდა. ისე, მე მანც სისულელე მგონია ათოსანი რეპერი. ალბათ
როდისმე გადაულიდა და ფილოლოგიურზე ჩააბარებდა. იქნებ
კარგი მუსიკის მოსმენაც დაეწყო... ისე, უფროს სოლოდაშვილს
ძმაზე მეტად მხოლოდ საკუთარი თავი უყვარდა. საკუთარი თავი
რომ არ ჰყვარებოდა, შეიძლება არც ჩაარეულიყო ამ ამბავში. მაგრამ
სინდისის ტკივილი კბილის ტკივილზე დიდი წამებაა ადამიანისთ-
ვის და ხომ გითხარით, უფროს სოლოლაშვილს უყვარდა საკუთარი
თავი და ამიტომ ვერც წამებისთვის ვერ გაიმეტებდა. ნიაკო წოწე-
კოლაურმა პრეზენტაცია დაამთავრა. მასწავლებელს შეხედა, გაული-
მა და ძალიან ეწყონა, ვანო მასწავლებელი მის ნაცვლად ნიკუშა გა-
ჯოსა რომ უყვარებოდა. არათა, უფროს სოლოლაშვილი, კლავი იმას

დღილობადა, საკუთარი გმირობის ახსნა მოექცება და მიმზვდარიყო, რატომ არ აცდიდა ძმას ნანატრ ბედნიერებას და რატომ იცავდა ასე პატარა მოსწავლის ოჯახის რეპუტაციას. თან, არასდროს უყვარდა ეგ იჯახი. რომა გაგუას და ევა სილაგაძეს ჯერ ძმის გამო ვერ იტან- და და მერე იმიტომ, რომ ერთს გაუნათლებელ, ბოროტ იდიოტად, მეორეს კი, სადისტად თვლიდა. ამ დროს, სოლომაშვილების ძველი ბინის ძველ საძინებელში უმცროსმა სოლომაშვილმა გაიღვია. ად- გომა ებარებოდა და ჭერში დაიწყო ყურება. ერთი ბუზი, ორი ბუზი, სამი ბუზი... ითვლიდა სანდრო სოლომაშვილი. მერე შეწყვიტა თვლა, ასე ხო ისევ დამეტინებათ. რა მოიფიქრ, სანდრუ? – ჰყითხა თავს უმცროსმა სოლომაშვილმა. ჰეჭ, შე ახვაროო, გაიფიქრა. ევას გამო ყველაფერი ღირს, ახლა არ დამიწყოთ მორალის კითხვა, მე პირველი კურსის მერე ამირალური ვარო, თავს იძართლებდა წი- ნაპრების სულებთან. ამასობზე უფროსმა სოლომაშვილმა ახალი მოსწავლე გამოიძახა დაფასთან. იქნებ მეც მიყვარს ევა და ვერ ვხვდებიო? – გაიფიქრა ვანომ. ხო, ვერ ვხვდები და მე რომ მოსწავ- ლის დაცვა მეონია, ეგ ეჭვიანობაა და ძმასაც კი ხელს ვუშლიო. მერე ისევ ნიკუშა გაგუას შესედა. ნიკუშას მაგრად უსაროდა რეპერების კონკურსში ბელგიური ლუდი რომ მოიგო და მაგის მერე არასდროს ჰქონია დაბლვერილი სახე. უფროსმა სოლომაშვილმა დაივიწყა ევასადმი ფარული ტრიფობის თეორია. ეგრევე მიხვდა, მართლა ნი- კუშა და სინდისი მყვარებიაო. აუც, ბატონო ივანე, როგორ გიყვართ თავის ქება. კეთილსინდისიერო, ბატონო ივანე... – საკუთარ თავს დასცინოდა უფროსის სოლომაშვილი. ჩემს ძმას არაფერი მოუვა, თუ იმას იჩამს, რასაც მე ვეუბნებიო, თავს იშვიდებდა ვანო. თუ იმას არ იჩამს, რასაც მე ვეუბნები, რაც უნდა იმ მოუვიდეს, მანც უნამუსო ვირიშვილია. ევა და რომა სულ ფეხებზე ეკიდა უფროს სოლო- დაშვილს. მაგ ახვერებმა ისედაც ბევრი აწვალეს ეს ბაგშვი და ანლა ერთმანეთს თუ დახოცავენ, იქნებ უკათსია კი იყოს ნიკუშასთვისი. უმცროს სოლომაშვილს უფროსისგან განსხვავებით ყოველთვის ებარებოდა ფიქრი, ამიტომ საწოლიდან მალევე წამოხტა, ფანჯა- რასთან მიითა და ნომირი აკრიზა.

– ჰალო, ბრუდერ! – თქვა უმცროსმა სოლოლაშვილმა.

– რა გინდა? – უხეშად ჰკითხა ძმამ.

– შპრეხენ ზი დოიჩ?

– გავვეთილზე ვარ!

– ჰეჰე, რომანიჩიც მანდაა? გადი კალიდორში საქმე მაქ.

– გამოვედი, თქვი.

– გადავწყვიტე!

– რა გადაწყვიტე?

– შეგხვდები და გეტუვი. ტელეფონში მეზარება. მაგ გაკვეთილს
რო მორჩიები, გამოიდი ეგრევე.

– სად?

– მტკარზე რო პლანს ვეწეოდით ხოლმე, ხო გახსოვს?

– ხო.

– აი, მანდ.

– კაი.

– რამე გრძელი მითხარი, შეჩემა. ძმა ვარ შენი.

– მოვალ მეთქი, ე.

სანდრომ ტელეფონი ჯიბეში ჩაიდო. სამზარეულოში შევიდა.
დანებს შორის ყველაზე საშუალო ზომის ამოარჩია, ქამარში ჩაიდო
და სარიცა ჩამოაფარა. უმცროსი სოლოლაშვილი ძმის
მოსაკლავად მითიოდა.



მინისტრის
ბიურო

გევორგი ბოლკარი

— ცეცხლს ვინ დაანთებს — იკითხა ზურამ, ჩვენმა სპორტის
მასწავლებელმა და ჩანთის ამოლაგება დაიწყო.

ზაფხული იწყებოდა, მაგრამ ჯერ ისევ ცოდნა. უჩას გარდა ყველას გრძელმკლავებიანები გვეცვა. ცეცხლს შემოუსხედით, ზურაბ შოთაში ჩადებული ყველისა და ვიჩინის ნატრები დაგვირიგა მოშივებული ვილუამებოდით, წესით სამწვადე უნდა წამოგველო, მაგრამ შშობლებს დაქარათ ტყებში ბოდიალი და გადაწყვდა ისევ სკოლაში გაემალათ სუფრა. თან ბოლო ზარის დღე იყო, სკოლაში სტუმრებს ველოდით და სულ „ისედაც ტყებში არ ვცხოვრობთ, შვილო, თან სტუმრებს ფეხით ხომ არ ვატარებთ“ ძახილით გამოგვისტუმრეს ექსპურსიაზე.

შოთის უუბები უკატა აგვიორთქლდა ხელში და ზურა მასწავლებელ-
მა სოფოს მოსახებნად წამოგვყარა. ესეც ჩვენი სასკოლო პროგრამის
ნაწილი იყო. ხშირად დავდორდით ტყეში და ხან სოფოს ვაგროვებდით,
ხან მაყალს და მერე მთელ სკოლას ჯუმბასინძლოდებოდით.

ოდნავ გავიშალეთ, ისე, რომ ერთმანეთს ვხედავდით და ტყის
სიღრმეში შევედით. თავიდან ბევრი ბლავანა სოკო ვნახეთ, მაგრამ
მაგის სარწყის ნერვები არავის ჰქონდა და ალაგ-ალაგ გამორეულ
მიქლილებს ვაგროვებდით. ერთ საათში იმდენი მოგროვდა, ჩვენ
თავისუფლად გვეყოფოდა, მაგრამ ზურა მასწავლებელმა გადაწყ-
ვიტა ცოტა სტუმრებსაც ჩავუტანოთ და სადღაც ხუთი წუთის
შემთვევა, ოთომ რუსები დაინახა.

1000

ფრიალოს გვერდით მეწყრიან ადგილზე იდგნენ. მანდ ადრეც
ჩამოვიდა მიწა და მერე ძლივს გაწინდეს ტრაქტორებით, კარლო
პაპას ძროხაზ ვერ გაასწრო მაშინ და ეგ ჩამარხა, მერე კი ნახეს,
მაგრამ მკვდარი იყო უკვე. ხოდა, მანდ რომ ხალხი დავინახე, თავი-
დან გეოლოგები მეგონენ, ორნი იყვნენ, რაღაც დააწყვეს მიწაზე,
მოშორებით გავიდნენ, აი, იმ ფრიალოსკენ და ბრახო, უცბად გაისმა,
დიდი ხმა არ იყო, მარა მერე მიწა მოწყდა და მთელი გზა გადაკეტა.
უცბად ისე მეწყრიანა, მეთქი სტუმრები ვერ მოვლენოთქო, არადა, ხომ
ვიცოდი, ჩევნი მშობლები მთელი დღე სუფრის მშაბდებაში იყვნენ.
ზურა მასწავლებელთან გამოვედი და ყველაფერი მოვუყევი. იმან
კიდევ ყველა გაგვაჩუმა და ხლოიგითი გაძრა ბურჯებში. არ გაინდ-
რეთო, დაგვიჩარა და მართლა გაშემცებულები ველოდებოდით. ბო-
ლოს დაბრუნდა და რუსები არიანო, ასე გვითხრა და თან დააყოლა,
ორივე გავთიშე, დავათ და იარაღები წავართვიო.

მიშა ბახესოღიანი

ქათო

ზურა მასწავლებელი რომ დაბრუნდა, სამხედრო ჩანთა ეკიდა ზურგზე. იარაღებით შეიგნით ჰერინდა ჩალაგებული. გვთხოვა, დავმსხდარიყავით და ყურადღებით მოგვესმინა, რადგან ჩვენი თანხმობის გარეშე მოქმედების დაწყებას არ აპირებდა. ერთი ბოთლი წყალი ჩაცალა, დაწყნარდა და მოყოლა დაიწყო. მალე ყველამ გავიგეთ, რომ რუსებს პატარა დივერსიული ჯგუფი გადმოესროლათ სოფლის დასაცავებლად. ამ ორს გზის ჩაცეტვა ჰერინდა დავალებული, სხვებს კი სოფლის მაცხოვრებლები უნდა აეყვანათ მშევლად და სკოლის შენობაში გამოემწყვდიათ. შემდეგ რას აპირებდნენ, არ ვიცოდით, ტელეფონებით ვერ ვრეკავდით, რადგან რატომძაც კავშირი გაწყვეტილი იყო და არც ინტერნეტი იქტერდა. ალბათ ახშობდნენ. ძალიან შეგვეშინდა, ყველამ ჩვენს ახლობლებზე და-ვწყეთ ფიქრი. თან ადამიანების მოტაცებას კი ვიყავით შეწვეული, მაგრამ ასე, მთელ სოფელს თუ ჩაგვლაპავლნენ, არ ვევგონა. ზურა მასწავლებელმა გადაწყვიტა, ჩუმად ჩაპარულიყავით სოფელში და ჩვენებს როგორდაც დაგხმარებოდით. პირადად მე ვფიქრობდი, რომ უკეთესი იყო, მეზობელი სოფლისაკენ წავსულიყავით, მაგრამ ფეხით იქამდე ჩასვლას 3 საათს მაინც მოვუნდებოდით და ბოლოს სოფლისკენ წასვლა გადავწყვიტეთ.

ნანა

გეგმას გზადაგზა ვიფიქრებდით. თავიდან დიდი გულისამა-რწყებელი სიტყვა მოარტყა. მეობრივობა ვერავის დავაძალებო. თვითონაც ისეთი კაცი ვარ, არასაძროს არავისთვის მისვრია და არც ვესროი. ისიც კი ვერ წარმომიდგენია, სხვის ბრძანებაზე იარაღ სელში ავილო და ვინერს ვესროლოო, საერთოდ მკვლელობზე ცუდი არაფერიაო, გარეკა და გარეკა, თავიდან ვერც გზვდებოდი, რაზე ლაპარაკობდა. უცხად ეს იარაღებიანი ჩანთა აილო და იქვე ხრამში მოისროლა. ჩვენ კიდევ ამ იარაღების იმედი გვქონდა და პირდაღებულები გავჩერდით. ჩანთა რომ გადააგდო, შევამჩნიე, რომ კისერზე ბინომი ეკიდა. მერე კიდევ ვეგმა მოყვა. ისეთი სულელური გეგმა ჩანდა, საერთოდ არ ვეცინებოდა.

გეგმა

(მოყოლილი ავთოს მიერ, რომელსაც ფოტოგრაფიულ მეხსიერებაზე უკეთესი მეხსიერება აღმოაჩნდა)

მასწავლებელმა თქვა:

— მე ვიცი რუსების სუსტი წერტილი. ბანალურია, მაგრამ მაგათ დღემდე ის ხალხი ვეონივართ, ვისაც ერთი სული აქეს როდის გაუშილით სუფრას, დავუსამთ ღვინოსა და არაყს, მივართმევთ მწვადსა და საჭაპურს. არ სჯერათ, რომ თავისუფლება მართლა გვინდა და კიდევ ბევრი რამ. ჰოდა, ახლა გვაქს შანსი, ზუსტად ამ სტუმართ მოყვარეობით ავახიოთ სახე.

— სახის ახევა ძალადობაა, მასწ, — იხუმრა დათომ.

— დღეს არა, — გაავრძელა ზურა მასწავლებელმა, — დღეს უცნაურად მოვიქცევით და თუ გაგვიმართლებს, რუსების ნაწილი თქვენი მშობლების გაშლილ სუფრაზე შარაფობს, უკვე საკმაოდ შეზარხოშებულები იქნებიან.

— გატყვრებოდნენ, მასწ, სმა თუ დაიწყეს, ვერც და არც გაჩერ-დებოდნენ, — კიდევ იხუმრა დათომ.

— მეც მაგის იმედი მაქეს, თუმცა ჯარისკაცები არიან მაინც და ალბათ ვიღაცებს დარაჯად დატოვებდნენ, მერე კი როდესაც შებინდება, იჯიქებენ, რომ სოფლის ცეცხლა მცხოვრები გამოჭერილია, გაიფანტებიან და აი, ამ ფხიზელი დარაჯების ჩათვლით, თქვენი სახლების ჩერეკას დაიწყებენ.

— უნიტაზები ჩვენ არ ვევეჯს და რას წაიღებენ, — კიდევ იხუმრა დათომ.

— იპოვიან რამეს, ცოტა ოქროულს, სასმელს, ტელევიზორებს, მაგრამ ჩვენ არ მივცემთ ამის საშუალებას. ამისთვის კი საჭიროა, გეგმა გულდასმით შევასრულოთ. დაზვერვის შემდეგ, როცა ყველა მათგანის ადგილსამყოფელი გვეცოდინება, უნდა გაიფანტოთ, თქვენ-თქვენ სახლებში წახვიდეთ და დახალოებით 2-3 ადამიანზე იდეალური სუფრები გაშალოთ. აქ უკვე თქვენი ფანტაზიის იმედი მაქეს, ყველამ კარგად იცით, თუ რა გაქვთ სახლში ისეთი, როს წინაშე ნებისმიერი სტუმარი ქედს იხრის. ზუსტად გეცოდინებათ, სად ინახება სახალწლოდ გადაახული ვიჩინა, საუკეთესო ღვინო და არაყი და დიმედროლსაც თუ მაშველებთ, საერთოდ დიდებული იქნება.

— ხაჭაპურის გამოცხობა შეიძლება? — იკითხა ქეთომ.

— ხაჭაპურს მე ვაპირებდი, — აჟყვა მერი.

— რასაც მოახერხებთ, ოლონდ გახსოვდეთ, ყველაფერი ლა-მჩიად დაალაგეთ, სერვირება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ჯერ თვალი ძლიერად მერე კუჭი. სხვა თუ ვერაფერს ნახავთ, მურაბები დააწყვეთ, პეჩინიები, ხილი და ტკბილი სუფრაც მოეწონებათ. ოლონდ, მაგ შემთხვევაში, ღვინო არ გამოიყენოთ, აუცილებლად არაყი ჩადგით დიდი გრაფინით.

— მუავეებიც ხომ უყვართ, მასწ? — იკითხა ლაშამ — ბევრი გვაქს სახლში, შემიძლია სხვებსაც გავუნაწილო, თუ დასჭირდებათ სუფრებზე.

— ეგეც კარგი აჩრია, — გაუხარდა ზურას, — რასაც ბევრს იპოვით, ერთმანეთს გადააწოდეთ.

ავრი

რა თქმა უნდა, ძალიან მეშინოდა, ეგრე ძან მაშინაც არ შემშინებია, კარლო პაპას ძალი რომ გამომეკიდა და კომშ-ზე ძლიერ ავასწარი. ფეხაკერეფით დავდიოდი. თავიდან ძალიან ვფრთხილობდი, თაგვივით მივიპარე მაცივართან და ცოტა ყველი და ეკალა გამოვიდე. ამ ეკალას მოსაკრეფად მთელი დღე დავფხოტავდი, ახლა კიდევ ვიღაცება უნდა ჩაეხეთქა. ჩამოვაჭეკი, ცოტა ყველი მივაყოლე და უცბად თითქოს ძალა დამიბრუნდა. უზეთო მჭადები დავაცხვე ფოთოლზე, ორი კალმახიც შევწივი, აჯაფასანდლის კონსერვი გაეხსენი და რაც ვიპოვე, ყველაფერი გამოვზიდე, თან ცოტ-ცოტას ვჭამდი და რაც არ მომწონდა, უკან მიმქონდა. ისეთი კარგი სუფრა გამოვიდა, ღვინოც ჩავდგი და ორნაირი არაყი, ჭანჭარისა და თაფლის. ხელსახოცებიც კი დაგვეცე და დავალაგე.

მასა

საიდანლაც ზურა მასწავლებელი გამოქვრა და მითხრა, მოდიან და პირველი შენს სახლში იქნებიან. თითქმის ყველაფერი მზად მქონდა, ერთი ხაბიზე აგვიანებდა, მაგრამ გარედან დაბრაწულს ჰგავდა და გადმოვიდე. ზურამ პატარა მოიჭრა და კარგია, არა უშაგსო, ჩაილაპარაკა თავისთვის. მერე კი ფანჯარასთან რომ გუდა ლელვია, იმის უკან ჩავიმალეთ და დავდამდით. ისე, რა კარგია, შენს მტერს რომ იცნობ და ისიც ისეთი კვერცხია, რომ არასდროს არც ცდილობს შეცვლას და თუნდაც ომის დროს შენს გაკვირვებას, შემოვიდნენ თუ არა, სახე გაუნათდათ, მაგიდა გამოსაჩენ ადგილზე დავდგი, პირდაპირ შუქი ანათებდა, არყის გრაფინი გარედან ისეთი ცერიტო იყო დაფარული, სულ რაკრაკით დაილია, ხაბიზე გინაც მოეწონათ, ცოტა მარის მოწოდებული ფხალი დაიჩავრა, ბალახი არავის უნდოდა, ნახევარ საათში ჭუკებივით იყვნენ. დავაბით და საქათმეში შევყარეთ. სხვა სახლები რომ დავიარეთ, ყველგან იგივე ხდებოდა.

ვერკო

მე ხომ ბედი არა მაქს. აქ ისეთი მთვრალები მოვიდნენ, მაგიდა ძლივს დაინახეს, მერე ჭამა არ შეეძლოთ თუ რა იყო, არ ვიცი, ერთმა აიღო ლობიოთი სავსე თევზი და პირდაპირ საათს ესროლა. კიდევ კარგი მეორემ დაბაწყნარა და არაყი დააყოლებინა. ნახევარი გრაფინიც ვერ დალიეს, დასხდნენ და გვერდიგვერდ არწყევდნენ. ერთმა იუმრა, კიდევ კარგი, ჩემი ცოლის მოსაწმენდი არააო. ზურა მასწირომ დაადგათ თავზე, თავისიანი ეგონათ და მოდი, შენც დალიეო ეხვეწებოდნენ.

დათო

ბოლოს სკოლაში მივედით. თურმე დარაჯებიც კი არ დაუტოვებიათ და ჩვენებიც მშვიდად გამოვუშვით. რომ გაიგეს, რაც ვქენით, სიხარულით გაგიუდნენ და მერე რატომლაც ზურას აგინებდნენ, ბავშვებს რამე რომ მოსკლოდათ, რას შევრებოდიო. ზურამ არაფერი შეიძინია, არადა, მაშინვე უნდა დაეცვა თავი. ჩვენც უნდა დაგვეცვა, მაგრამ მშობლებთან ჩახუტებით გართულებს, ზურა ალარ გვახსოვდა, ხოდა, ბოლოს გაათავისუფლეს, მადლობის ნაცვლად ადგნენ და გააგდეს. არადა, რომ არა ზურა მასწავლებელი, არავინ იცის, რა მოხდებოდა. ისე დღემდე ვფიქრობ, ნეტა, რამ მოუარათ რუსებს, ან რა ჯანდაბად უნდოდათ ჩვენი სოფელი, უფრო ალბათ სკოლა მოეწონათ, ბარემ ბაზას გააკეთებდნენ შიგნით ან არ ვიცი. ისე ძალიან შტერულად კი მოუვიდათ. დღემდე დაჭერილები არიან, იმედია გაცვლიან ვინმეში, აქ არავის არაფერში გამოადგება ეგ ხალხი.

მშვიდობიანთვარში მშვიდობიანი ცხოვრება გრძელდება. გზა მალევე აღდგა. ხალხიც დაწყნარდა. ვითომ არაფერი მომხდარა. მომავალი წლიდან სკოლა უფრო ხალხმრავალი გახდება. მთავრობა ავტობუსების დანიშვნას და მეზობელ სოფლებში მცხოვრები ბავშვების უფასოდ ტარებას აპირებს. კლასები შეივსება, მასწავლებლებიც უფრო გახალისდებიან. იმედია, ზურა მასწავლებელსაც

დააბრუნებენ, კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია და არ იმსა-ხურებს უსამართლო მოქცევას. ჩვენ კი გამოცდები გვეწყება და მგონი, ახლა უფრო ვნერვიულობ, ვიდრე მაშინ, როდესაც საკუთარ სახლში შეპარული, საკუთარი მაცივრიდან ყველს ჩუმად ვიღებდი და კიდევ უფრო ჩუმად ვხეხავდი ხაბიზე ისთვის.





ფილმის მუზიკალური

არევანი

– მასწ, გუშინ მამა გირეკავდათ და ვერ დაგივაცშირდათ!... – ის-ისაა სკოლის გაღებულ ჭიშკარში უნდა შევაბიჯო, პატარა ჭორვლიანი ბიჭი ქოშინით შეწევა და სათვალიდან შინარული და ეშმაკური შეირით მიღიმის:

– დღეს ჩემი დაბადების დღეა, მასწ და მამაშ შესვენებზე ტორტი და ხაჭაპური უნდა მოიტანოს, ბავშვებს მინდა გავუმასპინძლდე თქვენც შეგახვედრულ, მასწ! იცი, რა გემრიელია, მერი ბებოს გამომცვარი ხაჭაპურები მთელმა უბანმა იცის და ტორტი კიდევ ანიმეს გმირებით იქნება მორთული ... მამა დამპირდა, ნარუტოს ტორტი უნდა მომიტანოს ... ნარუტო ხო იცით, მასწ?! ... მაგარი იქნება, აი, უმაგრესი და თან, მთელი წელი ამ ტორტზე ვოცნებობდი!... მამამ მითხრა, „რავი ოქტომბერის დაბადების დღე გაქვსო!“ ... ანუ ათში ათი წლის ხო ვხდები, ამიტომ სურვილები უნდა ამისრულოს ... ხო მაგარია, მასწ?!

– დევდარიანი, – რატომ მაგდებთ, უხერხულ მდგომარეობაში შენ და შენი შემობლები? ! ხომ გითხარით ყველას სასწავლო წლის დასაწყისში, რომ პანდემიის გამო აკრძალულია საკვების გარედან შემოტანა სკოლაში...

– მასწ, ამ ერთხელ არა უშავს რა, გულს ნუ მატკენთ, ძალიან გთხოვთ!... თან მამამ საიდუმლოდ მითხრა, რომ თურმე დედა იტალიდან ჩამოსულა და სიურპრიზი უნდა მომიწყოს და სკოლაში მომაკითხოვთ და მომილოცა... დედას ჰეროინია, რომ მე არაფერი ვიცი... სამი წელია არ გვინახავს ერთმანეთი, მარტო ინტერნეტით ვსაუბრობთ ხოლმე ... – ბიჭი ხმაში გულაჩურება ეტყობა, ცოტაც და აეტირება, თვალს არ მაშორებს და გაკანჭული, წიწვლიდა ხელის ორი თითოთ ყელს ჩიჩახვთან იწევს: – გთხოვთ, მასწ!.. იცით, როგორ მინდა შერიგდნენ? !... მამა სხვა ცოლის მოყვანას აღარ აპირებს... ჩემი ყურით

მოვისმინე, თავის საუკეთესო მეგობარს, ვაჟა ძიას ელაპარაკებოდა მობილურზე, დედამაც ძლივს იმოვა იტალიაში სამსახური... მეოთხე წელია წვალობს, შრომიბს... ზუსტად ვიცი, არც ის გათხოვდება და ხო შეიძლება მოხდეს სასწაული და მერომ დამინახავენ მათთან შეხვედრით ბედნიერსა და გახარებულს, ეგებ შერიგდნენ, პა?! ...

– კარგი, გასაგებია! – ვაწყვეტინებ მკაცრი ხმით: ლამისა არის ვიტირო ამხელა ქალმა შუა სკოლის ეზოში ყველას დასანახად :

– ღლონდ შესვენებზე არა, მაშინ გავვეთილები რომ დამთავრდება, მერე... ყველანი გავრიიფებიან და ... დევდარიანი!... შხოლოდ, ძალიან გთხოვ, ბავშვებს უთხარი, რომ ძალიან არ გახმაურდეს სკოლაში ეს ამბავი, თორემ...

– ვიცი, მასწ!... მე ყველაფერი ვიცი! ... ჩემი იმედი გქონდეთ!...

– ჰოდა, ჭკვიანად და უხმაუროდ! ... ჩვენ ვიცოდეთ მარტო, მე, შენ და ჩვენმა კლასმა, და კიდევ, დედიკომ და მამიკომ, კარგი?! ...

– აუუუ, ჯიგარი ხარ, მასწ! – ბიჭი გარბის და აღარც ელის ჩემი ფრაზის დასრულებას... გაძრებ-გამოძრება შესასვლელთან შეგროვილ მოსწავლებსა და მასწავლებლებს შორის, მოხერხებულად შეაღწევს ლია კარში და უკან მოიტოვებს შეილებზე ხელჩაკიდებულ ათეულობით შშობელს, რომელიც მოთმნებით ელის პანდემიისას შუბლებე სიცხის გზიომვის დამკიდრებულ რუტინას ...

– „იმდენს იზამთ, სამსახურს დამაკარგვინებთ მე თქვენ... ისედაც ვერ მიყურებს კარგი თვალით კეპულაძის ქალი!...“ – ვფერობ გუნებაში და თითქოს უკვე გხედავდე ნესტანის შეკრულ კოპებსა და შუბლებე ჰიდულ სათვალეს, სკოლაში შესვლის გარდა, ყველაფერზე თანახმა ვარ ...

– „ორცოვაი კობრა!“ – ჩამესმის ლიანას კისკისი ... ლიანა ჩემი მეგობარი და ჩვენი სკოლის ლოგოპედია, საოცრად შინარული და

— დაიხსომეთ, ყველაფერს ვხედავ და ყველაფერი მესმის და იმა-ზე მეტი ვიცი, ვიდრე თქვენ ეს წარმოგიდგენიათ: მასწავლებლებ-საც, მშობლებსაც და მით უმეტეს, ბავშვებს... გასაგებია? !... და იმ თქვენს დაქალ ლიანას გადაეცით, რომ ჯერჯერობით ვაკვირდები და ინფორმაციებისა და მტკიცებულებების შეგროვების პროცესში ვარ და აი, მერე რაც მოხდება, თავის თავს დააბრალოს...

— დიახ...

— ახლა, შეხვალთ კლასში და დაანონსებულ დაბადების დღეს ჩაშლილად გამოაცხადებთ, დევდარიანის შშობლებს საყვედურს გამოუკავადებთ... საკუთარი ცხოვრებისთვის ვერ მოუვლიათ და ეგნი ბავშვის მომავალს მიხედავენ?!... ხვალ კი, სათითაოდ, ყველა შშობელს დაიბარებთ და ინდივიდუალურად გაესაუბრებით, ხოლო ბოლოს გაერთიანებულ კრებას მოიწვევთ და... სხვათა შორის, სიამოვნებით, პირადად დავესწრები ამ კრებას... აი, მერე კი...

— მერე?

— მერე ვიმსჯელებთ კოლეგებთან ერთად პედაბჭოზე, შეინარჩუნებთ თუ არა თქვენს სადამრიგებლო კლასს... მომინდომეს აქ „ივენთები!“ ...

ნესტანს მობილური ტელეფონი ურეკავს, ისიც ზურგს მაქცევს და განიერი გავა-თექოების ზანტი და ამაყი რშევით დერეფანს მიუყვება, თან ისე ხმამალლა პასუხობს უხილავ ადრესატს, რომ ლამის პირველ სართულზე სასაუზმებში ესმის სკოლის მზარეულ დონარას მისი ამზიციური და ფსევდო-დამაჯერებელი საუბრის ინტონაცია. ნესტანი შემთხვევითაა სკოლის დირექტორი, მისი მეცო-სოპრანო ხმისა და იმპოზანტური ვიზუალის პატრონი, ოპერის არც თუ ურიგო „დივა“ იქნებოდა, თან, მტაცებლური ხასიათის გადამყიდე, სულ წამყვან პარტიებს მისცემდნენ ბოროტი და გრძენეული პერსონების რეპერტუარიდან...

— კი, მაგალითად, ამნერისი იქნებოდა შესანიშნავი „აიდაში“ ... იყბინება ლიანა: — ან კლეოპატრა, ოლონდ, მე მოვკვდე, გველებს იქით დაგესლავდა საფინალო სცენაში...

... დერეფნის ბოლოს ფანჯარასთან ვყოვნდები... აქედან კარგად ჩანს სკოლის უკანა ეზო. თვალები ცრემლებით მაქვს სავსე და სანა-ხევროდ ვარჩევ ფანჯრიდან ეზოში შევავუფებულ მოსწავლეებს ... ჩემები არიან, ცარცით წრე შემოუსახავთ და შიგ დიდი ქართულ — ინგლისური ასოებით ჩაუწერიათ „დევდარიანი, HB“ და ზედიზედ სამი ძახილის ნიშანი ... ერთ დიდ წრედ შეკრებილნი რაღაცას აქ-ტიურად არჩევენ, კამათობენ, ბოლოს თანხმდებიან და მთარული ყიუინით იშლებიან ... არ მინდა, შემამჩნიონ და ფანჯრის გაცრე-ცილ და მზისგან გახუნებულ უალუზს ვეფარები ... სულ პატარები მოვიდნენ ჩემთან და ზეპირად ვიცი თითოეულის ხასიათი, ვის რა სწყინს, რა ახარებს, სად უჭირს, სად ყოჩალობს ... რომ იტყვიან, ერთად გავიზიარდეთ, მე მათ ვასწავლიდი და ვზრდიდი და მათ მე გამზარდეს და მასწავლებლად მაქციეს — ასე ვთქვათ, გზა გმიგვა-ლეს პედაგოგიკაში — ამ საბედისწერო და განსაცდელებით აღსავსე ღაბირინთში ... იქიდან მოყოლებული, ზუსტად ვიცი, რომ მათ ყმაწილურ გულებს სულ პაწია სიხარულები ახარებთ და დაბადე-ბის დღე, ხომ მით უმეტეს, — მათ ასაკში დაბადების დღე ნამდვილი დღესასწაულია, ჯაღლისური ზეიმი, რომელსაც წლიდან წლამდე

ელიან მოლოცვებისა და საჩუქრების წარმოსახვებში ... ეს დევდა-რიანი სულაც არ არის „ძნელად აღსაჩრდელი“, როგორც უწოდებს „ფილარმონია“ ... ყველაზე ემოციური და გულწიგილი ბიჭია... ძალიან გონიერი და სხარტი აზროვნების, ერთი წაკითხვით თთვისებს მასალას... ისე, მხიარულია და მეგობრული, მხოლოდ დროდადრო საოცარი ნაღველი ჩატვრება ხოლმე მშერაში, გაირინდება და რვეულის კიდეს წიწინის და მაშინ ვხდები, რომ სარკესავით ორ ნა-წილად დამსხვრეული ოჯახი ახსენებს თავს და ასეთ წუთებში, თუ ვინმე თანაკლასელი გაელაზდანდარება ან უკბილოდ გაექუმრება, მკაცრი და დაუნდობელი ხდება: ვერ პატიობს უბრალო გადაკრულ ხემრობასაც კი, დაცინვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია... ეგრევე ზლარბივით იჯავრება და პატარა, გამხდარი მუშტებით ცდილობს თავს დაესხას არამკითხე მოამზეს, როგორც რეპტილია, ქვასავით მტკიცე ბაკანში იცეტება და ვერ ვერავის ენდობა და არც არავის ინდობს. ეს მისი ერთგვარი თავდაცვაა, ვერ კიდევ პატარაობიდან გამოყოლილი, რომ არავინ დაჯანმნოს, არავინ ატკინოს გული, რომელიც ისედაც ეკუმშება დამშორებული დედ-მამის ყოველ გახსენებაზე...

— რთული ქცევის ბავშვია, ნერვული აშლილობითა და არაადეპ-ვატური რეფლექსით ... როგორ გეტყობათ, ლალი, რომ სოციალურ მუშავთან და ფსიქოლოგთან არ გაგვილიათ შესაბამისი ტრენინგი და კონსულტაცია! ... კლასის დამრიგებლობაზე რომ გაქვთ პრეტენ-ზია, გნაცალე, დროა ამაღლოთ კომპეტენციები! — მახსენდება, როგორ ბობოქრობს ხოლმე კეპულაძის ქალი ...

... მოდი ახლა და შეაგნებინე „ფილარმონიას“, რომ „რთული ქცევა“ არაფერ შუაშია და რომ დღეს ყველაზე დიდი დღეა ამ პატარა, მაგრამ უკვე დიდი ადამიანის ცხოვრებაში, დღე, რომელსაც მთელი წელი (და კიდევ მანამდე არსებული, მთელი სამი წელი) ელოდა და რომელზეც იმაზე მტე მიედებს ამყარებს, ვიდრე ერთმარიგოთმა დაბადების დღემ შეიძლება იტვირთოს ... ჰერნია, რომ დედას და მამას შეხვედრა ამდენი ხნის განშორების შემდეგ, ახალ ჰირიზონტს, სხვა პერსპექტივას გამოაჩენს მათ ცხოვრებაში და სუფთა ფურცლი-დან დაიწყება! „სახლობანას“ — ისე, როგორც კომპიუტერშია, მისცემ ბრძანება „რესტარტს“ და ჰაიდაა! ... აციმულდება მონიტორი და სულ ფაილ-ფაილ ჩანაწერებს დაგროვილ ინფორმაციას ...

— ნეტა, მასწ, ცხოვრებაშიც ასე იყოს შესაძლებელი ...

— დევდარიანი, რა თქვი? !...

— რადა, ნეტა, ცხოვრებაშიც შეგვეძლოს „გადატვირთვა“ ... აი, კომპიუტერს რომ „დავარესტარტებთ“ ხოლმე! ... მაგარი იქნებო-და! ...

მე ვხდები, რასაც გულისხმობს ეს პატარა ბიჭი, რომელსაც ცხოვრებამ ძალიან ადრე ჩაუტარა მწარე გავეთილი ...

— კარგი იქნებოდა! — ვეთანმები მე, — მაგრამ როგორც წესი, ცხოვრებაში ყველაფერი ისე არ არის მოწყობილი, როგორც ადამი-ანებს გესურს ...

— მასწ, ადამიანი თუ მოინდომებს, შეუძლია შეცვალოს თავისი ცხოვრება?

— რასაკვირველია, თუმცა ამისთვის მხოლოდ მისი სურვილი არ არის საკარისი... ხომ გესმის? !...

ზიქრია ყუშისაშვილი

— კი, მასწ! — ოხრავს ბიჭი და სასკოლო „ბუკს“ „რესტარტის“ ბრძანებას აძლევს ...



— ქალბატონო ლალი, ხომ ვერ დამეხმარებოდით? ... ფიქრებიდან მარცვეს უცხო მამაკაცის ხმა. დერეფინის მეორე ბოლოში დევდარიანი მამა დგას და ხელში ხაჭაპურიანი უზარმატარი ლანგარი უჭირავს... წამით მზერას ისევ ფანჯრისეკუნ ვაპარებ... წრეში ჩახატული ცარცის წარწერის ბოლოს დასმული ძახილის ნიშნები ერთ დიდ კითხვის ნიშნად ქცეულა ... ბავშვებს ხომ ვერაფერს გამოაპარებთ! ... ნამდვილი მექებრის ყრისვა აქვთ... სასწრავოდ ცრემლებს ვიმშრალებ და აჩქარებული ნაბიჯით დევდარიანის მამისკენ მივეშურები, რომ ლანგარი ჩამოვართვა... „მთავარია, ნესტანი არ დაინახოს!“ — ვფიქრობ გზადაგზა და ნაბიჯს შეძლებისადაცვარად ვუწერებთ... დერეფინისავამაოდ გრძელია..., უეჭველი შეამჩნევდა ვინმე და ამბავს მიუტუსტუსებერ... ჭანდაბა! გაწყდეს საცაწვრილია! ...

— არ შეგაწუხებდით, მაგრამ ტორტიც მაქსა ამოსატანი...

მარციპანითაა და მეშინია, სითბოზე არ დადნეს..., დევდარიანის მამა უხერხულად მიღიმის და ხაჭაპურის ლანგარს მატვდის... ჩვენ ერთად შევდიგართ საკლასო ოთახში, სადაც დაფაზი ზუსტად ისეთივე ქართულ-ინგლისური წარწერა მხვდება, მხოლოდ, აქ მისალოცი ფრაზის ბოლოში ძახილის ნიშნებია და აუარება ფერადი ბუშტი... ბავშვებს უზრუნიათ და წინასწარ საჩიემოდ მოურთავთ კლასი ... ისედაც მძიმე ლანგრით დატვირთულს, ბუშტები ფეხებში მედებიან და ლამის არის წამაციონი...

— მაიმუნები! ... განა მითხრეს, რისთვის გამომართვეს გასაღები წინა დღეს... მარიტამ ნათლობის ჯვარი დაცარგა და უნდა მოვუძებნოთ... მომატყუუს პატარა ყაჩაბანებმა ..., — უხერხულად ვუღიმი დევდარიანის მამას, რომელიც ლიმიზე საპასუხო კეთილ და მადლიერებით სავსე შეჟრას მიბრუნებს:

— ვიცი, პანდემიის გამო სკოლაში საკვების შემოტანა აკრძალეს, მაგრამ ნიკას ისე უნდოდა მე და დედამისს ერთად მოგველოცა დაბადების დღე მეგობრების თანდასწრებით... ხომ ხვდებით? !...

მეცრემლები მახრიბის და რომ არ ვიღლავლო, ხმას არ ვცემ უხერხულობისგან ჭარხალივით აწითლებულ მშობელს და ისიც სწრაფი ნაბიჯებით გადის ტორტის ამოსატანად...

ზარი ირეკება და კლასი ნელ-ნელა ივებება მოსწავლეებით... ისინი უხმოდ შემოდიან და თითქოს პირი შეკრესო, ასევე უსიტყვოდ ივავებენ საკუთარ ადგილებს ... ასე მშვიდად და მოწესრიგებულად ჯერ არასადროს და არცერთი შემოსულა... რამდენიმე წაშში ყველა მერხი დაცავებულია ... სამი ათეული წყვილი თვალი უხმოდ შემომყურებს და მზერით ერთ დიდ კითხვის ნიშანს მისვამს...

— იქნება კი დევდარიანის დაბადების დღის ზეიმი? — აი, მათი კითხვანარევი შეჟრის მთავარი მესიჯი ... აი, რატომ შეცვალა ძახილის ნიშანი კითხვისამ ... კარზე კაცუნია. მე ვდგები და საკლასო ოთხის კარს ვაღებ: კარში დევდარიანი დგას, უზომოდ ბედნიერი ლიმილით გადანათებული, ზურგს უკან მისი დედა და მამა დგანან... დედას ევროპული ელფერი დაკრაგს, სამხრეთული მზის რუკი და

რაღაცნაირი ხმელთაშუაზღვიდან მონაბერი ქარის სურნელი... მგონი მოჩვენებები დამეწყო... ვფიქრობ და მზერა მამაზე გადამაქს.

მამაკაცს ვეება ტორტი უჭირავს, ტორტი მართლაც მარციპანითაა, ნარინჯისფერ და ბალახისფერ ტონებში, ზედ იაპონური ანიმეს გმირი ნარუტი წამოსცუებულა და როგორც ხეები ისე ადგას სადღესასწაულო მზინავი სანთლებისა და შუშუნების მორთულობანი ... ნარუტი ... ეს ისე. გარეგნულად ჩამოჰვავს ფიგურა მულტფილმის პერსონაჟს, თორემ გამოხოებული დევდარიანია, მასავით გამწილვებული და სათვალიანი ...

ერთხანს ღიმილით შევყურებ ასევე მოღიმარ სამულს ... ღმერთო, ერთი შეხედვით, რა ბედნიერი ოჯახია, აი, სკოლის უცხო ენის სახლმძღვანელოებში რომ ხატავენ აღსაწერ სურათს წარწერით: „This is my happy family!“

— მობრძანდით! — ვეპატიუები უხერხული პაუზის შემდგომ და კლასი, როგორც ვულკანი, შევბით ამოსუნთქებს და როგორც ცეცხლოვან ლავას, ისე ამოსივრის მძლავრ შეძახილს: „აეეეე! ...“ რომელიც ატორტმანებს კლასის ფანჯრებსა და მთლიან შენობას ...



— დაბადების დღე, რასაკვირველია, მაინც შედგა... შედგა, ნესტანის მითითებისა და საყვედურის მიუხედავად... მართალია, კერ ამოუცნობი დარჩა დევდარიანის დედ-მამა შევარიგეთ თუ ვერა, მაგრამ... კლასი ცარიელია... მხოლოდ მე და ლიანა შემოვრჩით... მე ნასულრალს ვუყრი თავს, ლიანა მექმარება და თან მარციპანის შემოუცევილ ფერად ფიგურებსა ათვალიერებს:

— რას არ მოიგონებენ რა?! ... სად იყო ჩვენს ბავშვობაში ასეთი ტორტები? !... ჰა, გამოვიდა რამე? !... მე მზრებს ვიჩერჩავ და დალაგებას განვაგრძობობს ...

— და ისედაც ვიცოდი, რომ არც შერიგებოდნენ... ბავშვს თავისი ბავშვური მოლოდინები აქვს, თორემ მაგათ ზედ აწერიათ, რომ აღარ შერიგდებიან... თუმცა, ვინ იცის? !... სევდიანად ოხრავს ლიანა, — რა გეშველება ახლა შენ? !...

— მეშველება რამე! — ვამზობ და დიდ ცელოფინის პარკში ერთნაირად უუყრი თავს დაბადების დღეზე გასვრილ ერთფერად ქაღალდის თევშებსა და ჭიქებს... რა კარგი მოგონებაა ეს ერთფერადი ჭურჭელი... გაისვრება და გადაყრი ... ცხოვრებაც ასე მარტივი რომ იყოს — დააშავე? შეგვშალა? — გადააგდე, მოიშორე ცუდი ემოცია და გააგრძელე გზა... .

— ო, რა გველია! ... სუ დაგზავნილი ჰყავს თავისი მონების აგენტურა მოელს სკოლაში... დასისინებენ და მიაქვთ ამბები... ვისტე გაქს ეჭვი? როგორ გვინა, ვინ ჩაგიშვათ?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს? ... მთავარია, რომ კლასში ვილაც მოღალატეა... წინა დღეს უკვე იცოდა თურმე... ასეთი პატარები და უკვე...

— არა, ბავშვი აქ არაფერ შუაშია, გენაცვალე, ბავშვი რა? — გულუბრყვილობა და ალალი, იტყოდა მშობლებთან სახლში და ერთი ზარი რა? !— ძნელი გასაშვებია? !... ამ „ცაწალ“ დევდარიანის, გახარბულს დედის იტალიიდან ჩამოსულით, წამოსცდებოდა წინა დღეებში ბავშვებთან და მეტი რა უნდა ინზორმატორს — მიუცუნ-

ცულა წესტანიკოს ცხელ-ცხელი „ნიუსი“! ... ოხ, ერთი ეგეთი მშობელი მომცა ხელში, მეტი არ მინდა რა, იმ ენას სუ ძირში მივაძეწავ ითარა წერეთლის „პლოსკოვუბცით“ ... „ვოტ ტა!“

ლიანა გემრიელად ილურება დევდარიანი დაბადების დღის ნამცეფობის გემრიელობით და ცმაყოფილია, რომ წესტანას დიქტატურამ ამჯერად ვერ გაიხარა...

– წავედი, დავუწერ ახსნა-განმარტებას და ალბათ განცხადებასაც ზედ მიმაყოლებინებს – ვამზობ მე და კლასიდან სუფრის ნაალაფარი ნაგვის პარკს მივათრევ ...

– რა განცხადებას?! არც გაიფიქრო? ... ერთი კაი დედიმისის შვილია და გაგიშვას სამსახურიდან და კლასის დამრიგებლობიდან... მთელ სკოლას ფეხშე დავაყენებთ! ...

– ჰოდა, მაინც შენზე დაკვირვებისა და მტკიცებულებების შეგროვების პროცესშია და ერთად მიგვაძრანებენ სკოლიდან ...

– აი, – ლიანა სალოვი და საჩვენებელი თითოთ პატარა წრეს კრავს და ცალი თვალით შიგ იჭყიტება: – ამას ხედავ ?! – გადაეცა ასეთი უსტური ენით გიპასუხათ ლიანამ-თქო ...

მე უმოდი გავდივარ კლასიდან და მორჩილად და წელმოწყვეტით მივათრევ ფეხებს სამასწავლებლოსკენ... კარი დაკვეტილია... დამლაგებული დარე ცოცხით აგროვებს უკანასკნელ მტვერს აქანდაზე და თანაგრძნობით მართმეტს ხელიდან ნაგვის პარკს... თან უსიტყვოდ მიმანიშნებს კართან გამოკრულ განცხადების დაფისკენ ...



ჩემი წინასწარმეტყველება ვნგას პროგნოზივით მართლდება: ახსნა-განმარტების დაწერა საჭირო ალარ არის! ... გათავისუფლებული ვარ არათუ კლასის დამრიგებლობიდან, თვით საგნის რიგითი მასწავლებლის პოზიციიდანც კი !...

– იმ ოთხშაბათს პედსაბჭო დანიშნა ქალბატონმა – სხვისი ხელით აპირებს ნარის გლეჯას! – მძვინვარებს ლიანა:

– შენ განცხადება არ დაწერო, იცოდე! – მარიგებს აქოშინებული და ემოციისაგან კიბოსავით აჭარხლებული სახით სარკეში წარჩებს გამეტებით იწვრილებს, – დე თავად დაწეროს ბრძანება ...

– უვე დაწერილია! – ვამზობ მე და მუყაოს ყუთში ვალაგებ საწერი მაგიდის ჩემეული უჯრიდან ამოლაგებულ ნივთებს, საწერ-კალმებს, საქალალდეებს და სხვა წვრილმანს.

– მოიცა და, ბრძოლას არ აპირებ? ... ასე უნდა დაუხარო ბორილასავით თავი და წახვიდე სკოლიდან? – არ ცხრება ლიანა ...

– რა ჩრი აქვს?! ... ბრძანება უკვე ხელმოწერილია და სავარაუდოდ, სამინისტროშიც გადაგზავნილი! ... ეს კრება და პედსაბჭო უბრალო ფორმალობაა ... დემოკრატიობანას თამაში ...

– იცი რას გეტუვი, ჩემო გენაცვალე, ბრძოლას, ყოველთვის აქვს აჩრი ... დღეიდან ხელმოწერებს შევაგროვებ და ვნახოთ ამდენი მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე რომ ხელს მოაწერს შენს სასარგებლოდ, როგორ გაგიშვებს სკოლიდან ...

– არ ღირს! ... ადამიანებს ნუ გააუხერულებ! ...

– აბა, ამ იდიოტურ შინაგანაწესს უნდა ამსხვერპლო ამდენი წლის შრომა და ჩაბარებული გამოცდები, ამდენი ღამის თევა და

ნერვიულობა?! ... და მთავარი, გახსოვდეს, რომ მაგ ქალბატონს იტანენ და შენ ყველას უყვარხართ! ...

სამასწავლებლოში სიჩუმე ისადგურებს ... კარი იღება და რიგროვობით შემოდიან მასწავლებლებით ... რამდენიმეს გამოკლებით, ყველანი დამნაშავის თვალებით მიმზერენ, თითქოს უსიტყვოდ მებოლიშებიან და უხმოდ მეტშვილობებიან, მკოცნიან ლოყაბზე, მხარზე ხელს მშვევნ და ნუგეშის ნიშნად ხელზე მაგრად მიჭერენ ...

– აბა რა, აქ ხომ კედლებსაც ყურები აქვს! – ქოთქოთებს ლიანა ...

– ხალხო გაიგეთ?! ... ბავშვებს დემონსტრაცია მოუწყვიათ!

– იფისმენჯვერი ნანული აღლევებული გადის და ყველანი მიყვებით დერეფნის ბოლოსკენ, სწორედ იმ ფანჯარასთან, საიდანაც მთელი სკოლის გზი ხელისგულზე მოჩანს ...

ებიში ჩემები შეგროვილან და თან განა მარტო ბავშვები, მშობებიც აქ არიან ... ბავშვებს ცარცით დიდი გული და წრე შემოუხაზათ; „ლალი მასწ, გვიყვარხარ!“ – წერია გულის ქვეშ და წრეში უზარმატარი ასოებით: „დაგვიბრუნეთ ლალი მასწ!“

ყველანი ტირიან ... მე მინდა ვიყვირო, მთელი ხმით ვიღრიალო, ფანჯარას ვეჯავებურები, მაგრამ მეტალპლასტმასის ჩარჩოს საკეთი არ მემორილება და უწეროდ ვაჯანჯლარებ რაჩას ...

– ქალბატონონ ლალი, მიმიშვით ღუმელთან! ... მესმის ჯემიგოს ხმა ... ესეც მისი საყვარელი სუმრობა-ციტატაა საყვარელი და ბავშვებისძრონიდელი ქართული კინოფილმიდან „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“ ... მამაცაცური ძალა მაინც თავისას აკეთებს – ჯემიგო მარტივად აღებს ფანჯარას და ადგილს მითმობს ...

მე ვდგავარ ლია ფანჯარაში და არ ვიცი, მღელვარებისაგან, რა ვთქვა ... ხმა მიწყდება და სუნთქვა მეკვრის ...

– მასწ, ჩემები რიგდებიან! – ყვირის მთელი ხმით დევდარიანი ...

– „არ მესმის“, – ვანიშნებ ქუსტური ენით ... არადა, ყველაფერი მშვენივრად გავიგე, მაგრამ იმდენად მოულოდნელი, გასახარელი და დაუჯავერებული ამზადი, მინდა კიდევ და კიდევ გამიმეოროს ...

– მასწ, ჩემები რიგდებიიაანი ... დედა ალარ წავა იტალიაში და ჩვენ ისევ ერთად ვიცხოვრებებთ! – გაპყვირის დევდარიანი მთელი ხმით და მის ყვირილ მთელი კლასის ომჩიანი ტაში და ყიჯინა ფარავს.

– ლალი, შემოდით ჩემთან – მესმის ზურგიდან წესტანის ყინულოვანი ხმა. და პირველად ჩემს პრაქტიკაში, არანაირ უხერხულობასა და დააბაულობას ალარ მიქმნის მისი მკაცრი ტრინი ... უფრო მეტიც, სრულებით ალარ მადარდებს, რას მეტყვის ... თვალს თვალში ვუყრი და მშვიდი, გაწონასწორებული და წელგამართული შევდივარ სამასწავლებლოში ...

– აბა რა?! თუ ღმერთი შენკენაა, რა მნიშვნელობა აქვს, ვინაა შენს წინააღმდეგ?! – ჩამესმის ლიანას კისკისი : – სხვათა შორის, ეს დიკენსმა თქვა, მაგრამ მე სავსებით ვეთანხმები მას! ... საყვარელი!





ბინან ბორის

პირველყოფილი

დღეს მამა მთვრალი მოვიდა. არ მიყვარს, მამა მთვრალი რომ არის, იმიტომ, რომ დედას ეჩიუბება. არა, ჯერ დედა ეჩიუბება, სულ მთვრალი რატომ მოდიხარო. შერე მამაც ეჩიუბება, აბა, ამდენ ლვინოს და არავს რომ უშვებს ქვეყანა, ვინმემ ხომ უნდა დალიოსო. ბებია გამოდის ოთახიდან და ბავშვების მაინც მოგვრიდოთო... ბაბუას ფეხები სტკივა და სიარული უჭირს, ამიტომ თავის საწოლზე წევს და ახველებს ისე, რომ ყველას გვესმის.

— მამა, სად წვიმდა? — ვეკითხები მამას. ბაბუა ეკითხება ასე ხშირად, თუ ნასვამი მოდის. მამა მიღიმის და მპასუხობს:

— დათა, მალე გაიზარდე რა, რომ მერე ერთად დაულიოთ! მისაღებ ოთახში კესო გამოდის. კესო ჩემი დაა. როცა რამე უნდა და ვერ სწოდება, დადაო, — მეტყვის, ხელს მომტკიცებს, რაც უნდა იმასთან მიმიყვანს და თითოთ მიმანიშნებს, რომ მივცე. ჯერ ორი წლისაც არ არის და წესიერად ვერ ლაპარაკობს. ახლა უცებ ჯუმბერ ტყაბლაძეო თქვა და მერე რამდენჯერმე იმეორებს: „ჯუმბერ, ჯუმბერ...“ და ცეკვას იწყებს...

— ვინ არის, ქალო, ჯუმბერ ტყაბლაძე? — ბრაზობს მამაჩემი, თუმცა დარწმუნებული ვარ, იცის ვინც არის მწვანე დათვი ჯუმბერიც და უირავი უორეც — ამათ გარეშე კესო საჭმელს არ ჭამს.

— მაცდით თუ არა მეცადინეობას?! — ვამზობ მე. არადა მართლა გმეცადინეობდი, წილადებზე ვხსნიდი ამოცანას. ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ უცებ სახლში სიჩუმე ჩამოდგა, კესომაც კი ცეკვა შეწყვიტა, ბაბუა წამოდგა და მეორე ოთახიდან გამოდის. ბებია სავარძელზე ჯდება. დედა მასთან მიღის და პულსს უსინვავს.

— ოჲ, დათა, გამახსნე, აბა, რომელ კლასში ხარ?! — მეუბნება მამა.

— ღმერთო, ისიც არ იცის, შვილი რომელ კლასში ჰყავს! — ამბობს ბებია და ცივ ტილოს შუბლზე იდებს...



დღეს მათემატიკის მასწავლებელთან სერიოზული დებატები მქონდა: გვეუბნება, ნული რომ ხუთზე გავყოთ, ნულია, მაგრამ ხუთს ნულზე ვერ გავყოფთ, არ შეიძლებაო — არ მიყვარს აკრძალვები.

— სრული აბსურდია, იზო მასწავლებელი! — სისულელე უფრო მეგონა, მაგრამ დავინდე მთელი მათემატიკა.

— რატომ, დათა?

— მას, მინდა ამ სახელმძღვანელოს ავტორი მოვძებნო და სად ვნახავ?

— რატომ?

— ეს წიგნი თავზე უნდა დავაფხრიწო!

— დათა, ასე საუბარი არ შეიძლება, ეს არის ძალადობა, შენ შეგიძლია აგტორს მიაწერო შენი მოსაზრება, გაეცნობა მას, იქნებ გაიზიაროს და მადლობაც გითხრას!

— მაშინ გამოდის, მე უნდა დავწერო წიგნი!

— დაწერე და დაარქვი — დათას მათემატიკა! — ამბობს სესილი და ილიმის და ჩემენ აპარებს თვალს. სესილი, უნდა გამოვტყდე, ძალიან მიყვარს, თუმცა სხვებივით სისულელები მასაც სჭირს, მაგრამ კეთილი სისულელები. ერთხელ, მაგალითად, ნინო მასწავლებელს, ჩემს დამრიგებელს უუბნება, ვარსკვლავები ღმერთის ღიმილიაო, ვითომ ღმერთი, მით უმეტეს გაცნებული სადმე ენახოს. არადა სესილი ისეთი გოგოა, მარტო მისი სახელი რომ დავწერო

დაფიზე ცარცით, ან რვეულში პასტით უცებ კარგად ვგრძნობ თავს და ეს სესილიმაც იცის, ჩემმა რვეულმაც და ყველამ, მათ შორის თემუკამაც, რომელიც სულ ორი დღის გადმოსულია ჩემს სკოლაში და უკვე გავაფრთხილე, სესილისგან თავი შორს დაიჭიროს. ამბავი მომიტანეს, ამ დებილმა პირველსავე დღეს შესვენებაზე თურმე

სესილის უთხრა, იცი, რომ ლამაზი ხარო? სესილიმაც თურმე უთხრა, ვიციო. ჰოდა, თემუკამაც გაფრთხილება მიღლო ჩემგან – ამ გოგოს ხუთ მეტრ რადიუსში არ მიუახლოვდე, თორემ მოგხვდება-მეთქი, იყოს ეს დათას მათემატიკა.

– დათა, გვითხარი აპა, კონკრეტულად რა არ მოგწონს? – ფიქ-რებიდან მაბრუნებს იზო მასწავლებელი

– ვინ მოიგონა, რომ ნულზე გაყოფა არ შეიძლება?

– სასკოლო პროგრამაში ასევა, თუმცა თუ შენ სკოლის დამთავრების შემდეგ მათემატიკის განხრით გააგრძელებ სწავლას, ნახავ, რომ ნულზე გაყოფის დროს უსასრულობს ვიღებთ.

– ანუ სკოლაში ბავშვებს გვატყუებენ!

– სასკოლო პროგრამა არ მოიცავს თემებს, სადაც ეს მტკიცდება!

– რა დამტკიცება ამას უნდა, მასწ, ხო გვითხარით, რომ ნულს თუ ნებისმიერ რიცხვზე გაყოფით ნულია, ისიც ხო გვითხარით, რომ რიცხვებს სასრული არ აქვს, ანუ გამოდის, ნებისმიერ რიცხვს თუ პირიქით ნულზე გაყოფით, უსასრულობა...

– საინტერესო მოსაბრებები გაქვს, დათა... ჰოდა, მისწერე წერილი წიგნის ავტორს...



სკოლა საუკეთესო ადგილი იქნებოდა, მასწავლებლები ხელს რომ არ გვიშლიდნენ. რა კარგი იქნებოდა, მივსულიყავით და კლასებში მხოლოდ ბავშვები ვყოფილიყავით. გასართობებს თვითონ მოვიფიქრებდით. ჩემი კლასები ხშირად აცდენენ, ხან გრიპი, ხან სიცე, ხან ეს ახალი კოვიდიც, მასწავლებლები კი ერთს არ გააცდენენ, მაგარ ჯანზე არიან.

ხვალ ორშაბთაია, ანუ სასწავლო დღეა. ისე სკოლა არც მასწავლებლებითა ძალიან ცუდი, განსაკუთრებით შესენება მომწონს, როცა ბიჭები ერთმანეთს ვუტყაპუნებთ. ხან ხუმრობით, ხან კი მიზეზიც გვაქვს. ახლა კი სერიიზული მიზეზი გვაქვს – ხვალ თემუკა უნდა გაილახოს!

დღეს ეზოში ბიჭები ფეხშურთს ვთამაშობდით. მერე ზაბა მოვარდა, სესილი დავინახე თემოსთან ერთად პარუშიო. ყველანი გავარდით. ზაბაში სადაც მიგიყვანა, არ დაგვხვდენ. სესილის მესენჯერში მიგწერე, სად ხარ-მეთქი, სახლშიო. მერე მწერს, იმ შენმა სულელმა ძმაკაცმა ენა მოგიტანა, ხო? არაფერი მიმიწერია. კიდე მწერს, თემო სულ ერთი წმინთ შემთხვევით პარუში ვნახე. ისევ არაფერი მიმიწერია, ის კი ვიცი, ხვალ ვიღაცას მაგრად მოხვდება – ხვალ თემუკა უნდა გაილახოს!

დილით ადრე მისულს კლასის კარგთან დამრიგებელი, ნინო მასწავლებელი მშვდება შეწუხებული სახით. ისე სსვა დროს წვიმაა, თოვლი თუ კარგი ამინდი, სულ კეთილი დიმილი დასთამშებს და ყოველ დილით ისე გვხვდება, ვთოომ ჩვენზე უფრო არავინ უყვარდეს და ჩვენზე უკეთესი არც არვინ ენახოს – შეიძლება ნორმალურ ადამიანს გიუცი კი ევონოს. ასე შეწუხებული სახით მეუბნება, ახლა დირექტორთან უნდა მივიდეთ, შენთან საუბარი სურსო. გაკვირვებული მივყვები და ვისტენებ, ბოლოს რა დავაშვე. იმას აღმა თერ გაიგებდნენ, რომ დღეს თემო უნდა ვცემო.

– მასწ, დედას გეფიცებით თუ ან დაფა გამეტების ან მინა ჩამეტსვრიოს!

– წერილი ვის მისწერე?

– რა წერილი? – ვამბობ, თან ვფიქრობ, მათემატიკის წიგნის ავტორთან ჯერ წერილი არ გამიგზავნია, არადა მართლა ვაპირებ, ერთი რას მიპასუხებს!

– შავ ყუთში.

უცებ მასხენდება – სკოლაში პირველ სართულზე არის ყვითელი ფერის ყუთი, რომელსაც ყველა შავ ყუთს ეძახის, იმიტომ, რომ ასე აწერია, – „შავი ყუთი“ – ეტყობა იმან, ვინც დააწერა, ფერების აზრზე არ იყო. თვითონ ნინო მასწავლებელმა გვითხრა, თუ რაიმე არ მოგწონებათ სკოლაში, ან მოგწონათ, შეგიძლია დაწეროთ, მისამართი დააწეროთ, ამ ყუთში ჩაგდოთ და ვისამაც გინდათ მივაო. არა მგონია, იქ ვინმე წერილს აგდებდეს, მე არ დამინახავს, ყოველ შემთხვევაში. ერთხელ, მაშინ მეტუთე კლასში ვიყავი, მე ჩავაგდე წერილი ყველაზე ბრძნული ტექსტით, რომელიც აღმა თოდებედა დაწერილა. შინაარსი ახლაც მახსოვეს: ბატონონ განათლების მინისტრო, მოაცილეთ რა დირექტორი და მასწავლებლები სკოლას, ისინი გვაიძულებენ სწავლას და ათას სისულელეს და ხელს გვიშლან, რომ კარგად გავერთოთ. ბოლოს კი მივაწერე – დათა აბზიანიძე, მეტუთე კლასი...

– მობრძანდი, დათა აბზიანიძე? – მეკითხება დირექტორი.

საერთოდ ასეთი კითხვების დასმა უყვარს, რის პასუხიც იცის. მის კაბინეტში პირველად არ ვარ, ზეპირად ვიცი – კედლები სულ სიგველებით აქვს სავსე, ნეტა სად დაცვეტა? დიდი მაგიდისა და ბორბლებიანი სავარძლის გარდა აქვს კიდევ წიგნების კარადა, რომელიც ისეა წიგნებით გამოტენილი, ვინმე მწერალმა ახალი წიგნი რომ დაწეროს, არ არსებობს იქ დაეტოს. ასე რომ მწერლებმა და პოტებმა ცოტათი უნდა შეისვენონ და ბუნებაც მოასვენონ – წიგნების ბეჭდვას ხომ უამრავი ხე ეწირება. არაფერი მითქვამს, ან რა უნდა მეტევა, დათა აბზიანიძე რომ ვარ და არა ჯუმბერ ტყაბლაძე ისედაც ვიცი.

– წერილების წერა გყვარებია, დათა აბზიანიძე!

ეს საიდან მოიტანა? ისე არა მგონია წერილების წერა მიყვარდეს. ამ წერილის გარდა, რაზეც ახლა დამიბარეს ერთადერთი წერილი, რომელიც სესილის მიგწერე, მას არც წაუკითხავს, იმიტომ, რომ გაგზავნამდე სულ ნაფლეთებად ვაქციე. ესეც მეტუთე კლასში იყო. წერილის შინაარსი, რა თქმა უნდა, მახსოვეს. მე, დათა აბზიანიძე პატივს ვდებდი სესილი ბარათაშვილს, რომ ის გამხდარიყო ჩემი შეყვარებული და სავალდებულო ათი წესი მქონდა ჩამოწერილი, რომელიც უნდა შესერულებინა. წესების ჩამოთვლა არ მთხოვოთ, სრული კატასტროფა. ამ წესების მიხედვით, მე გამოვდიოდი მეთოვანენ. წვერგაბურძგნილი კაცი, რომელიც ბათუმში დედასთან და კესოსთან ერთად ვიყავი, ბულვარში ვნახე, სესილი კი თოჯინა, რომელსაც ძაფებით ათამაშებენ. მაშინ ვუყურებდი იმ თოჯინას და მინდოდა მაკრატელი მქონდა და ყველა ძაფი გადამეჭრა და გამეთავისუფლებინა. ვითხო კიდეც დედას, მაკრატელი თუ ჰქონდა. დედაჩემა, რად გინდაო. დაიღალა ის თოჯინა, მინდა თავისუფლება ვაჩუქო-მეთქი. თოჯინა ხო უსულოა, სწორედ ეს

კაცი ანიჭებს მას სულს და თავისუფლებასო, – მითხრა დედამ. მერე დაამატა: ეს ძალები ხანაც მოვალეობააო. მაგრად დავიშენი. მერე ცოტა მოგვიანებით მიგვედი, რომ ძალებმა, ანუ მოვალეობამ შეიძლება თავისუფლება წაგართვას ან პირიქით გაჩუქოს.

დირექტორი მახსენდება, იქნებ ეს დირექტორიც თოჯინაა. ახლა კი

ის ჩემს პასუხს ელის, რა მკითხა? ხო, მახსოვეს.

– წერილების წერაზე დიდად არ ვგიუდები! წელიწადში ერთი-ორი?

– აპა, წელიწადში ერთი ან ორი და აქედან ერთი განათლების მინისტრს?

– რა, არ შეიძლება? მეგონა ყველასთან გვქონდა მიწერის უფლება?

– შეიძლება, როგორ არ შეიძლება, მაგრამ შინაარსს გააჩნია! დიას, ბატონი დავით, განათლების მინისტრი მირეკავს დღეს, შენ სკოლაში მოსწავლეებს დირექტორი და მასწავლებლები ზედმეტი რატომ ჰქონიათ.

ეს ბატონი დავით რაღა იყო. ისე და სადმე არსებობს კი სკოლა, სადაც მეტეუთეკლასელი ბიჭი სხვანაირად ფიქრობს? თუმცა ეს არ მითქვამს, რაღაცნაირად სხვებზე გადაბრალება გამომდიოდა. ესლა ვთქვი:

– ეს შარშანდელი წერილია!

– ახლა ზუსტად არ მახსოვეს, მაგრამ ალბათ შემს ასაკში მეც ასე ვთქვირობდი! – გაიღიმა დირექტორმა უცებ. მერე აგრძელებს, ოღონდ უკვე დამრიგებელს მიმართა კითხვით.

– როგორ სწავლობს?

– ჭკვიანი ბიჭია, მათემატიკა უყვარს. ამას წინათ იზო მასწავლებელი მეტყველება, დათას მათემატიკურ ნიჭს ვატყობ, ლოგიკური მსჯელობა არ უჭირს, სახელმძღვანელოს ავტორსაც კი ეკამათება და წიგნით ჩასწორება უნდა. მაგრამ ზოგიერთი საგნის პედაგოგი ემდურის, რაც შეუძლია, იმას არ აკეთებსო.

– რას გააკეთებს? წერილებს წერს, სად სცალია! – ამბობს დირექტორი. – ანუ სკოლა გინდა, მასწავლებლები არა?! – ახლა ისევ მე მეკითხება.

– კი, ასეა! – ვამბობ მე.

– იცით თქვენ, ბატონი დავით, რომ ქვეყნად არც ერთი ბრძენი არ არსებულა, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა?

– ანურა გამოდის, მასწ, პირველ ბრძენს მასწავლებელი ჰყავდა, ხო?

– ასეა!

– მაგრამ პირველი მასწავლებელი ბრძენი არ იყო.

– ასე რატომ ფიქრობ?

– ბრძენი რომ ყოვლილი, მაშინ პირველი ბრძენი ხოის იქნებოდა!

– კი ასე გამოდის!

– ანურა საჭიროა მაშინ მასწავლებელი?

– ეს ვინ ყოფილა! – იღიმის დირექტორი და ნინო მასწავლებელს უყურებს, მერე ისევ ჩემეცნ ბრუნდება.

– წელსაც დაწერე რამე?

– ჯერ არა! ისე ვაპირებ აგტორებს მათემატიკის სახელმძღვანელო უნდა ჩავასწორებინო!

– იმათ რაღა დააშავეს?

– ნულზე გაყოფა არ შეიძლებაო...

მერე დირექტორს ვიღაცამ დაურეცა, გმადლობთ, ნინო მასწავლებელო, შეგიძლიათ კლასში დაბრუნდეთო. ჩვენ გარეთ გამოვედით. შენთან სხვა საქმეც მაქსი, დამრიგებელი მეუბნება, – პირადად გავალებ, თემუკას ადაპტაციაში ხელი რომ შეუწყო და დაიმეგობროო. არაფერი მითქვამს – მოვუწყობ მე მაგას ადაპტაციას-მეტქი, – გულში გავიიფერ.

კლასში მიბრუნებულს ეს თემუკა თუ ვირუკა, ოთახში დამხვდა. სესილი არ იყო ჯერ მოსული. მანდატურები ამ დროს სართულებზე არ დადიან, სკოლაში შემოსასვლელ კარგბანან დაგანან. ბიჭებს ვეუბნები, ყველანი გაყარეთ გარეთ-მეტქი. კაზი კარებთან გარედან დადგა, ზაზა და თორნიკე ამ ვირუკას აქეთ იქიდან ამოუდგნენ.

– ბიჭო, მომისმინე, გითხარი მე შენ, სესილის ხუთ მეტრ რა-დიუსში არ მიეკარო-მეტქი?!

– მითხარი! – ამბობს თემუკა, ვატყობ ხასიათზე არ არის.

– გუშინ ერთად დაგინახეს?

– დამინახეს!

ახლა წესით უნდა ვაფეთო, ადგილს ვარჩევ, სად ვლეწო, მაგრამ ვედად თვალები უცრემლდება. კი არ ტირის ან ბლაგის და რამე, მაგრამ ცრემლები მოსდის. მტირალ კაცს როგორ დაგარტყა? სანამ მე ვარიოლობანას ვთამაშიობ, „დაგარტყა-არ დაგარტყა“, არა იღება და ნინო მასწავლებელი შემოდის, უკან სესილი და მთლად უკან – კაზი. სამთავრობო დელეგაციაარა, ტელევიზიონორში რომ აჩვენებენ სხვადასხვა ქვეყნის პირები და ცხვირები რომ გვიწვევიან, თან უდროო დროს. ალბათ სესილი ჩაგვიშვა.

– აქრა ამბავია? – მკაცრი ხმით იყითხა დელეგაციის ხელმძღვანელმა.

– არაფერი, მასწ, ისე ვასუბრობდით! – ამბობს ზაზა.

– ისე თუ საუბრობდით, ბავშვები გარეთ რატომ გამოყარეთ და კარები რატომ ჩაკეტეთ?

– არავინ არ გაგვიყრია, მასწ, თვითონ გავიდნენ და კარები დაგვეტა! – ეს თორნიკეა

– ხო, მასწ, კარები ზან იკუტება, ხან იღება, ჩვენ რა შუაში ვართ – ამბობს კაზი

– დათა, მითხარი აბა ერთი, რა ხდება!?

– სად რა ხდება, მასწ?

– ნიკარაგუაში! სად და აქრა ხდება, რომ ხართ ჩაკეტილები ითახში და რატომ აქებს თემუკას თვალები წითელი?

– გეომეტრიულ ამოცანას ვარჩევდით, მასწ, რადიუსზე და ალერგია მისცა, აი, თემუკაც დაგვეთანხმება!

– თემუკა და სესილი გადით და დანარჩენები დარჩენენ! სესილი და ეს ვირუკა გადიან.

– გაგიუდით, ხო? ხალხი ხართ თქვენ? ოთხი კაცი ერთზე? დათა, სულ წყალში ჩაყარე, რაც შენზე ოდნავ მაიც კარგი წარმოდგენა მქონდა. ვამაყობდი, კარგი კლასი მყავს-მეტქი.

– რა ხდება, მასწ? – ვამბობ მე.

– ახლა მოკეტე! ვიცი, რაც გაქვთ ჩაფიქრებული! იცოდეთ, არ გამაგიუროთ და ვინმეობ თემოს რამე არ დაუშავოს!

— რა უნდა დავუშავოთ, მასწ?

— იცით, თითოეული თქევნების თავისუფლება, ან თუნდაც თქევნი მუშტის თავისუფლება მთავრდება იქ, სადაც იწყება სხვისი ცხვირი.

— ცხვირსაც გააჩნია, მასწ, ზოგს დიდი ცხვირი აქვს, ზოგს პატარა — ვითომ ვეუმრობ.

— მუშტსაც გააჩნია, მასწ... — ამყვა ზაბა.

— ახლა მომისმინეთ, არამასდებო, მათეს სახარებაშია, „ყველამ, ვინც აიღო მახვილი, მახვილითვე დაიღუპება“, ადამიანს აქვს ენა და შეუძლია ყველა სადაც საკითხის გადაწყვეტა ენით.

— ხოდა, ვასუბრობდით, მასწ! — ვამბობ მე.

— თემუკას რატომ ჰქონდა თვალები ცრემლიანი, ოღონდ არ დაიწყოთ ახლა, თვალში რაღაც ჩაუვარდა და მისთანები?

— დედას გეფიცებით, მასწ... ჩემს პატარა დას გეფიცები, თუ ხელი დამერტყას!

— ხო აპირებდით?

ვერც ერთმა ვერ ამოვიღეთ ხმა.

— ჩემი სიკვდილი გინდათ, ხო...

— არა, მასწ...

— დათა, დამპირდი, რომ თემუკას არაფერს დაუშავებ!

— მასწ, ერთს რომ ვეტყვი, ხო უნდა გაიგოს?

— მოიცა და შენ გესმის მისი?

— რა უნდა მესმოდეს, მასწ...

— კარგი, სესილის უთხრა, ლამაზი ხარო! არ არის ლამაზი სესილი?

— არის.

— ანუ ცუდი თქვარამე?

— არა, ცუდი არ თქვა, მაგრამ არ უნდა ეთქვა...

— შენ რომ უწესებ, ხუთ მეტრ რადიუსში სესილის არ მიუახლოვ-დეო, რა ქნას ახლა თემუკამ, ხუთმეტრიანი ფარგლით იაროს?

— მასწ...

— იცირა, ასეთი არც სესილის არ ეყვარები და არც არავის... იცოდე, გავიგებ, იმ ბიჭს ხელით შეეხები, მე თვითონ გცემ, მანდა-ტურსაც არ გამოვიძახებ.

სულ უბრალო სიტყვების რახარუხია, თემუკა თუ ვირუკა, უნდა იცემოს. ხო არის ექიმი წამალს რომ გამოწერს, ამ კაცს გამო-წერილი აქვს ცემა. სკოლაში თუ არა დედამიწაზე ადგილი დაილია? აი, თუნდაც ნიკარაგუაში...

გაკვეთილების მერე კარგი ძმაკაცებივით გადაეხვით ხელი თემუკას და ერთი კორპუსის უკან მოფარებულში, არავის რომ არ დავენახეთ, გავედით. დიდად არ გავგარღიანებია. როგორ არის ანდაზა, ძალა აღმართს ხნავს. ანდაზაც რა დებილურია, თუ აღმართში გიჭირს, დაღმართში ხანი. ბიჭები წინასწარ გავაფრთხილე, თქვენ ხელს არ გააქანებთ, მარტო მე ვიჩეუბებ-მეთქი.

— თუ გინდა მცემეთ, მაგრამ მაინც მომწონს სესილი და არც ფარგლით ვივლი! — თქვა უცებ და თვალები დახუჭა. ახლა მთავარია, არ გამეცინოს, ხომ ვამბობ, დებილია-მეთქი. ველოდები, თვალს როდის გაახლას.

— ე, ჩემი ძმა, გძინავს? — ეკითხება ზაბა.

თემუკამ ჯერ ერთი თვალი გაახილა, მერე მეორე. ცრემლი მოადგა. ამ ცრემლებმა მომსპო. როგორ მინდოდა, ერთი კარგად მეფეთებინა, არადა, როგორ გინდა დაარტყა, კაცი ლამის ატირდეს. დაანებეთ თავი — ვამბობ. რატოო, — კანი მეუბნება. მტირალ კაცს ვერ დავარტყამ-მეთქი, — ხმამაღლა ვთქვი. ისე კი ვფიქრობ, რა-დაცნაირი ტიპია ეს დებილი, ოთხი კაცი თავზე ვადექით და მაინც თავისას უბრერავდა, არ ეშინოდა. წამოვედით. ის დარჩა, ცოტა გაოგნებული. დათაო, — მეძახის. მივბრუნდი, რა გინდა-მეთქი.

— სესილის მაგრად მოსწონხარ! — მეუბნება უცებ.

— ახალი ამბავი! — ვამბობ მე.

— ერთ რაღაცას გეტყვი და ბიჭებმა არ მინდა იცოდნენ, მარტო შენ გეტყვი!

— ესენი ჩემი ძმები არიან, მაინც გაიგებენ!

— მაშინ არ გეტყვი!

მაგრად შეინახე-მეთქი, — ვუთხარი. არადა, ინტერესი მწვავდა, რა უნდა ეთქვა! მაინც ვერ მოვითმინე — ბიჭებო წადით, ამ კაცთან მარტო სალაპარაკო მაქვს-მეთქი.

— რა უნდა გეტყვა? — ვეკითხები, მარტო რომ დაგრჩით.

— იცოდა სესილიმ, ჩემი ცემა რომ გინდოდათ და ასე მითხრა, თუ ხელი დაგავარეს, მით უმეტეს ოთხმა, ცხოვრებაში დათას ხმას არ გავცემო.

აბსოლუტური სისულელე, რა გულუბრყვილოა ეს თემუკა, გოგობის რა ესმის! გოგორასაც იტყვის, უკულმა უნდა გაიგო! მაგრამ არ მითქვამს ეს. უბრალოდ მივხვდი, რომ ეს თემუკა მართლა არ იყო ცუდი ტიპი...



დილით სკოლაში წასვლამდე ვსაუზიმობდით. ბაბუა შემოდის ოთხში და ომი დაწყოო. რა ომიო, — მამაჩემია. რუსთი უკრაინა-ში შეიჭრაო, — ბაბუამ. სიჩუმე ჩამოვარდა. ჩემი დაც კი გაჩერდა, რომელიც საჭმელს რომ ჭამს, მაშინაც მღერის — ამან, რა თქმა უნდა, ომი არ იცის რა არის. მე ვიცი. ისიც ვიცი, რომ ჩევნი ქვეყანა ახლაც იმშია და ოცი პროცენტი იუჟებულია რუსთის მიერ, ანუ მეხუთედი — ვიცი! წილადებს გავდივართ ახლა. სკოლაში ერთ-ხელ ღონისძიება გვექიდა შინდისის გმირებზე, თან დაგვავალეს, ნახაგები დაგვეხატა ომის თემზე. სესილიმ საქართველოს რუკა დახატა, ბაგშვები ყვავილებით როგორ შედიან მავთულხლართებით შემოღობილ აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სადაც ახლა რუსი კუპანტები არიან.

სკოლაში გამოაცხადეს, უკრაინელ ხალხს და ბაგშვებს დახმარება სჭირდებათო, ყველაც რაღაცა მოიტანა. მე ჩემი ყულაბა გავტეხე, დიდად მაინც არ მევასებოდა ის თიბის გოჭი, რაშიც ველოსიპედის საყიდელ ფულს ვაგროვებდი.

... ტელევიზორი აცხადებს, უკრაინაში უკვე ასამდე ბაგშვია დადუბებულიო. კიდევ ერთი წერილი დავწერე და შავ ყუთში ჩავაგდე, ოღონდ მათემატიკის წიგნის აგტორთან არა, პუტინის სახელ-ზე: პუტინი, იცოდე, „ყველაც ვინც აიღო მახვილითვე დაიღუპება“, შეწყვიტე ომი, წაიყვანე შენი ჯარები უკრაინიდან და საქართველოდან, ოდესალაც შენც ხო იყავი ბაგშვი? ბაგშვები მაინც არ გეცოდება-მეთქი. იქნებ იმანაც წაიკითხოს!

ისევ სესილის სიტყვები მახსენდება ვარსკვლავებზე. თუ მართლა ვარსკვლავები ღმერთის სიცილია, არა მგონია ღმერთს, სასაცილოდ საქმე ჰქონდეს. მაშინ რატომ იქნებოდა ომები, რატომ დაიღუპებოდნენ უდანაშაულო ბავშვები? ვუყურებ კესოს, როგორ დარბის და თავის ენაზე რაღაცა მღერის, ხან ბუტტუტებს. მერე უკრაინულ ბავშვებს ვიხსენებ და მთელი მსოფლიოს ბატისტვინა პოლიტიკოსების გამო მრცხვნია.

— არავის გაძალებით, აქაც საჭირო ხართ, უბრალოდ მაინტერესებს, უკრაინაში საბრძოლველად ვინ წამოვა, რომ ბავშვები გადავარჩინოთ? — ვპოსტავ ჩვენს საერთო საიდუმლო ჯგუშში, სადაც თემუკაც დავამატე.

სამი წამით არ იყო გასული, სწორედ თემუკა იწერება, — მეო. მერე დაემატა თორნიკე და ზაბა. კახი ან ხაზე არ არის, ან... ხო, აქაც ხო საჭიროა ბავშვების დაცვა. კარგია, კახი რომ რჩება. სესილის ჩავაბარებ, რომ ჩემს ჩამოსვლამდე არავინ აწყენიოს. მიგწერე კიდეც, შენ რჩები-მეთქი. კარგიო. მერე დანარჩენებმა მოვილაპარაკეთ, ხვალ დილით საკლასო ჩანთებში წიგნების ნაცვლად მცირე საგზალი ჩაგვეწყო და კლასის ნაცვლად ჯერ რკინიგზის სადგურში მეტროთი გაგსულიყავით, იქიდან კი აეროპორტამდე ავტობუსს გაყიდოლით და მერე პოლონეთის თვითმფრინავში ავპარულიყავით.

თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა. სახლში არავის არაფერი არ გაუგია. ავტობუსში ბავშვების მგზავრობა უფასოა, ალბათ ასევე იქნება თვითმფრინავშიც. აეროპორტში უცდილობთ პოლიციას თვალში არ მოვხვდეთ და მოსაცდელ სკამებზე მოკალათებულები ველოდებით პოლონეთის რეისი როდის გამოწადდება.

— ღმერთო, რა დავაშავე, ეს რა კლასი მყავს?

ასე მგონია, ციდან მოდის ხმა ნინო მასწავლებლის ხმა. ფაფუ, ჩვენი ოპერაცია ჩავარდა, მთელი დელეგაცია დაგვადგა თავზე: ნინო მასწავლებელი, სესილი და დირექტორი, რომელმაც მანქანაში გელოდებითო და გასასვლელისკენ წავიდა. ბიჭებმა მე შემომხედვეს, რა ვენათ. რა უნდა გვექნა, ავიღეთ ჩვენი ჩანთები და ყრუდათვის ბელებივით გამოყევით უკან სესილის და ნინო მასწავლებლს. ერთი ფიქრი მაწუხებს, საიდან გაიგეს? სკოლაში რომ არ ვიყავით და არც სახლში, ალბათ კახი გამოტეხა სესილმ, სხვა ვარიანტი არ იყო — გვაცალოს კახიმ. სესილი ნინო მასწავლებელთან დასკუპდა წინ, ჩვენ უკან ჩავეყარეთ. დირექტორი ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, კი აეროპორტში იყვნენო.

— ახლა, ამ დროს, წესით სად უნდა იყოთ თევენ?

გვეკითხება დირექტორი, როცა ტელეფონზე საუბარი დაამთავრა და მანქანა დაძრა. ისევ ისეთი კითხვა, პასუხი ხომ ისედაც იცის — წესით სად და უკრაინაში!

— ნიგარაგუაში! — ვამხობ მეჩუმად გაბრაზებული.

— დათა! — უკან თავს აბრუნებს და თვალებს მიბრიალებს ნინო მასწ.

— თვითმფრინავების ახლოდან ნახვა გვინდოდა, მასწ! — ამბობს თემუკა.

— ააა, ერთი ამბობს ნიგარაგუაო, მეორე თვითმფრინავების ნახვაო. თან მატყუებთ კიდეც?! არა რა, ნინო მასწ, ეს ბანდა უნდა დავშალოთ!

— მასწ, უკრაინაში ბავშვები იღუპებიან, დახმარება გვინდოდა!

— ამოღერლა თორნიკემ.

— და თქვენ უკვე დიდები ხართ, ხო? თქვენ გონიათ, ვინმეს თქვენთვის იქ სცალია? — ლამის ყვირის დირექტორი.

— ისე თორმეტი წლის ხალხი მეფეებიც ხდებოდნენ და სახელმწიფოს მართავდნენ! — თქვა უცებ ნინომ მასწავლებელმა.

— ქალბატონო ნინო, თქვენ ამართლებთ ამათ მოქმედებას?

— არ გამართლებ, მაგრამ ...

— ხვალვე, ნინო მასწავლებელო, დაიბარე ამათი შშობლები, მოკიდონ ხელი თავიანთ ბავშვებს საბუთებიანად და სადაც უნდათ იქ წაიყვანონ!

— დაიბარებ, ბატონო დირექტორო, ყველა შშობელს და მადლობას გადავუხდი, რომ ამ პატარებს ძალიან დიდი გული აქვთ! და თუ მერე ამ ბავშვებს სკოლიდან გაუშვებთ, მეც დავწერ განცხადებას და მათთან ერთად წავალ!

დირექტორმა ჯერ უკან ჩვენ გამოიხედა, მერე ნინო მასწავლებელს შეხედა. მან წამიერად ჩვენ გამოგვხედა და შევნიშნე, თვალი ცრემლიანი ჰქონდა. ახლა ფანჯარაში იყურება. თემუკაც აპყვება ალბათ — ტირილში ბადალი არ ჰყავს. ცოტა ხანს ჩუმად ვიარეთ. სესილიც კი, საერთოდ ენას რომ არ ჩერებს, ახლა ჩუმადაა და დრო და დრო ჩვენ გადმოგვხედავს.

აეროპორტის გზიდან ქალაქში რომ შემოვდიოდით დირექტორმა ხელზე დახხედა და სამი ხდება უკვეო.

— მგელივით მშია, ნინო მასწავლებელო, აქ გზაზე ისეთი სახაჭაპურე ვიცი, თითებს ჩაიკვენეთ, გეპატიუებით, ბავშვებიც მოშივებულები იქნებიან! — თქვა უცებ. შევნიშნე, ნინო მასწავლებელს როგორ ჩაელიმა, ოლონდ მზოლოდ წამიერად. ისევ ჩუმად იჯდა და კვლავ ფანჯარაში იყურებოდა.

— ბავშვები, ხო გშიათ?! — ახლა ჩვენ მოგვიბრუნდა.

ჩვენ ჩუმად ვართ.

— კარგით, ნინო მასწავლებელო, დავიბაროთ შშობლები და მადლობას ვუთხრათ! — ამბობს უცებ დირექტორი. სესილი ამაზე კისკისს მოჰყეა, ხოდა, მოდი აბა და ნუ გაიცინებ.

ეს დირექტორი მხეცი და ორანგულაზე რომ მეგონა, კაფუში ისეთ სასაცილო სადლეგრძელებს ამბობდა ლამინათით, სიცილით მუცელი კინალამ ამტკიცდა. სესილი ძალიან ბედნიერი იჯდა და ფეხებს საქანელასავით იქნება, თან პირი ხაჭაპურით ჰქონდა გამოტენილი. ნინო მასწავლებელსაც გუნდა გამოუკეთდა.

მერე დირექტორმა ყველანი სახლებში ჩამოგვარიგა, წინასწარ პირობა ჩამოგვართვა, რომ თორმეტი კლასის დამთავრებამდე კლასიდან არსად გაიპარებოდით. ჩემი და ნინო მასწავლებლის მეტობლად დაგასტარდა წინ, ჩვენ უკან ჩავეყარეთ. დირექტორი ვიღაცას ტელეფონით ელაპარაკებოდა, კი აეროპორტში იყვნენო.

— ნინო, მასწ, თქვენ ჩემი ყველაზე პირველყოფილი მასწავლებელი ხართ!

— ანუ ქვის ხანის, ხო, დათა?

— არა, მასწ, პირველყოფილი!

— და პირველყოფილი რატომ?

— პირველყოფილი, ანუ უპირველესი, მასწ...





ცენტრალური

სოფება

მთელი დილაა იმ პაკისტანელ მძღოლზე მეფიქრება, დღეში შუთჯერ რომლობდა შუა უდაბნოში. ჩრჩხე არ ვარ, რატო. შეიძლება იმიტომ, რომ ცუდად ვარ და როცა ცუდად ვარ, ლოცვა მინდება ხოლმე. მაგრამ არას დროს ვლოცულობ. ლოცვა ცუდად მხდის და იმ დღეს მახსენებს, პირველად რომ ვილოცე და მერე მეშინია, ხელები მიკანკალებს და თავს ვანებებ ხოლმე. არადა, ბევრჯერ ვცადე. საერთოდაც, რაღა პაკისტანელი მძღოლი შემ-ხვდა?! მარა, იქ ხო სულ პაკისტანიდან, ომანიდან და იემენიდან არიან ყველანი. მიგრანტებითაა გაქსებული იქაურობა. ისინი რო ცხოვრობენ, ესენი მუშაობენ. ხოდა, პირდაპირ ასიფი შემხვდა და პირდაპირ ისლამაბადიდან, რომელიც დღეში ხუთჯერ ლოცულობდა და ამდენჯერვე მახსენებდა იმ დღეს, როცა პირველად ვილოცე და მოვკვდი.



ლტოლვილების უბნელი კი ვარ, მარა არაფერი მაქს საერთო მაგათაცან. მამაჩემმა იშოვა ეს ადგილი. მამაჩემის ვიღაცაა თურ-შე მთავარი და ამ ცეხში, ახლა რო სუ დახურულია, ერთი ოთახი მისცა. ცუდი არაა. სუნია, მარა სუნს მალე ეჩვევი. ეს ცეხი ადრე ავევის იყო, მარა მერე დახურეს და ვირთხებითაა სასეა აქაურობა. თავიდან მეთქი ფუუ, მარა იშელა შემომარტყა მამაჩემმა, ხმა აღარ ამომიღია მერე. მამაჩემის ვიღაცას ალეკო ჰქვია და წესით, მადლობელი უნდა ვიყო, კარდონებზე რო არ მძინაეს მთელი დამენაგვის ბუნკერთან, მარა მე ალეკო არ მიყვარს, იმიტო რო ბავშვებს ირჯერ დაუჭრა თავისი დანით ბურთი. ლამაზი ბურთი იყო ორივეჯერ. წითელი ვარსკვლავები ეხატა და ძალიან მომწონდა, როცა შორიდან ვუყურებდი ხოლმე.

სკოლის მერე ელიავაჩე ვარ და რაღაც ტუმბუჩქებს და შვაფებს ტაჩით ვათრევ. ორიღარი ერთი გზა. სულ როსა მირეისი გავაკეთო, ფულია. შშიერი არ მოვკვდებით. მამაჩემი რო არ მაგინებდეს, კაი კაცი იქნებოდა. მარა, მაინც რაღაც აირია, გულიანი. ხანდახან, როცა დაღლილს მიმეძინება, მოდის და შუბლზე მკოცნის ხოლმე. თბილად და კონებში როა, ისე, მამურად. ძილში ვარ, მარა ვგრძნობ. ხო იკით, ძილში რო გრძნობ სიცხადეს ხოლმე, მასე...

სიმართლე გითხრათ, ადგილი, სადაც დავიბადე, არას დროს მინახავს. მალევე წამოვედით იქიდან. ჯერ კიდევ თვეების ვიყავი. მამაჩემი ამბობს, ერთი პატარა და საყვარელი ქალაქიან, მარა ჩემზე რო იყოს, სუ არ დაიგიბადებოდი იქ, იმიტო, რო იქ დაბადებულებს სხვანაირად უყურებენ აქ და სხვანაირად ექცევიან. მაგიტო აღარ მიყვარს სკოლაში სიარული. ჩემი სკოლა უღმერთოდ დარჩენილი, ერთი მიგდებული და მივიწყებული ადგილია, სადაც კი არ უნდა ის-წავლო, უნდა გადარჩე. ერთადერთი, რასაც სწავლობ, გადარჩენაა. ბევრია ამსაცერებებს, იმიტო, რო არაა მარტივიერ. სუსტიადამიანი ყველაზე ცოდნა ამ სამყაროში და მით უმეტეს იქ, სადაც ყოველდღე მივდივარ ხოლმე. მეშინია, მაგრამ მაინც მივდივარ და იმას ვუძლებ, რასაც ბევრი, რადგან მეც, როგორც უშემტესობა, სუსტი ვარ. სუსტები კიდე ამ სამყაროში ხო იცით, არავის უყვარს.



„ნახე, ნახე, სომეხა მოდის.“

„სომეხ, ცხვირი არ გაარტყა კარებს, შე ჩემა.“ – იყვირა დიმაშ და რადიატორთან ჩამომდგარმა უფროსკლასელებმა ერთიანად გადაიხარხარეს.

„მახიჯ, მოიწი აბა აქ.“ – ხელით ანიშნა ერთ-ერთმა სომეხას.

„ბიჭო, შენ მართლა სომეხა გქვია, თუ სხვა სახელიც გაქრამე?“

„არმენი მქევია.“

„არმენჩიკ, ხურდა გექნება რამე.“

„არა, არ მაქვს.“

„აბა, დაიგინე...“

„არ ვიგინები.“

„ბოზიშვილი ვიყო, ხურდებით თუ არ ქონდეს გამოტენილი ჯიბე“ – მხარი მიკრა ზაალმა დიმას.

„რორამე, ახტები?“

„რატო უნდა აეხტე?“

„წამო აბა, საქმე მაქ რაღაც შენთან.“ – უთხრა დიმამ არმენს და ყველანი უკანა ეზოში ჩავიდნენ.



საშინელი განცდა გეუფლება ადამიანს, როცა აანალიზებ იმას, რომ სუსტი ხარ, რომ შენი უსუსურობის გამო არ შეგწევს ძალა, ისეთ რაღაცებს გაუმტლავდე, რაც ძილს გიფრთხობს და ცხოვრების სურვილს ერთიანად გაცარგვინებს ხოლმე. როცა ამყველაფრის გან იღლები, ერთადერთი, რასაც აცემები, გაქცევა. გაურბისარ ყველას და ყველაფრენს და საჭუთარ თავში ჩაცემილი ცდილობ არსებობას სამყაროში, სადაც ადამიანებმა ერთმანეთის თვის კიარა, ერთმანეთის გარეშეცხოვრება ისწავლეს და ასე და ამგვარად, ჩემი ცხოვრებაც მუდმივად გადაიცა ბრძოლად და გაქცევად და ამ ყველაფრები ყველაზე საშინელი ის იყო, რომბოლომდევრცერთს ვახერხებდი და ვერცმეორეს, რადგან, მუდმივად და გაუთავებლად, სამყარო ფქებს ჩემშე იწენდედა ხოლმე და ბრძოლას, გაძლებას და სხვა დანარჩენს, არაფერი რომ არ სჭირდება ისე, როგორც ერთობრმა ამოსუნთქვა, რომელსაც ამოაყოლებს სხეულში და გროვილ ტკივილებსა და ემოციებს – ეგ მეტად ბუნდოვანი რამ იყო ჩემთვის და სწორედ ამიტომ ხდებოდა ის, რაც ხდებოდა.



„ძაან დაილეწება, შეჩემა, ნუდა ურტყამ!“

„დაილეწოს, მოსტყვნია პატრონი!“

დიმა გამეტებით მირტყამდა ორივე ფქეს.

„ეგ არი ფული არ მაქონი?! ეგ არი?!“ – აგრძელებდა ყვირილს.

„პა, რა გჭირს, შეჩემა?!“ – მხარში წაავლო ლუკამ დიმას.

„გადი, ბიჭო, აქედან!“ – გაიქნია ხელი ლუკასკენ და ლუკაც იქვე წიაპარბაცდა.

„შენისომეხი დედა მოგტყან, შენი!“ – საკონტროლო გასროლასა-ვით გაიქნია დიმამ ფეხი და სახეში გამარტყა.

„ბიჭო, რამ გაგამწარა?“

„ლუკასონ, არ მინდა გაწყვნინო და გამცილდი.“

„რა გაგცილდე, შეჩემა, მოყალი ლამის, ტო.“

„მოსაკლავი უნდა მოიკლას. მოსატყნავი უნდა მოიტყნას.“

„ამან სუ გარეკა, არა?“ – მიუტრრიალდა ლუკა ძმებ ანდრონიკაშვილებს.

„მამენტ ღირსია, ამის ბურატინო დედასაც გავცხე.“

„ვახ, ბიჭო...“ – ამოხვნეშა ლუკამ.

„წამო რა, წამო, ვჭმოთ რამე. ფუ, სუ გაოფლიანდი, მე ამის.“ – ჯერ ზედ მომაფურთხა, მერე გადახვია დიმამ ხელი ზაალ ანდრონიკაშვილს და როგორც იქნა, გამცილდნენ. სახე მთლიანად სისხლიანი მქონდა და მთელი სხეული მტკიოდა.



ვერასდროს წარმოვიდგენდი უდაბნოში უფრო მეტი ისიგრილე თუ იქნებოდა, ვიდრე ქალაქში. მანქანიდან გადმოვედი თუარა, დამიბერა ნიავე და შემაშორ იფლი ტანზე. გარშემო უამრავი ხალხი ირეოდა და ყველას მომატებრებლად ბედნიერი სახე ჰქონდა. აქეთ-იქით და-სიცხული აქლემები და ზოგინებოდნენ და ზემოდან შემოსკუპული ტურისტები და კურეტილები იღებდნენ ფოტოებს.

„Tonight here will be dance show. You will enjoy it!“ – მითხრა ასიფა, ყინული გივი წყლის ბოთლი გამომიწოდა და გვერდით ჩამომიდგა. იმის მიუხედავად, რომ წყალი საშინლად უგემური იყო, მაინც ერთი მოყვედებით გამოვცალე.

„Hope so.“ – ვუთხარი და გავულიმე.

ოოტახანი ორივე ჩუმად ვიდექით და შორს, უდაბნოში ჩაკარგულ ქარავნის ვაკირდებოდი.

„After the show try to be near the door, okay? I will find you.“ – მითხრა ასიფა და გამიღიმა.

„Sure.“ – მხარზე ხელი დავარტყოდა გავცილდი. იმწამს საშინლად მომინდა მარტო ყოფნა.

ცხოვრებაში ძალიან ბევრი მზის ჩასვლა მინახავს სხვადასხვა ადგილებიდან. პატარა რომელი ვიყავი, დედაქენების ფოთში მივყავი დეიდა ლილის თან ზაფლულის არ დადეგბების გასატარებლად. სანაპიროს თან ძალიან ახლოს, ორსართულიან სახლში, თავის ქმართან ერთად მარტო ცხოვრობდა. ლამზიდა მოვლილი ეზონ ჰქონდათ. უშვილოდ და რჩენილი ფლან შევებას ყვავილების მოვლაში პოულობს. რაც თავი მქასოვს, ყოველთვის მიყვარდა იქ ჩასვლა. საღამობით, როცა ყველა ეზოში, მრგვალი, შემის მაგიდის გარშემო იყრიბოდა კარტის სათამაშოდ, გავიპარებოდი სახლიდან და სანაპიროზე მარტო და გეტეტიალობდი. სწორედ იქ შემიყვარდა ზღვა, თოლიები და მზის ჩასვლა, რომელიც სანაპიროს ქალაგებში ყოველთვის განსაკუთრებულია ხოლმე.

როგორც შეუდაბნოში მოწყობილი კემბიდან გარეთ გამოვედი, ცოტა ხნით მაღლა, ხალხისაგან და ცლილი დიუზე ავედი. სიცხე იღდნა ვადაც არ მიგრძნია. სასამოვნო ნიავი უბრავდა და იმ უამრავ ჰორიზონტ-თაგან, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში ჩემ წინ გადაჭიმულა, უდაბნოში ჩასვენებული მზი მაინც ერთიანად შთამბეჭდავად მოქმედება. დიდ ხანს არ გავჩერებულვარ, რადგან მაღლევ და ბენელდა და გადავწყვიტე. უკან და გრძნებულებული ყვავი, ნელა ჩამოვლების დიურის და შევაბიჯე თუ არა კემბში, არც ისე მოშორებით, ასიფი და ვლანდე, რომელიც მუხლებში იჯდა და ლოცულობდა.

ცოტა ხანში შოუც დაიწყო.



„ისე, რო აეღო ეგ ცხვირი და ეტავებინა თვალში, სად მიდიოდი მერე?“ – სიცილით ჰეითხა ზაალმა დიმას.

„დიმა როგორი ველურული იყო, ნახევთ? მოსაკლავი უნდა მოვალას, ბრაატ.“ – აყვა საბაც და გადაიხარხარეს.

„მატურარა ნაბიჭვარი. არ ერჩივნა, მოეცა თავიდანვე? მარა, ხო უნდა გაგაოფლიანონ და დაგლალონ ამჩემისებმა.“ – ამოლაპარაკა დიმამ და თონის ლობიანი ჩაბერია.

„ბიჭო, ლუკა, შენ რა იყო, რა გეტაცა, ე?“ – გახედა ზაალმა ლუკას, რომელიც იქვე, ბორდიურზე იჯდა და თავიდაბლა ჰქონდა და ხრილი.

„არაფერი.“

„ეგრე გაგიჭირდება, ძმაო. შენ თუ ამნაირ ნატიჭვრებს და ჩათლახებს დააპადერშეკებ, მაგათ დაემსგავსები მერე და იქნები იმ ცხვირასნაირი.“ – გახედა დიმამ ლუკას.

„მართალია, ლუკასონ. ასეთისალირაც უფროცოტაიქნება, უკეთ ვიცხოვრებთ.“ – დაეთანხმა ზაალი.

„ბიჭო, მამენტ, ცოტანი იყვნენ. ასწორებს ლობიანები, არა?“ – მხარი მიყრას საბამზალს.

„ლიჩნად მე, ის სომეხსანაირი რო ვიყო, თავი თუ არ დამებრიდა ეგრევე, ბოზიშვილი ვიყო. ჯერ რას გავს, ტო.“ – თქვა ზაალმა და სიგარეტს გაუკიდა.

„ზაალ, შეწც კა გაქ ეგ შუბლი დესნა დვას სკამივით, შეჩემა და ხო არ ეძმაკაცებოდი?“ – ჰეითხა დიმამ სიცილით დაცარიელი ცელოფანი გვერდზე მოისროლა.



„არმენ, ასეთი რაღაც არ შეიძლება! კაცი არა ხარ?! სკოლიდან ერთი უბრალო ჩერების გამო არ გადადიან.“ – მითხრა ჩემმა დამრიგებელმა, ნოდარმა და თავისი კაბინეტის კარი მიაჯახუნა.

„აღარ შემიძლია ამდენი დაცინვა და დამცირება.“

„მომისმინე: კაცად იმიტომ გაგარინა ლმერთმა, რომ უფრო მეტად გაბედული იყო და შეგეძლოს სირთულეებთან გამკლავება. ვის არ უჩეუბია? ბავშვობაში ყველა ვრჩებობთ.“

„არავის იმდენს არ დასცინიან და ამცირებენ, როგორც მე.“

„იქნებ შენზია პრობლემა? ადამიანმას საკუთარ თავში უნდა ეძიოს მინუსები და მისი გამოსწორების გზები.“

„მე რა უნდა დამეშავებინა მაგათვის?“

„აბა, მე რა ვიცა?! შენზე უკეთ არავინ იცის ეგ. დაფიქრდი და მოეშვი სკოლიდან გადასვლაში ფიქრს.“

„იმათ რატო არავინ არაფერს ეუბნება? იცით, რამდენ ბავშვს ამწარებენ? ვიცი, რომ იცით...“ – ვუთხარი და ვიგრძენი, როგორ ამიცრემლიანდა თვალები.

„არმენ, მომისმინე... ქალივით ნუ იქცევი. ჩემთანაც რომ მოხვედი, ეგცარასწორი საქციელია. რა გაწუწუნებს?! ან რა გატირებს?! კაცი ხარ. როდის იყო, კაცები ტიროდნენ?“

„არ ვტირი. უბრალოდ ნერვები მეშლება.“

„ხოდა, დაიწყნარე ეგ ნერვები და ეცადე, თავი ხელში აიყვანო, კარგი?“



„იშოვე რამე?“

„ოთხი ლარი. არ იყო ხალხი.“

„ოთხი ლარი?!“

„ხო.“

„რა იყო, გეზარება მუშაობა?“

„არ მეზარება, მამა. არ იყო ხალხი.“

„წადი, წადი, სიგარეტი შემომიტანე.“

„და პური?“

„წადი, სიგარეტი შემომიტანე-მეთქი!“



იცით, ხანდახან როგორ მინდა ფიქრი შევწყვიტო? უბრალოდ ვიჯდე და არაფერზე ვფიქრობდე: არავისი და არაფრის მეშინოდეს

კიდე; ყველაფერი, რაც ჩემგარშემოხდება, ცუდისიზმარი აღმოჩნდეს და ისე უცხოვრობდე, როგორც სავები, – ბედნიერად დარალაცანაირად კარგად. მაგრამ არ არის ეგრე, არციქნება, აღბათ. ზოგი ხომ მხოლოდ იმიტომ იბადება, რომ იტანჯოს და ბედნიერებისგან მუდმივად განცალკევებით იდგეს, – ვერას დარის მისწვდეს და მიაგნოს. არ ვცი, რატომ, კანონზომიერებისა რმწამს და საერთოდაც, არაფრისა რმწამს. არც ღმერთის და არც ხალხის. ყველაფერი მოგონილია. ყველაფერი აბსურდი. ერთი დიდი ის ულელედა მეტია არაფერი, რომელსაც ბრმად ვიჯერებთ, რომ გადარჩენა შევძლოთ. მინდა, რომ არ ვფიქრობდე იმაზე, რჩეც ახლა და ტელევიზორის პულტივით ვმართავდე ყველა ფიქრს, მარა არ გამომდის. ვერ ვუძლებ და რამდენადაც ვერ ვუძლებ, იმდენად მეშინია კიდე. ყველასი და ყველაფრის. ვერ ვერევი. ვერავის და ვერავერს ვერ ვერევი.



ცეცხლოვანი შოუ ზუსტად ცხრა საათზე დაიწყო, რომელსაც მუცლის ცეკვა მოჰყვა და კიდე რაღაც, რომლის სახელიც ვერაფრით დავიმახსოვრე. განსაკუთრებული არაფერი თუმცა, ყურებად ღირდა. ასიფიჩემთან ახლოს იჯდა და გემრიელად ილუგებოდა. მე რაც კუჭის პრობლემები დამეწყო, ვცდილობ, საეჭვო საკვებს თავი ავარიდონ და ვახშია უარი ვთქვი. რაღაც ქაბაბის მსგავსი იყო, მგონი. მთელი დღის დაღლილობას ერთიანად ვგრძნობდის ხეულში. იმის მიუხედავად, რომ სანონტერესო და ნაყოფიერი დღე გამოვიდა, მაიცერთის სული მქონდა, როდის მივაღწევდის სასტუმრომდე, წყალი რომ გადამევლო და დამეძინა.

„Nodar, You look tired.“ – მითხრა ასიფა და გვერდითი ჩამომიჯდა.

„Yeah. I really need sleep. Tiring but very good day.“ – ვუთხარი და გავუდიმე.

„Did you like the show?“

„Yeah. It was really good.“



„მიდი, მიდი, ლუკა, შენდა დარჩი.“

„ჰა?“

„მიდი, შენდა დარჩი-მეთქი. - ეუბნებოდა დიმალუკას და შესსნილ შარვალს ვკავდა.“

„კაი რა, დიმა, არ მინდა.“

„ბიჭო, როგორც შენლა დარჩი-მეთქი, ესე იგი შენლა დარჩი.“ – დაძაბა ტონი დიმა და ლუკას გაწია.

„მიდი, მიდი, ლუკასონ, რა გჭირს, ტო. გავერთოთ.“ – ჩაერთო დიალოგში ზაალი.

ლუკამ ენელა მიიჩია არმენისკენ, რომელიც თვალცრუმლიანი უნიტიქებს შორის გამყოფ კედელს იყო მიუღუდებული, შარვალი შეიხსნადა ზედ მიაშარდა. ბიჭებმა სიცილი ატეხეს. განსაკუთრებით ხმამაღლა დიმა იცინოდა, რომელიც იქვე, ფანჯარასთან იყო ჩაცუცქული და პირველს აბოლებდა.

„რაო, სომებ, წევიმს, არა?!“ – მიარტყა ზაალმა ფეხი არმენს.

„მაგრად დაუტვია, შეჩემა.“ – გაეცინა დიმას.

„საღოლ, ლუკასონ, ნაპორიც ეგეთი უნდა, შეჩემა...“ – ამოილაპარაკა ზაალმა და მანაც სიგარეტს გაუკიდა.



“Вы ничего не сказали о своей жене, Гриша”.

“О моей жене?”

“Да”

“Несколько лет назад она умерла от тромба”.

“Мне жаль.”

“Она была хорошей женщиной. Единственной, которая любила меня больше, чем самого себя.”

“Вместо этого у вас теперь есть Армен, и вы должны быть осторожны.”

“Почему ты не женился, Дэвид?”

“Это не сработало для меня. Не повезло, может...”

“Так понятно.”

“Пусть этот тост будет в память о вашей жене.”



ვერ ვიტან, დედას რომ მაგინებენ. თვალები მეცრემლება და მაღალ ხმაზე ღრიალი მინდება ხოლმე. მაგრამ ისინი სულ დედას იგინებიან. მაგდროს ურჩებზე ლებებს ვიჟარებ, იმიტო, როდედაჩემი ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარდა. როცა მოკვდა, ვერ დავიჯერ, სანამ არ დავასაფლავე მე თვითონ დარო დავასაფლავე, მერც მიჭირდა დავერება კაი ხანი, იმიტო, რო სულ მეგონა, ვინც მთელი გულით გიყვარს, სულუნდა იყოს და არც უნდა მოკვდეს და არც უნდა წავიდეს სადმე. რომ იცოდნენ დედა არ მყავს, შეიძლება აღარ შემაგინონ ხოლმე. ბოროტები კი არიან, მაგრამ დედა მაგათვის ბერეს რომ ნიშნავს, ვიცი. გაგონილი მაქს სადღაც. ერთადერთი ადგილი, სადაც არავინ არაფერს მეუბნება, ელიავაა. იმათვის სულერთია, ვინ ვარ და საიდან ვარ. იმათ შეკაფი მიუტნე მანქნასთან და ვსო, სხვა არაფერი უნდა ათმაგათ და მეცმაგას ვაკეთებ ჩუმად და ჩემთვის, არავინ რო არ შევაწუხო ისე. ხანდახან ზედმეტ ფულსაც მჩუქნიან და იმაჩუქარ ფულს მატრასის ქეში ვინახავ. პატარა რომ ვიყავი, რაღაც წიგნი წავიდითხე. ერთი ბიჭი დგება და სახლიდან გარბის. მე სახლი არ მაქს, მაგრამ ამ ცეხიდან გაქცევაზე ხშირად მიფიქრია. აი, დილას რო დგები და რომ მიდისარ და ვსო, რომ იცი უკან დამბრუნებელი არახარ, იმიტო რო უკან არაფერია კაი, ეგრე. მაგიტო ვინახავ ფულს. სადმე გაქცევა რომ დავაპირო მაგისთვის.



„არმენ, რა სისულელებს შელაპარაკები?“

„მართლა ეგრე იყო, ნოდარიძას. დედისს სულს გვიცებით, მასე იყო.“

„რა ტყუილზე იფიცები დედაშენს? არ გრცხვენია?“

„არ ვიტყუები. მართლა ეგრე იყო-მეტექი.“

„რა იყო ბიჭო ეგრე, დაბლა დაგაგდეს და ზედ დაგაფსა ყველამ? არ გრცხვენია აშელა კაცს, ასე რომ იტყუები?“

„გთხოვთ, დაბლაპარაკეთ დირექტორს. იმათაც დაბლაპარაკეთ, რომ თავი დამანებონ. არაფერი დამიშვებია მაგათვის. მესაერთოდ არ დამიშვებია არავისთვის არაფერი.“

„დორექტორს დაველაპარაკო? დაისას სულელები ვუთხრა, რაც ხალა მომიყევი? გონია, დამიჯერებს მერე? რა ქალივით იქცევი? რა გჭირს?“



იმ დღეს შესვენებიდან ახალი დაბრუნებული ვიყავი. სწორედ იმ დღეს ვილოცე პირველად და უკანას კნელად. იმის მერე ძალიან დიდი ხანი გავიდა, მაგრამ ის დღე, ისწუთიდა მომენტი, არასად მიდის. ყველა-

ფერი, რაც მაშინ მოხდა, აჩრდილად იქცა და დამყვება, – ამოსუნთქვის საშუალებას არ მაძლევს. იმის მერე ბევრ რამები ვიფიქრება. საკუთარი თავიც ბევრჯერ მივატოვე და უარი ვთქვი ჩემს სახეზე, რომლის დანახვაც ყოველ დილით მეტი ბოლოდა. სარკე, რომელიც ოთაში მეკიდა დავამსხრიო. საკუთარ თავს არ ვგავდო. დღესაც ვერაფრით დავემსგავსე და ვიცი, ვერც ვერას დროს შევძლებ საკუთარი თავის ბოლომდე დაბრუნებას.

არსებობს რაღაც, რაც არასდროს გატოვებს. რაც მუდა მ შეწია და ყელში ხელები ისე აქვს წაჭრილი, გევონება, რამდენიმე წამში თვალებს მიბინდავ და საღალაც, ჯერ კიდევ შეუცნობელ სამყაროში გადაბარები. არ არსებობს ამ სამყაროში სინანულობრივი დაავადება. იმის მიუხედავად, რომ ადამიანი საშინაოდ ამტანი არსებაა, სინანულის ზიდვა ისე ჭირს, როგორც მთამსულელის სოლო ასი მეტრის გავლა პიკადე. ვერ ერევა და მჯერა, ვერც ვერას დროს შეძლებს სინანულის წარსულში მოტოვებას. გმორიცხულია. არ ვიცი, უკეთესად გახდომის შესაძლებლობას გვაძლევს სხეულში სიმივნე-სავით გამჯდარი სინანული თუპირიქით, ხელს გვიშლის მეტამორფოზში, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ დღე, რომელსაც დილიდან საღამომდე წელავ, ხშირად, უბრალოდ ტანჯვის გამეორებაა და მეტი არაფერი.



„ნოდარიი! ნოდარიი! ნოო დააარ! – ყვირილით შევარდა მაყვალა სამას წავლებლოში.

„რა ხდება? რა ამბავია?“ – წამოხტა ნოდარი ფეხზე.

„არმენი...“ – „რა ხდება, მაყვალა, გამაგებინე.“

„არმენი...“ – სიტყვა უწყდებოლა მაყვალას.

„რა სჭირს არმენს, გამაგებინე...“ – მივარდა ლეილა, ქართულის მასწავლებელი.

„არმენმა თავი ჩამოიხრჩო, ნოდარ. თავი ჩამოიხრჩო.“



ორი საათის განმავლობაში ხმა არ ამოგვიღია არც მე და არც ასივს. თავი ფანჯარაზე მქონდა მიღებული და ჯერ უდაბნოს წვრილ ზოლს, შემდეგ კი, ღამის ქალაქს ვაკვირდებოლი. ყოველთვის მიყვარდა ღამის გზა. როცა ფოთში მატარებლით მივდიოდით, ყოველთვის ფანჯარასთან ვიფექი ხოლმე და ვუყურებდი, როგორ სწრაფად იცვლებოდა ღამის ბერიაუები და მიყვარდა ის მომენტიც, როცა პირველად დავინახავდი ზღვას. შუა გზაში ასივმა მანქანა გვერდზე გადააყენა. სანამ რამეს მეტყოდა, მე თვითონ და ვუქუნიე თავი თანხმობის ნიშნად. მეგობრულად გამიღიმა და მანქანიდან გადავიდა. რამდენიმე წამში მეც გადავყევი.

“Can I pray with you?” – ვკითხე ასივს.

“What?” – ასივმა გაცვირვებულმა შემომზედა.

“Can I pray with you?” – გავუმეორე და თვალები ამიცრემლიანდა.

“Sure.” – თავი დამიქნია და ხელით მიწისკენ მიმანიშნა.

ვისხედით მე და ასივი მუხლებზე დაჩრეილები გვერდი-გვერდ ღამის ქალაქში, უსმენდით სიჩუმეს და ჩერენს ლმერთებს, ჩერენს ენზე ველაპარაკებოდით. და როცა ჩერ წინ პატარა ბავშვები გაირბენენ, ყველა მათგანში იმ არმენს ვხედავ, რომელიც ვერ გაზიარდა. ვხედავ და ჩემს თავს უამრავ შეკითხვას დაუსრულებლად ვუსვამ.





ინიციატივის

რეფორმის მოვლენი აიდეა?!



სალამი, მასწონ! იმ დილით რა ხდებოდა, არ მახსოვეს. სალამოს კი რალაც აქცია იყო. მე აქციებზე არ დავდივარ. ერთი-ორჯერ მამარქმის გაცემი, მაგრამ წესიერად ვერაფერი გავიგე, ვინ რას აპ-როტესტებდა, ვინ რას ითხოვდა. ახალგაზირდობამ უნდა შეცვალოს მომავალით, წარამარა ამას დამძახოდა მამარქმი და მე, 14 წლის ალექსას, საერთოდ რომ არ მაინტერესებს პოლიტიკა, მომავალი როგორ უნდა შემეცვალა? ალბათ სიგარეტის ნამწვი არ უნდა მომესროლა იქ, სადაც მომეხოშებოდა და ცოლს რომ მოვიყვანდი, ბოლო ხმაზე არ უნდა მეტრიალა მისთვის. ეს რომ ვუთხარი მამარქმს, ეწყინა. მთელი გზა ჩუმად მოვდიოდით. ძალიანაც კარგი. თავი მომაბეზრეს შშობლებმა! დღე და ღამე მაგათ დაკა-დაკას ვუსმენ. სიტყვას არ არჩენენ ერთმანეთს. მაგ დროს სახლიდან გაქცევა მინდა!

მასწონ იცით, მე ბირჟავივი არ ვარ. ან სკეიტის მოედანზე, ან მავნესთან გადავდივარ მუსიკის მოსასმენად. ესაა ჩემი გართობა, თავისუფალი დრო ცოტა მაქეს. ინგლისურზე დავდივარ. ფეხბურთი მიყვარს. არ დავიმალავთ, მასწონ, ზოგჯერ მოსაწევსაც ვეწევი, მაგრამ ახლა ყველა რალაცას ეწევა, ყველა სადღაც დაძვრება მაგის საშოვნელად.

იმ დღის გვიან სალამოსაც მავნესთან წავედი ნერვების დასაწყისარებლად. აქციის ხალხმა მაგრად დამქანცა. გზაში ილიკო შემხვდა, დიდ ბიჭებს ბოთლში ლუდი ჩაეტოვებნათ და ეს უნამოსოდ წრუპავდა. თავის ექებს ბებიაჩემი, სადმე ხომ არ შეგვედრია, მკითხა. ექვსი წლის თავი მისი და იყო. სულ ეკარგებოდა ოჯახს. ერთხელ სანზონიდან მოაბრუნეს. ავტობუსით მოინდომა სეირნობა.

მავნესთან ხალხი დამხვდა – დავითა, ნინჩო და მისი მეგობარი თუთა, მარყუჟა და ვიღაც ორი დაბოლოლი ტიპი კარტს თამაშიობდნენ. მარყუჟა, მასწონ, ნუგო ინასარიძეა. თქვენც გეცოდინებათ, აპრილში მათემატიკის საქალაქო ოლიმპიადაში რომ გაიმარჯვეთ. დედამისი მცერავია. შარვალზე ფერადი ძაფების ნარჩენები მავიტომ აქვს სულ აკრული. მარყუჟასაც მაგიტომაც ეძახიან.

ცოტა ხანში მავნესთან მიშოც მოვიდა. აფორიაქებული მეჩვენა. თვალები დაურბოდა და წარამარა აიგანზე გადიოდა. რაღაც ექნებოდა მოწეული. თმააჩერილს ცხვირთან ლიანდაგივით ახალი ნაცარწები ეტყობოდა. თითქოს ვიღაცამ სამართებელი ჩამოუსვაო. ვუთხარი კიდეც, რა იყო, ბაბუაჩემმა ხომ არ გაგპარსა-თქო. ჩაიცინასავით და მავნეს მოსაწევი მოჰკითხა. იმან, აღარ მაქვს, რაც დავთესე, სარაწასავით სამ დღეში გადაუარეთო, დაგვაყვედრა და გოგოებზე მიგვანიშნა, სჯობს ესენი გაართოთო.

ნინჩოს ვიცნობდი, ამიტომ მეორე გოგოს, თუთას მივეტმასნე. ხომ არ დავექრაში, ერთი კი გამკრა, ისეთი ხორბლისფერი თმა და ფართო შარვალში ჩაკარგული ტანი ჰქონდა. ულამაზო, სქელძირიანი ვარდისფერი ბოთქასი ეცვა. მაგრამ ნინჩოსგან განსხვავებით, ლოყა ეწევლიტებოდა და კლდეზე ცოცვა აინტერესებდა. ჩვენც იგ თემა გავაჯაზეთ.

დავითა და მავნე საშიარეულოში კარტოფილის გასათლელად გავიდნენ, იქიდან გვესროდნენ უაზრო კომენტებს. მარყუჟა ტელეფონში იჯდა. ქვეყნად მათემატიკური ალგორითმების გარდა არაფერი იცოდა. ჩვენც მხოლოდ ფულის გამო ვემეგობრებოდით. თუ ფული ჰქონდა, მასწონ, არასოდეს უმოტავდა, ან თუ რამე იყო საშოვნელი, ცხრა მთას გადაივლიდა და იშოვიდა.

მიშო იმ ორ ტიპს ჩაუსასტავდა კარტის სათამაშოდ. მე თუთას ვაკვირდებოდი, მაგრამ ბოლოს გული ამიცრუვდა, უდროო დროს ეწერებოდა ლაპარაკში და არ მომეწონა.

უცბად კარზე გაბმული ზარი გაისმა. რეკავდნენ და რეკავდნენ. ილიკო იქნება, მავნე და კარი შეაღო. სადარბაზოში მართლაც ილიკო იდგა. თვალები გადმოეკარვლა. სწრაფ-სწრაფად სუნთქვავდა.

– თაკო... თაკო... ვილაც ნაბიჭვარმა კინალამ გაუპატიურა, მაგის დედა, მაგის დედა! მეზობელმა ჩახდილი იპოვა სუსლიკას კორპუში, სარდაფთან...



ილიკო ჩვენზე ცოტა უმცროსი იყო. ჩვილობაში მესამე სართულიდან გადმოვარდა და გადარჩა. ოლონდაც ზოჯვერ ენა ებმოდა და უკუდმართად იქცეოდა. ფეხბურთის თამაშს თუ გადავწყვეტით, ატყყდებოდა, კალათბურთი ჯობიაო. კალათბურთს თუ ვთამაშობთ, შეუა თამაშიდან ფეხბურთის მოედანზე სხვებთან გაქანდებოდა.

ილიკოს შშობლები, შშობლები რა, დედამისი, საბერძნეთში ვილაცას პამპერსებს უცვლიდა და ჯვახს საჩინ ფულს უგზავნიდა. თაკოს და ილიკოს ბებია ზრდიდა. კი არ დავცინი, მასწორ მაგრამ ეს ბებია შექანებული იყო, სკლეროზიანი - სულ რაღაცას ექტბდა, ან თაკოს, ან ჩამოცვენილ სარეცხს, ან ვინმე დამლაპარაკებელს. თუ გამოგიჭრდა, ტვინს ღუნავდა, წერტილ-მძიმის გარეშე ლაპარაკობდა, ვერ დაუძვრებოდი. ბებიას თაკო და ილიკო დაუინებით დაჰყავდა წირვაზე და საეკლესიო გუნდში მძღორებდა.

– სადაა ახლა შენი და? თქვი! ბებიაშენი სადლაა? – ყველამ მივაყარეთ კითხვები ილიკოს.

– შემწვით! – იღრიალა ილიკომ. – სახლში არიან, სად უნდა იყენენ. პოლიცია მოვიდა... აუზუ, მოვკლავ, მოვკლავ მაგ ნაბიჭვარს!

მასწორ მე და არ მყავს, მაგრამ ეს რომ ვინმეს ჩემი პატარა დისტვის ეკადრებინა, არ ვიცი რას უზამდი. უცბად ისე შემეცოდა თაკოც, ილიკოც და ბებიამისიც, რომ გული შემეკუმშა. ბოლოს, მასწორ ეგეთი გულის კუშმა თქვენ რომ „შვლის ნუკრის ნამბობს“ გვიდითხავდით, მაშინ მქონდა.

იმ წუთას სხვა ვერაფერი მოვიფიქრე, ნინჩი და თუთა სახლში გავისტუმრე. მაგათი წიოკობა სიტუაციას უფრო დაძაბავდა.

დავრჩით ბიჭები.

მავნემსაიდან დაცსი გარეტი გააძრო და გავაზოლეთ. მარყუჟა და ის ორი უცხო ტიპი გააქტიურდა, ვიღაცებთან რეკავდნენ და არკვევდნენ, საეჭვო ადამიანი ხომ არ გამოწენილა უბაშში. მიშო აივანზე იყო. დავითა ილიკოს აწყნარებდა, ვიპოვით მაგ პედოფილს, ნუ გეშინიაო.

ილიკო ტახტზე იჯდა და თავი უკან ჰქონდა გადაგდებული. ყბებზე კუნთები დაურბოდა. ქუთუთუებიც უთროოდა, გეგონება რაღაც სიზმარს ხედავს და ვერ ისვენებდა. ხელებს ხან მუშტად შეკრავდა, ხან გაშლიდა.

უცბად წვრილ ბილიკებად ცრემლი ჩაეღვარა ყურებში. ისე, რომ სახის გამომეტყველება არ შესცვლია. ეგეთი რამე მარტი

კინოებში მინახავს, მასწორ ყველა გავშეშდით. უსუსურობის ცრემლი იყო, შეურაცხყოფის. ჩვენ თავზე ვადექით, მაგრამ ის ჩვენ ვერ გვხედავდა. ჩვენი იმდინარე არ ჰქონდა. მისთვის ჩვენ პლანის მწვეველი დიდი ბიჭები ვიყავით, ყველაფერზე რომ ვლადაბობდით.

ილიკო მარტო იყო.



ეს დაძაბულობა რომ დასრულებულიყო, მავნემ გამოაცხადა, ხვალამდე დავიშალოთ, გვიანიაო.

ილიკოს სახლში პოლიცია დახვდა. აქტი შეუდგენია. თაკოს უკვე ეძინა, პირდაპირ ეზოს ტანსაცმლით. ფსიქოლოგი მეორე დღეს უნდა მოსულიყო. ილიკოს ბებიამ საბერძნეთში დარეკა.

ამ ამბის მერე უბანში ყველა შშობლელი აწირიალდა. პატარა ბავშვებს გარეთ აღარ უშვებდნენ. არადა, ნამდვილი ზაფხული იქოქებოდა.

პოლიციამ საქმე აღძრა, მაგრამ რა?.. ილიკოსგან რაც გავიგეთ, ის იყო, რომ მოძალადე მის დას სუსლიკას კორპუში დახვედრია. წინა დღეებში სუსლიკას სადარბაზოში ჯვერ პირველ სართულზე მიუცია მოკლე, მერე მეორეზე და ჩანაცხლებულა ორი სართული. იმ საღამოს თაკოს ჯვერ თავის ეზოში უბოდიალია. ბებიამისს ფანჯ-რიდან შეღამებულზე საჭმელად დაუძახია, მაგრამ ეს მეორე ეზოში გადასულა სათამაშოდ, სუსლიკას კორპუსთან. ეგრე აღმოჩნდა სხვა სადარბაზოში.

ბავშვებები რომ შემოეცალნენ, თაკოს თამაში კიბეზე გაუგრძელებია. იქ გაუშლია თოვლინებისთვის პურ-მარილი. ის ვიღაც დამპალი, რა დონის თავხედი იყო, მასწორ რომ არავის შეშინებია. იქვე დაუჭყიდა თაკოსთვის რაღაცები. თან თვალებსა და პირზე ხელს აფარებდა. შეიძლება გამოცდილი მანიაცი იყო, ბევრმა ასე ჩათვალა.

ილიკოს და თაკოს დედა ეგრევე ჩამოქანდა საბერძნეთიდან. ერთხელ ეზოში შემხვდა, თაკო მოპყავდა. დედაჩემი ამბიბდა, ეგ ქალი ძალიან შეიცვალა. ზურგზე კუზი, სახეზე – არაჯანსალი ფერი დაედოო, მაგრამ მე რომ ვნახე, ძალიანაც კარგ ქალად მომეჩვენა. ილიკო ჰგავდა. თავი დამიგრა და ჩამიარა. ვიცი, მასწორ ეს დეტალები ნაკლებად საინტერესოა. უბრალოდ, მინდა ყველაფერი მოგიყვეთ.

რომ ჩამიარა, რაღაც სურნელოვანი ესხა და ეს სუნი ჰაერმა შეაგავა. თუ დამივერებთ, ჩემს შეუვარებულს რომ წარმოვიდგენდი, არც ყიცი რანაირი იქნებოდა, მაგრამ ზუსტად ეგეთი სუნი უნდა ჰქონდა. ძილის წინ დედა რომ მომეცვეოდა ბავშვობაში, ეს სუნი თმაში მასაც ჰქონდა ჩაფენილი... ჩამიარა თაკოს დედამ და თვალიც არ გამიყოლებთ. სინდისი მქენჯვიდა, იმ ვირიშვილის ვინაბაზ უბრივი ბიჭებმაც რომ ვერ დავადგინეთ. გეგონება ქესკნელმა ჩაიტანა, ისე გაქრა.

მაგ დროს, თაკო და დედამისი რომ ვნახე, ეზოში მიშოს ვუცდიდი. ბურთი ჩაეჩუტა და პროფილაქტიკაში უნდა გადავსულიყვავთ. მარტო ვერასოდეს ვერაფერს აბამდა თავს. სულ ვიღაც სიურგა ეფარებოდა. კარგა ხანი აღარ მენახა მიშო, არც მარყუჟა, არც დავითა. ერთხელ თუთა შემზედა მაღაზიაში. თმა იასამნისფრად შეეღება და ისევ ის უშნო ვარდისფერი ბოტასი უცვა. გამიხარდა, რომ ვერ

დამინახა. სალაროს რიგში მის უკან ვიდექი მაწვნით ხელში. რაც დედაჩემა ახალი დიეტა დაიწყო, მაცივარი მაწვნით გაგვევსო. დედაჩემს ცხელი სადილების მომზადება ებარებოდა. მერა, მაგრამ მამაჩემი ბრაზობდა, ემუქრება, ერთხელაც მაგ ცივ მაწვნის სუპს თავეზ დაგასამო... საჩხუბრად ახალი მიზეზი მიეცათ.

მესაჭმელად მავნესთან დავდიოდი. მავნე კულინარიის სასწავლებლისთვის ემზადებოდა და სულ რაღაც გემრიელობებს ათუნ-თუნებდა. მისიანები გაჩაფიულიდან სოფელში იყვნენ. პროდუქტით იქიდან ამარაგებდნენ, ჩეც მეტი რა გვინდოდა – ცოტა მოსაწევი და ცოტა შემწვარი კარტოფილი.

...თავი გაუპატიურებული არ იყო, მაგრამ იმ დამპალს ხელები კარგად უფათურია, ბავშვი სასტივად იყო შეშინებული. თან თურმე უსისინებდა, ხმა გაკმინდე, თორე შენიანებს მოვკლავო. ბავშვს ხმა არ ამოუღია. რაღაც მომენტში მოძალადეს ჯიბიდნ ტელეფონი გადმოუცურდა და ასაღებად რომ დახრილა, მაშინ დასხლტომია ხელიდან. სარდაფის ჩასასვლელთან, სიბნელეში მიყუჟულა და ასე მჯდარა მანამდე, ვიდრე მეზუთე სართულის ბიძავაც არ მონდომებია თავისი ველოსიაპედის სარდაფში შეეყნება.

გივირთ, ხო, მასწ, თქვენ რომ გიყვებით?.. მეც მიკვირს. ძალიან შემაწუხა ამ ყველაფერმა. ვიცი, თქვენ არსად გამცემი. ამსიგრძე მეილიც ცხოვრებაში არავისთვის მიმიწერია, დედას გეფიცებით. უფრო იმიტომ გწერთ, რომ ერთადერთი ადამიანი ხართ, ვინც ადრე გვითხრა, რაც არ უნდა მოხდეს, შურისძიება გაუმართლებელია. დაამახსოვრდა ეგ სიტყვები. მაშინ პირველად დავფიქრდი შურისძიებში. იმ წამსაც მაგზარე ვფიქრობდი, მიშო რომ ჩავჩერებ. იმ დღეს თქვენმა ნათევამმა გადამარჩინა ციხეს და მყვლელის სახელს, მაგრამ მომავალში ვინ გადამარჩეს?.. იქნებ უფრო ლირსეული იქნებოდა მკვლელი მრექმეოდა?..

მასწ, სინმდვილეში, მკვლელი არ ვარ, მაგრამ მეორი, რომ გავიზრდები, ყველას დაგხოცავ, ვინც თავისნაირ ბავშვს აწყენ-ნებს. იარაღს ვიყიდი და დაგხოცავ. განა პოლიციელი ვიქნები, არა, უბრალოდ, მათნაირებზე ვინადირებ.



იმ დილით, მაგრად რომ გაწვიდა და ნახევარი თბილისი ჩამორეცხა, მავნე გამომეცხადა. – მარყუჟამ კოვიდი დაიმართა, კლინიკაშია, – მომხარა. – წუხელ მაგასთან ხომ იყავო, გადამდები არ იყო... ისე, რა კაია, რომ აგრილდა, პროსტა ახლა ერთი კაცი დაგვაკლდება სალამოს თამაშში. სუსლიკას ვეტყვი, ჩაენაცვლოს, ისედაც სულ იგნორში გვყავს და ცოტა ამინძრავდება. – ენას არ აჩერებდა მაგნე.

სუსლიკა მზურთის თამაშის რა იცოდა. მარჯვენას და მარცხენას ვერ არჩევდა ერთმანეთისგან. სულელი იყო. შარშან ღამის დამახრ-ჩო, ხმელი ალვის ფოთლები მომაწევინა. მიმტკიცებდა, სოფლიდან ჩამოვიტანე, იქაურებდა ბომბა მოსაწევია.

სუსლიკა ჩინოვნიკის შვილია, მასწ, მაგრამ ქვეშქვეშა არ არის. ჩვენი გარჩევების დროს ბრიტანული ბულტერიერივით თავისი-ანებს თვალებში შესციცინებს. რა მაგის ბრალია, მამამისი რომ გადეკუტატდა. დეკუტატად ხომ ხალხმა აირჩია. აი, მგორი მაგას აპ-

როტესტებდნენ ბოლო აქციაზე – არასწორად არჩეულ პარლამენტარებს. მაგრამ, რაც არ უნდა მოუწოდონ სუსლიკას მამისნაირებს, თვითონ რატომ მოინდომებენ კომფორტული ცხოვრების შეცვლას, ეგ არ მესმის...

მოკლედ, ჯერ კოვიდიანი მარყუჟა მოვიკითხე ტელეფონით და მერე სუსლიკას მიეწერე, ეზოში ჩამო-თქო. იმან, შენ ამოდიო, თან რაღაც მაქვს მოსაყოლი, ოლონდ არ გააბაზროო. მუუცნაურა, მასწ, ჩვენ არასდროს გვიმეგობრია და რა უნდა ეთქვა ისეთი?

რომ მივედი, მეორე სართულიდან პოსლიკა თავი გამოყო და ხელი დამიეწია.

– შუა კარია. – მომაძახა და თავი სწრაფად შეყო უკან.

სუსლიკას სახლში პირველად ვიყავო. ისეთი მოჩეულობმებული იყო, გეგონება ამ ბინაში ადამიანები კი არა, ზღაპრის გმირები ცხოვრობდნენ. იატაკიც ისე ირეკლავდა ყველაფერს, ვერ გაიგებდი, თავდაყირა იდგა ავევი თუ არა.

სუსლიკას საკუთარი როთანი ჰერონდა, კარგი კომპიტ და აკვარიუმით. აკვარიუმთან უდალი კატა იჯდა და ერთადერთ თევზს უმადოდ ადევნებდა თვალს.

– შემაწუხა სავარძელში ჩავეფალი.

– ბოლიში, ბრატ, რომ ამოგიყვანე ... – მხრები აიჩეჩა სუსლიკამ. ერთი სული ჰერონდა სხვა რაღაც ეთქვა. მეგონა თამაშზე უარს მეტყოდა ბიჭობზე გაბრაზებული.

– ხო გახსოვს თავის ამჩავი, ბრატ... – როგორც იქნა ამოღერღა. აი, ამას კი არ ველოდი.

– ჩაიფარცხა, ბრატ, ეგ ამჩავი... მე ილიკო მეცოდება, ნაცემი ძალივით დადის... დედამისიც ხომ ცოდნა? ახალგაზირდობაში თურმე მაგარი მოცურავე ყოფილა, დახრჩობას გადაურჩენია ვიდაც კაცი... კაროჩე... მე ვიცი ეგ ვინც გააცეთა... ოლონდა... ჩამშვები არ ვარ, ბრატ. პოლიციასთან ხელს ვერ დავდებ... არამკითხესავით ვერ გამოვხტები... მოკლედ, ბრატ, იმ დღეს ბიძაშვილის ქორწილის ნამცეცობზე დავბუხოვდი. ჩემები იქ დარჩენ და მე ტაქსით წამოვედი. სალამოს გოგო უნდა მენახა – სულ გამაგიუა, მთელი დღე ნუდებს მიგზავნიდა და თავი რომ მალე გამომეფხიზლებინა, გავ-შიშვლდი და აივნის ცივ კაფელზე დავწერე. ერთხელ მამაჩემი ეგრე ფინბლდებოდა... არ დამცინო, ბრატ, ვიწერ და ვმესიფიცირდით. უცხად აივნის ქვედა ღრიცხოდან ვხედავ სადარბაზოდან სწრაფად გამოდის ტიპი, თან უკან-უკან იხედება მომპარავივით. ზემოთაც ამინებდა, მაგრამ რას დამინახავდა. მე კი დავინახე. მიშო იყო. შიშველი რომ ვიყავი, გამიტყდა ადგომა. კი გავიფიქრე, რა უნდა ჩვენს სადარბაზოში, ჩემთანაც არ ამოსულა და სხვა ჩვენიანი მანდ არავინ ცხოვრობდა... თურმე რაშია საქმე... მერე მეხუთე სართულის ბიძაც გაიჩითა თავისი ველივით. ერთმანეთს სიბნელეში ასცდნენ, ბრატ... ეგრე იყო.



მასწ, სუსლიკაზე აღარ მოგიყვებით, თავისი მიიღო. ღაჩიარია ჩემს თვალში. ჩემი აზრით, ეგრევე რამე უნდა მოემოქმედა. ამ გამოქლიავებულმა კიდე თავისი აკვარიუმის თევზივით პირში წყალი ჩაიგება.

ეგრევე მიშოსთან არც მე გავქცეულვარ, მაგრამ მაგ ხორც-
მეტის დაცაწრული სიფათი მთელი ღმერთი მელანდებოდა. ეგეთი
ნაძირალა როგორ გამოდგა, ბავშვები როგორ გაიწია, მერე ჩვენთან
გასართობად მოვიდა, გითომ არც არაფერი.. არც შეიმჩნია. ვერც
შევამჩნიეთ. უბანი ყირაზე იდგა, ეგ კიდე თბილად ჩაწეალოგიში
და დაიძინა, დილით კიდე კარაქიანი პური მიატანა ჩაის.. ეს როგორ
უნდა შერჩენოდა?..

ვიღაცას არ უნდა დაესაჯა, მასწ? ეგრე უნდა ევლო?..

პოლიციაში მე ვერ წავიდოდი, ვერც ილიკოს დედას მოვუყვე-
ბოდი რამეს... გალახვით მიშოს ვერ მოვერეოდი, ჩემზე მაღალი და
ძლიერი იყო. ბოლოს, მამჩემს რომ საპინვე გასაშლელი დანა ედო
უფრაში, ის ავიღე და სუსლიკას დაუურევე, მიშოსთვის მიეწერა და
სამღებროს უკან რომ ფიჭვებია, საღამოს ათისთვის იქ გამოყვანა.

უცბად მივიღე ეგ გადაწყვეტილება. არადა, დანა ცხოვრებაში
არ მჭერია... .



მიშოსახლიდან მოსაწევით მე თვითონ გამოვიბირე. სუსლივა
რისთვის უნდა გამესვარა. მიშო არც დაფიქრებულა, მოეთრა
სამღებროსთან. თვითონ ერთი ოთხი წელია ეწევა მოსაწევს. მაგის
შემყურებმ იმდენმა დაწყობი ჩვენს ეზოში მოხმარება, ვერ დაითვ-
ლით. მოგრებდა გარშემო წვრილფეხა ბიჭბუჭებს და ატარებდა
უბნის ბრელ კუნძულებში გაცვეთილებს: „ბიჭო, ბოთლი გასწორე“,
„ბოლს ნუ დაკარგავ, მალე მოწიე“. მასწ, კი ვართ ყველა რაღაცის
მწეველი, მაგრამ ჩვენზე უმცროს ბავშვებთან ეგ თემა ისეთია, არ
უნდა გაიშალოს. მიშოს კიდე ფეხებზე ეკიდა. საკუთარ მშობლებს
ფულს ჰქონდა. ერთხელ ეზოს ძალლს მაკრატლით კუდი მოაჭრა...
არა, რა... დასასჯელი იყო. არ იქნებოდა თავო მისთვის პირველი
ბავშვი, ვისაც კაბა აუწიო... სხვასაც დაჩაგრავდა...

სამღებროსთან რომ მოვიდა, გარე-გარე აღარ მიეღლია, ვუთ-
ხარი, სადარბზოში გნახეს და ბოდიში უნდა მოუხადოს ილიკოს
ოჯახს. თავიდან კი შეცბა, მაგრამ ბოდიშის ხსენებაზე ისე ჩაიცინა,
როგორც მავნესთან, მე რომ ვკითხე ნაკაწრზე... არ იყო ბოდიშის
მომზდელი. არაფერს აღარ დაველოდე და ჯაბეში გაშლილად
ნადები დანა მოვუწინე!

კი მოვუქნიე, მასწ, მაგრამ ეს უაჩრო მონაქნევი იყო. ჰაერში
გავიქნიე. დანიანი ხელი თითქოს დამილითონდა, დამძიმდა,
დაუმორჩილებელი გახდა. ამ ჩემმა სისუსტეში სულ გამამხე-
ცა. სწრაფადვე უნდა მექნა რამე და... მაიმუნივით გვერდიდან
შევახტი, წავაქციო და თავზე აფარებული ხელები გადავუსერე,
ერთხელ, ორჯერ... დავინახე, თვალები როგორ აატრიალა მიშომ
და გაინაბა. გულწასული იყო. ხელისგულები სისხლიანი ჰქონდა.
ჩვეულებრივად სუნთქვავდა. წამითაც არ შემშინებია. მივაფურთხე
და გამოვიქცე.

იმის მერე, მასწ, ვამპირივით სახლში ვზივარ, უკვე მეხუთე
დღეა. ბიჭები არ მკითხულობენ. ეტყობა არ გააბაზრა მიშომ. არ
კი არა, ვერ. იცოდა, რომ ეგ მაგისთვის უარესი იქნებოდა. თუ პო-
ლიციას მომიქსევდა, მე თავოს ამბავს მოვუყვებოდი. მერე უბანში
რასაც უზამდნენ, ხომ წარმოვიდგენიათ...

ახლა სულ ვწევარ, მასწ. რაღაც ფილმებს ვუყურებ მართლმსა-
ჯულებაზე, შურისძიებზე, პედოფილებზე და ვფიქრობ, რატომ არ
მოვალი მიშო? რომ მომეკლა მასწ, იქნებ უფრო მშვიდად ვყოფი-
ლიყავი? მე და მაგნ ერთ ეზოში უნდა გავაგრძელოთ ცხოვრება. რა
შეგვარიგებს?.. ეგ ხომ ავადმყოფია, მე კიდე შურის მაძიებელი. რომ
მიმიშვა, მასწ, ახლაც არ დავზოგავ, გავუხეთქავ თავს. ალბათ ისიც
რომ მიუშვა თაკოსნაირ ბავშვზე, იმავეს გააკეთებს. გამოდის, რომ
ჩვენ შორის ტოლობის ნიშანია?..

ოქტომბერში 15-ის გავხდები, მასწ და ბევრ კითხვაზე პასუხი
არ მაქვს.

ამ წერილს ნუ დასინავთ. იქნებ რამე მირჩიოთ.
იქნებ კიდევ გადაგვარჩინოთ რომელიმე. ჩვენი შერიგება არ
იქნება. საბოლოოდ, ან მიშო უნდა იყოს, ან – მე...

პატივისცემით,
ალექსა





გიორგი შეჩებაშვილი

ჰერ, ფილმულტურა

ჰეი, ფიზიულტურა, არ ხარ შენ ნაღდი პედაგოგი და არც მას-წავლებელი. არ არის ფიზიულტურის მასწავლებელი ქეშმარიტი აღმზრდელი და არც შენ ხარ პედაგოგის სახელის ტარუბის ლირსიო. არ მეშვებოდა პარმენი და ყოველ ჯერზეც საღმის ნაცვლად ამ სიტყვებს შემომაგებებდა ხოლმე. თავს ვიკავებდი, სახეში არ მიმე-სალა, ჰეი, ქიმია, არც შენ ხარ მენდელეევი, მაგრამ კი ასწავლი მაგ ტაბულას უკვე წლებია ჩვენს სკოლაში-მეთქი. უუროსი კაცი იყო და ვერიდებოდი, არ მინდოდა, მეწუენინებინა. არადა, რა უნდოდა და რას მერჩოდა? ვასწავლიდი ფიზიულტურასა და ჯანსაღი ცხოვრე-ბის წესს. ვავარჯიშებდი ჩვენი სკოლის გუნდს კალათბურთში და ვიყავი დიდთან დიდი, პატარასთან პატარა... თბა, მეტირაღა უნდა მექნა? ეს პარმენი კიდევ არ მეშვებოდა, ვერ იქნება ფიზიულტურა საგანმანათლებლო დისციპლინა და ვერც შენ იქნები მასწავლებე-ლიო. მოკლედ, მაგრად მიშლიდა ნერვებს, მაგრამ მე თავი ყოველთ-ვის ღირსეულად მეჭირა და არ ცეცხებოდი მის ამ ქილყას. და ან კი რა უნდა მეთქვა და რატომ უნდა მემართლა თავი? პირველიდან მეთერთმეტი კლასის ჩათვლით ყველას მე ვასწავლიდი ფიზიულ-ტურას და ცალკე კიდევ ეს კალათბურთის გუნდიც ხილ მყავდა. და ახა, განა მეტირა ოხრობა იყო ეს მასწავლებლობა?!

ისე, მაშინ მართლა კაი გუნდი გვყავდა. სასკოლო ოლიმპიადაზე მესამე ადგილი ავიდეთ და მერე ცალკე რევიონის სკოლებს შორის რომ ჩატარდა ჩემპიონატი, იქ საერთოდაც ფინალშიც კი გავედით და მერე გორელებთან დავთმეთ, გვაჯობეს. მსაჯს რომ მოუტყან ის კეთილები, თორები ეგ ფინალიც ჩვენ უნდა მოგვეგო და თასიც ჩვენ უნდა აგვეძო. სულ ტყუილად ჩამოურიგა ბიჭებს სუთ-ხუთი პერ-სონალური ჯარიმა და დაგვტოვა წამყვანი მოთამაშეების გარეშე. არადა, მართლა კარგი თაობა გვყავდა. სამნი მეცხრე კლასიდან და

დანარჩენები კიდევ მეათედან და მეთერთმეტედან იყვნენ. ძალიან მაგარი ბიჭები. მოწავდინებულები და მებრძოლები. ნაღდი საჩემპი-ონო გუნდი იყო, რა და გავხდებოდით კიდეც, ცოტა რომ დაგვცლო-და და ხელიც შეეწყოთ. მაგრამ არ გაგვიმართლა. სტიქია დაგვატყ-და თავს და ჩვენს სპორტულ დარბაზს ჯერ სახურავი გადახადა და მერე კი სულ წყლით გააქსო. დილას დარბაზში რომ შევედი, გული ლამის გამისკადა. ჭერი დაბლა ჩამოსული და პარკეტი სულ ამოყრი-ლი დამხვდა. ეგრევე დირექტორთან გავიქეცი და თემიურაზიონი, გვიშველე რამე, ერთ თვეში შევაიბრი გვაქს და დარბაზი ისეთ დღეშია, შეი არ შეისვლება-მეთქი. იმან კიდევ მაგიდას ხელი დაპკ-რა და რა დარბაზი, რის დარბაზი ლამისა სკოლის შენობა თავშე დაგვემხისო. მართალიც იყო. სტიქია მირტო სკოლის სპორტული დარბაზი კი არა მთელი სკოლაც მაგრად დააზიანა. რა თქმა უნდა, პრიორიტეტში ჯერ სკოლის შენობის შეკეთება იყო და შემდეგ უკვე დარბაზისა. ვისთომ არ მივედი და ვინ არ შეეწუხე. გამგებელთანაც კი ერთი სამჯერ შევედი და არც გუბერნატორს მოვერიდე, არიქა, გვიშველეთ რამე და იქნებ სკოლასთან ერთად დარბაზიც შეაკე-თოთ-მეთქი, მაგრამ არ გამოვდა. ამ წელს ბიუჯეტი გაგვინახევ-რდა და მხოლოდ სკოლის რემონტს თუ გასწვდებაო. დარბაზიე კიდევ შემდეგ წელს ვიზრუნოთო. თანაც ვნახოთო... თუ ბიუჯეტი გაჩარდეს, მაშინ შეიძლება, შევაკეთოთ და თუ არადა, ვერაო. მაგ დარბაზის სახურავისა და პარკეტის გამოცვლა იმდენი დავდება, რამდენიც ერთი კოხტა ფეხბურთის სტადიონის მოწყობა, რომე-ლიც შემდეგ ყველას საერთო სარგებლობაში იქნებაო. მოკლედ, მივხედი, რომ არ იყო ჩვენი საშველი და კალათბურთსაც ფეხბურთი ამჯობინეს. ძალიან დამწუდა გული. ამ ჩემპიონატს რაღაცნაირად მაინც ჩავამთავრებდით და ჩავამთავრებდით კიდეც, ბიჭები კარგ ფორ-

მაში იყვნენ და ისევ მესამეზე გავედით, მაგრამ პარკეტის გარეშე, მომდევნო წელს რა უნდა გვექნა? თანაც, მერე ნაწილი სკოლას დაამთავრებდა, იმის მომდევნო წელს კიდევ დანარჩენებიც მიყვებოდნენ და წავიდოდა ეს თაობაც თასებისა თუ მედლების გარეშე. მერე ვინდა და როდისლა დაფრთხა იგივე შედეგებს? ჰოდა, სწორედ მაშინ გადავწყიტე, რომ ფული უნდა მეშოვნა და სკოლის სპორტული დარბაზიც ჩემი ძალებით გამერემონტებინა.

ეს აჩრი თავიდანვე ძალიან მომეწონა. ცოლი მე არა მყავდა და შვილი. არც სხვა რამის დიდი ინტერესი თუ პრეტეზია მქონია ამ ცხოვრებაში. არც რამე განსაკუთრებული მიზნები თუ განზრახვები მამოძრავებდა. მოკრძალებულად ვცხოვრობდი შშობლებთან ერთად და ბევრი ფულის შოვნის სურვილიც არასდროს გამჩენია. ახლა კიდევ ასეთი ამბავი იყო და ვიფიქრე, თუ კაცი კარგი საქმის-თვის ფულის შოვნას განიზრახავს, არც ეგ ამბავი გაუზრდება-მეთქი. შშობლები პენსიონა და ჩვენი ბოსტნის მოსავლით ისედაც იოლად გადიოდნენ და უჩემოდაც შშენივრად გაძლებდნენ. მე კიდევ, რადგან სრულიად მხოლოდ საკუთარ თავს ვეუტოვნოდი, გადავწყიტე ბედი მეცადა და ფულის საშოვნელად საზღვარგარეთ წავსულიყავი. თან იქ ერთი ჩემი მეგობარი და თანასოფლელი ბიჭი მეგულებოდა, რომელსაც ადრევე პეტონდა ნათქვამი, თუ ჩამოვალ, სამსახურსაც გაშოვნინება და ყველაფერშიც გვერდში დაგიდგებით. სიმართლე ითქვას, არ მიმიწევდა გული ამ საზღვარგარეთ წასას-ლელად. რაღაცნაირი შიში მქონდა იქაურობისა და უცხოობისა. თანაც ის ერთადერთი ქალი, რომელიც რომ მიყვარდა და წესით ცოლადაც უნდა მომეყვანა, ხომ სწორედ იმ საზღვარგარეთში დავვარგე?! კი იყო ეგეთი ამბავი. მანანა ერქვა. გვიყვარდა ერთმანეთი. ოჯახის შექმნასაც ვფიქრობდით. სახლში მეორე სართულზე რემონტიც კი წამოვიწეუ, მაგრამ მომეცარა ხელი, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეში ამ ცხოვრებაში... დავვაგვინე ცოლის მოყვანა და გამიფრინდა ჩემი მანჩო. რაღაცნაირად ფეხს ვითრევდი და არ ვჩეარობდი ცოლის მოყვანას. ხან რა მოვიმიზებე და ხან რა. მგონი, ცოტა მეშინოდა კიდევ დაოჯახებისა და იმ ტვირთისა თუ პასუხისმგებლებისა რაც ამ ამბავს თან მოსდევდა. ისიც მელოდა, მელოდა და ეტყობა, იმედი რომ გადაუწურა, დაკრა ფეხი და საზღვარგარეთ წავიდა სამუშაოდ. ისე გაქრა ჩემი ცხოვრებიდან, არც დამშვიდობებია და არც არაფერი უთქვამს. ბიჭები დღეობაში ვიყავით წასული მეზობელ სოფელში და ქეიფს შევყევით. მერე სალოცავზეც ავედით და იქ გავაგრძელეთ ლრეობა. მოკლედ, ისე მიეწყო, რომ ერთი კვირით დავვარგე. მერე კიდევ რომ ჩამოვედი, გამოვფიზლდი და მანჩო მოვიკითხე, ვეღარსად მივაკვლი. ასე მითხევს მისი-ანებმა, შენ რა, არ იცი, საზღვარგარეთ რომ წავიდა სამუშაოდ?

ჩავხარე თავიდა წამოვედი გალაცული. ნალდად არაფერი ვიცოდი, მაგის წასულის ამბისა. ძალიან კი მეწყინა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დამიდანშაულებია ჩემი მანანიცა ჩვენი ურთიერთობის დანგრევაში. სულ ყველაფერი ჩემი უყურადღებობისა და უუნარობის ბრალი იყონ და აბა, ვისთვის რა პასუხი უნდა მომეთხოვა?!

როცა მაგის დრო იყო, ცოლად არ მოვიყვანე და ბედიც გავუშვი ხელიდან. ახია ჩემზე, კაცი რომ ვერ შეირგებ, რაც მოგეცა და ქეიფებსა თუ დროსსტარებებს გადაჰყები, მეტის ღირსი არცა ხარ. ისე ხანდახან კი მომივა ხოლმე გული, ერთი პატარა წერილი მაინც დაეტოვები-

ნა იმ მამაცხონებულს, სულ რამდენიმე სიტყვა ეთქვა, წავედი და კარგად იყავიო, მაგრამ არც ეგა ქნა. უსატყვოდ გაქრა და დიმტოვა ასე ათასი ფიქრისა თუ დარდის ანაბარა.

სწორედ მაგ ამბის მერე დავიწყე სკოლაში მუშაობა. ნათლი-აჩემი იყო მაშინ სასწავლო ნაწილის გამგე და იმან მოწადინა, წამოდი ჩვენთანო. თავიდან ვითომ გულის გადასაყოლებლად და გასართობად დავიწყე მუშაობა. მერე კი გავიდა წლები და აგერ უვე ათი წელია, რაც მანდ ვასწავლი. თან მგონი, ძალიანაც კარგი მასწავლებელი ვარ. მართალია, ფიზიულტურის, მაგრამ მაინც... სხვათა შორის, რამდენიმე პროფესიონალი სპორტსმენის აღზრდაშიც მიმიდღვის მცირედი წლელი და ცალკე კიდევ მ ჩვენი საკალათბურთო გუნდის წარმატებაც ხომ ჩემი დამსახურება იყო?!

ჰოდა, ახლა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, ჩემს ერთფეროვან ცხოვრებაში, რაოდენ მნიშვნელოვანი ამბავი გახდა, ამ ჩვენი გუნდის უპარკეტობა. მოკლედ, ბევრს ალარ შეგაწყენთ თავს და წავედი საზღვარგარეთ... გავყიდე მამაჩემის ძველი დაწყვეტილი უგული, ვიყიდე თვითმფრინავის ბილეთი და ჯიბეშიც ორი კაციც ჩავიდე, რათა პირველ ხანობას მანც გამეტენა თავი. დაუკავშირდი იმ ჩემს მეგობარს და იმანაც, ეს რა კარგად მოგიფიქრებია, აქეთ წამოსელა რომ გადაგიწყვეტიათ. აეროპორტში თუ ვერ დაგვედი, ამა და ამ მისამართზე მომაკითხეო. რაღაც გადაუდებელი საქმე მაქეს და ვინძლო დახვედრა ვერ მოვახერხო, პირდაპირ სახლში მომაკითხეო. წავედი მეც და წავედითი... ბედ-ილბალმაც კიდევ ერთხელ მიმუხთლა და დამტოვა მარტო სრულიად უცნობ ქალაქია თუ ქეყვანაში. საქმე კი იმაში გახლდათ, ის ჩემი მეგობარ-თანა-სოფლელი არც აეროპორტში დამშვედრია და არც იმ მისამართზე, რომელიც ჩამაწერინა. ტელეფონიც გამორთო და ისევე გაუჩინარდა ჩემი ცხოვრებიდან, როგორც ჩემი გულის სატრიფო გაქრა და აორთქლდა. აღმოვჩნდი სრულიად მარტო ჩემთვის ერთობ უცხოსა და საშიშ გარემოში. ენა მე არ ვიცოდი და თან არც იმდენი ფული მქონდა, რომ უკან წამოსასვლელი ბილეთი მეყიდა. ერთგვირიანი წაწალისა და შიშისილის შემდეგ, გადავწყვითე, უკანასკნელი გრომებით ერთი კარგად მესადილა-მეთქი კი ვიძით, მაგრამ ცოტა ხმამაღალი ნათქვამია ეს. უბრალოდ, მიგხვდი, ცოტა რომ არ მეჭამა, სადმე გული წამივიდოდა. ის დღეები კი სად მეძინა და ან ღამეს სად ვათევდი, გახსენებადაც არ ღირს. ვაგზალი და ავტობუსის გაჩერება იყო ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი თავშესაფარი. უპროდ ხეტიალისა და დარდისაგან დაქანცულს ხან რომელ ძელსკამზე მიმეძინებოდა და ხან რომელზე. მთავარი იყო გადაფარებულში ვყოფილიყავი, რათა წვიმასა და ქარს არ შევეწუ-ხებინე, თორემ იმას ალარ დავდევდი, რა გარემოში მეძინა.

სწორედ მაგ კაფესა თუ სასადილოში გავიცანი ალბერტა. ეგ იყო მაქაურობის მეტარენცად და გამგებელიც. ქირით ჰერნდა ეგ კაფე აღებული და ავად თუ კარგად ამუშავებდა, თავი გაჰერნდა. რავი, საიდან მიხვდა, რომ მეც ქართველი ვიყავით და ცალკე კიდევ. სასმელზე მაგან დამპატიუა. მეც მოვუყევი ჩემი გასაჭირის ამბავი და ასე მითხ-რა, შენ მაგაზე არ იდარდოო. დღეს აქ დარჩები, ხვალ დილიდან

კიდევ მე დამებმარები რაღაც-რულაცებშიო. აქვე იცხოვრებ და ჯამაგირსაც მე გადაგიხდიო. მაღლობის მეტი რა მეთქმოდა? აგა-შენებს გამჩენი-თქ... კაფეს უკანა მხარეს პატარა ოთახი ჰქონდა მოდგმული და მანდ დავბინავდი. ალბერტაც დილიდან ჩამისვამდა ხოლმე მანქანაში და მთელი დღე თან დამატარებდა. ბევრი არც არაფერი მევალებოდა. დავყვებოდი წინ და უკან და რასაც მეტყო-და, იმას ვასრულებდი. იქ წაიდი, ის წაიდე და აქ მოდი, ეს მოიტანე, იყო ჩემი საქმე და მოვალეობა. არაფერი განსაკუთრებული და ძე-ლა შესასრულებელი. ვამაგირს კიდევ ყოველდღიურად თავისი ჯიბიდან მინდიდა. მეც ცოტა ამოვისუნთქე და მომეცა მომავლის იმედი. ვიფიქრე, გამიმართლა, კარგი კაცი ჩანს ეს ალბერტა და იქნებ ჩემს საქმეშიც დამეხმაროს-თქ. ავდექ და ერთ დღესაც ვუამზე ჩემი საზღვარგარეთ წასვლის მიზეზი. გავანდე ჩემი გულის ნადები და სანკვარი ოცნება, რომ ფული კალათბურთის დარბაზის მოსაწყობა და მჭირდებოდა, რათა ბიჭები სასკოლო წემპიონატზე გამეყვანა და პირველობაც აგველო. ალბერტას ძალიან მოეწონა ჩემი ისტორია. მხარზე ხელი დამკარ და არ იჯავრო, მაგ საქმის მოვ-ვარებაში მე დაგეხმარები და იმდენ ფულს გამოვნინებ, დარბაზისაც გაარემონტებ, ბიჭებს ფორმებსაც შეუძენ და ბურთებიც თაგზე საყრელად გექნებათო. ვიფიქრე, ავშენდი კაცი და ალბათ ჩვენი სპოსორი ალბერტა გახდება-მეთქი, მაგრამ მთლად ეგრეც არ იყო საქმე. იმავ საღამოს დამიძახა და საჭმელად რომ დავსხედით, თავის ქალს უხმო და საყვეთესო ვისკი მოატანინა. ეგ ქალი, მგონი, თან მაგის საყვარელიც იყო და თან მანდვე ამუშავებდა. რავი, შეიძლება ცოლიც იყო, არ მიკითხავს და ქცევიდან გამომდინარე კი ზუსტად ვინ იყვნენ ერთმანეთისთვის, გამიჭირდება მაგის თქმა. ერთი კი იყო, რომ დაზუსტებით ვიცოდი, ერთად ცხოვრობდნენ და თან ეს ქალი ემსახურებოდა კიდეც.

იმ საღამოს მაგრად დავთვერით. ალბერტაც გამექსნა და რაღაც-რაღაცები მომიყვათავის ცხოვრებაზე. თურმე, სანამ კაფეს საქმეს წამოიწყებდა, მომპარავი ყოფილა და თავის განუყრელ ძმაკაცთან ერთად ბინებს ძარცვადა. კარგად მუშაობდნენ და ფულიც კარგად დაუგროვებიათ. ოლონდ ეს ამბავი ამათი მძარცველობისა კაციშვილმა არ იცოდა. არც შავებმა და არც წითლებმა. შესაბამისად, ნაქურდალსაც არავის უყოფლენენ და იყვნენ ასე თავისითვის, არხეინად. მერე რაღაც მოხდა და ძმაკაცებსაც აერიათ ურთიერთობა. წაეჩინებნენ ერთმანეთს. მგონი, ქალების ხელიც ერია მაგ საქმეში. გადაწყვდა ნაქურდალი გაეყოთ და ყველა თავის გზის წასულიყო. ასეც მოიქცეოდნენ, რესტორანში შეხვედრისას უეცრად თავს პოლიცია რომ არ დასცემოდათ. ამან გამოასწორო და ის მეგობარი კი დაიჭირეს. ეს გარეთ დარჩა და ის კი ციხეში მიაბრ-ძანეს. ვიღაცას ჩაუშვია და ვის კი წარმოდგენა არ ჰქონდათ. მოკ-ლედ, აირია მონასტერი და ის მეგობარი ციხიდან დაუპირისპირდა ალბერტას, შენ ჩამიშვი და დააჭერინეო. შავებიც ჩარია საქმეში და ახლა ისინი გადაკიდებულან, შენ რომ იპარავდი და არავის უყოფი ნაალაფარს, ეგრე სადააო. ამ კაცს თავისი ეკუთვნის და ჩვენ კი ჩვენიო, შემოუთვლითა. ასე და ამგვარად, დიდ შარში გახვეულა ეს ჩვენი ალბერტა და გამორიდებია იქაურობას. ყველასგან მალულად ამ პატარა ქალაქში დასახლებულა და თავის გასატანად ეს კაფე გაუსწია. ამ ამბავში მთავარი კი ის იყო, რომ ნაქურდალი ჯერაც იქ

იდო, სადაც საიდუმლოდ ინახავდნენ. გაყოფა ხომ ვერ მოესწოროთ და იმ ბინაზე მისვლას კი ერიდებოდნენ. დამწვარი ადგილი იყო და ჩასაფრებისა ეშინოდათ. თან ის ციხიდან, ახა, როგორ მივიდოდა და ალბერტას კი იქით გახედვისეც აძაგძაგვებდა. ჰოდა, სწორედ იმ ბინაზე მისვლა, ნაქურდალის წამოლება და ნადავლის გაყოფა შემომთავაზა ალბერტამ. რასაც წამოიღებ სამ ნაწილად გავყოთოთ. ერთი წილი შენო, ერთი მეო და ერთიც იმ ჩემს ყოფილ ძმაკაცსო. ცოტა უცნაური საქმე კი ჩანდა, მაგრამ მაინც დავთანხმდი. ახა, სხვარა გზა მქონდა, რო? ბევრი აღარ მიფიქრია და მოსულა-მეთქი. ვიფიქრე, ალბათ ეს ძმაკაცები კი წაეკიდნენ ერთმანეთს, მაგრამ ნადავლი სხვისთვის მაინც ვერ გამიტეს და იმ ბინის შესახებ, სადაც ნაქურდალს მალავდნენ, არც არავისთვის უთქვამეთ-თქ. არც შავებისთვის და არც წითლებისთვის. ახლა კი ეტყობა, გაყოფა გადაწყვიტეს და მეც მაგ საქმისთვის დავჭირდი-მეთქი. ალბერტამ კიდევ მიყურა, მათვალიერა და როდესაც დარწმუნდა, სანდო ვიყავი და ნაქურდალთან ერთად არსად გავიქცეოდი, ადგა და ეს საქმეც მე შემომთავაზა-თქ. ახლა იმ მეგობართან ეს ამბავი თუ ჰქონდა შეთანხმებული, ეგ მე არ იციო, არც მიკითხავს და ან კი ვინ მეკითხებოდა მაგათ ამბავს. მითხრა, შენ შენს წილს მოგცემ და მეც ხელი ჩამოვართვი. ჩემთვის ეგ სიტყვა სრულიად საკმარისი იყო, რათა ნაანატრი იცნებაც ამეხდინა და თან დავალებული საქმეც შემესრულებინა.

მომცა მანქანა და სახლის გასაღები. მა და ამ ქალაქში ჩახვალ და ამა და ამ მისამართზე მიხვალო. ამა და ამ ოთახში შეხვალ და ამა და ამ საწოლის ტყავის საზურებს გაჭრიო. ამოიღებ, რაც შიგ დევს და ამ შავ ჩანთაში ჩადებო. მერე კი ისე წამოხვალ უკან, სხვას არა-ფერს დაკარგებ ხელს და გზადაც აღარსად გაჩერდებიო. გასაგებია? კი-მეთქი, თავი დავუქნიე და თან ეგ თავი ცოტათი ზღაპარშიც წარმოვიდებინე. ახა, მაშინ შენ იციო და გადამეხვია. არ დამაღალა-ტო, ხომ იცი, შენი იმედი მაქესო. მეც გაფულიმე და შენც არხენად იყავ, ყველაფერს ხუთიანზე გავაკეთებ-თქ. დავჯევე მანქანზე და ჩახვედი იმ ქალაქში. გახსნი ის ბინა და გავჭერი იმ საწოლის ტყავის საზურებს. ამოვიღე იქიდან აუარება ფული თუ ძვირფასე-ულობა და ჩავაწყვე ყველაფერი ჩემს შავ ჩანთაში. მერე კი როგორც დამარიგა, გამოვისურე კარი, ისე რომ სხვას არც არაფერს შევხები-ვარ და წამოვედი უკან. არც გზად გამიჩერებია სადმე და ალბერ-ტასაც პირდაპირ კაფეში მივადექი. გადაირია კაცი სახალულისგან, როდესაც დამინახა. ახა, რა ქენიო და მეც შირიდანვე ვახარე, ბიჭია, ბიჭია-მეთქი. ჩანთა ფეხებთან დავუგდე და ცოტა სული მოვითქვი. ხომ შშივიღობით ჩაიარა ყველაფერმა და ხომ არავინ დაგვედრია სახლთან, სულ დაწვრილებით გამომკითხა ყველაფერი. არ ჩამომართვი-თქ. გაეღმია. ნალდად ეგრე იყო და წასვლამდეც ტელეფონი ჩამომართვა, ეს არ დაგჭირდებაო. მაში, ახლა ივაჭშებ და დაიძინეო. დანარჩენზე ხვალ დილით ვისაუბროთო. ჩანთას დასწრება და და კაფედან გავიდა. მეც კმაყოფილმა და დაღლილმა, კარგად ვივაბშემე, რამდენიმე ჭიქა ლუდიც დაგვარტყა და მალევე მივიძინე. დილით კი არხენად გამეღვიძა და ეგრევე ჩემს „ნაჩალნიკთან“ გადავრეც. ტელეფონი გამორთული ჰქონდა. კაფეში გავედი და

ალბეტა არც იქნახავინმეს. ბოლოს სახლში მივაკითხე და იქ კი დამზადა თვალებდასივებული მაგისი ქალი. მოთქვამდა და თმებს იშლიდა, ალბერტამ სულ ყველანი გადაგვაგდონ და მოხიაო. რას ჰქვია მოხია-მეთქი? რას ჰქვია და იმას ჰქვია, რომ ფული წაიღო და წავიდაო. ეს ბინაცა და კაფეც ნაქირავები ჰქონდა და ორივეზე გალები დატოვაო. ვალებთან ერთად მეც მიმატოვა და გუშინ ღამე გაუჩინარდაო. თან ისე, რომ სიტყვაც არავისთან დასცდენია და არც არავინ გაუზრთხილებიაო. ძალიან კი გავპრაზდი, მაგრამ არ გამვირვებია. ჩემი უზედობისა ხომ ისედაც კარგად ვიცოდი და უსიტყვილ მიტოვებაც ხომ ჩემთვის არახალი ამბავი იყო? ჩემი ბედის დედაც მოვატყან-მეთქი, ერთი შევისურთხე და წამოვედი იქიდან. რამდენიმე დღე კაფეში ველოდე, მაგრამ არც იქ გამოჩენილა ვინმე. ბოლოს ფართის პატრონი მოვიდა, შენობა დაცალეთო და იქიდანაც გამომასახლეს. დავრჩი ისევ ქუჩში და კაპვი ფულის გარეშე. დამხალი ალბერტა ბოლო დღეებში ფულასც კი აღარ მაძლევდა, მერე ერთიანად გავსწორდეთო და აკი გავსწორდით კიდეც. გამომიყნა ცხვირსახოცივით და მომისროლა სანავერეშე...

სულ თავიდან ისე ძალიან გავპრაზდი, ალბათ, იმანად სადმე ალბერტა რომ შემხვედროდა, შუაზე გავგლევადი. ასე უსამართლოდ და უშესოდ ჯერ არავინ მომქეცვია. სად აღარ ვეძებე ჩემი შეურაცხმყოფელი და გადამგდები, მაგრამ ვერსად მივაკვლიე. ეგ ხომ გაქრობისა და აორთქლების დიდოსტატიც იყო? ჰოდა, ალბათ ამჯერადაც ისე გაუჩინარდა, კაციშვილი ვერ მიაგნებდა. ბევრი ფიქრისა და განსჯის შემდევ გადავწიტე, ციხეზე შევსულიყავი და მისი მეგობარი მომენახულებინა. თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ალბერტამ ისიც გადაგდო, არც მას გაუყო ფული და მისი წილიც მიითვისა, თუმცა მანც ვცადე. თან თალღითს სულ დაწვრილებით ჰქონდა მოყოლილი, მისი მეგობარი ვინ იყო და სად იჯდა. მეც ცხეზე მივადექი ელდარას და იქვე გავსაუბრე. მოვუყევი ყველაფერი, როგორ და რანაირადაც მოხდა. რა თემა უნდა, ალბერტამ ისიც გადაგდო და არანაირი წილიც არ მიუცია. საწყალს ისე ძლიერ ეწყინა, რომ ამხელა კაცი ბავშვივით ატირდა. მაგ ფულის იმედად ვიყავი და აქედან გამოსვლასაც მაგ ფულით ვგეგმავდიო. ჩამიგარდა კოვზი ნაცარში და მომიწევს ახლა ხუთი წელიც ციხეზე ყოფნაო. მერე ჩემი ამბავიც გამომკითხა, საიდნ და როგორ მოვხვდი ალბერტასთან. მეც სულ თავიდან მოვუყევი ყველაფერი. დაწყებული ფიზიულტურის მასწავლებლობითა თუ აყრილი პარკეტით და დამთავრებული ალბერტასთან კაფეში შეხვედრითა თუ მაგათ საიდუმლო ბინაში სტუმრობით. ელდარამ თავი მოიფხანა და ისე, შენც მაგარი უიღბლო ყოფილსარ და მაგიტომაც არ გაგიმართლაო. არადა, კაცი კაცი ჩამხარ, თუმცა ძალიან გულუბრყვილო ვიღაცა ხარო. დამპალმა ალბერტამ შენც ისევე გამოგიყენა და გადაგაგდო, როგორც მეო. მაგრამ შენ გული არ გაიტეხო და გპირდები, აქედან რომ გამოვალ, მაგ ჩათლახს ვიპოვი და შენ შენი წილი აუცილებლად მოგივაო. მეტი არაფერი უთქვამს. ყურმილი დაკიდა და სქელი მინებით გატიხული შეხვედრების ოთახიდან გავიდა. მეც გავუყევი ჩემს გზას და ერთი ამდენი თავგადასავალი კიდევ გადამხდა და თავს. საბოლოოდ კი ისე გამოვიდა, რომ სამშობლოში იმდენივე ფულით ჩამოვედი, რამდენითაც წავედი. ერც სკოლის დარბას მივხედე და ვერც საკუთარ თავს. ვეღარც ჩემპიონები გაგზდით და

გუნდიც დამეშალა. დაამთავრა იმ თაობამ სკოლა და წავიდა თავის გზაზე. ჯერ მეთერთმეტები გამოგვეცალნენ და შემდეგ გერთები.

სულ ბოლოს მეცხრებმაც დაგვტოვეს და სრული სამი წელიც უდარბაზობ გავატარეთ. ხან ფეხბურთის სტადიონზე ვვარჯიშობდით და ხანაც კი ჩემთან ეზოში. შედეგიც შესაბამისი დაგვიდგა.

ჯერ მიმდინარე ტურნირები წავაგთ და საპრიზო ადგილებს დავემ-შვიდობეთ, ხოლო შემდეგ სულაც დავიშალეთ. სიმართლე ითქვას და ბიტტიზებიც კი ისე დაშალა, თან არავინ გადაპყოლია და აბა, ამჩვენი გუნდის დაშლას ისეთი რა რეზონანსი უნდა მოჰყოლოდა, რომ ვინმეს ყურად ეღლ და დარბაზის გარემონტებზე ეზრუნა. რა თემა უნდა, მა ამბით არავინ დაინტერესებულა და მეც უკვე სკოლიდან წამოსელა გადაწყვეტილი მქონდა, როდესაც თავს ერთი უცნაური ამბავი გადამხდა. მართლაც, რომ ძალიან უცნაური ამბავი...

სწორედ იმ დილას გამოვედი სამასწავლებლოდან და ვიფუქ-რე, ჩავალ ეზოში, გადავხედავ პატარა ბავშვებს-თქო, რომ უცებ თავზე პარმენა წამომადგა. ის იყო თავისი ჩვეული მისალმება უნდა დაეწყო, რომ მე დავსაწარი, ჰეი, პარმენ ჩემო, კი ვიცი, არაა ფიზულტურის მასწავლებელი ნამდვილი ბედაგოგი და მეც ყურად ვიღე შენი ეს შეგონება და სკოლიდანაც მივდივარ-მეთქი. იმან კი-დევ თვალმოფულმა შემათვალიერა და ჰეი, ფიზიულტურა, ადრე მე ვცდებოდი და ახლა კი შენ გრძლებაო. მე კი არა შენ ყოფილხარ ჭეშმარიტი ბედაგოგი და ნამდვილი მასწავლებელიო. ჯერ თვალები აუცრემლიანდა და მერე კი ბავშვივით ატირდა. გადამეხვია და სულ დამისველა პერანგი. თან ტიროდა, თან კისერში მკონიდა და თან რაღაცას გაუჩერებლივ ლულლულებდა. მეთქი, მართლა ხომ არ კვდება ეს ჩემისა, აბა, ასე მწარედ რამ ააბლავლა-თქო. მერე ვიფუქ-რე, ალბათ მე ვკვდები, თორემ ისე პარმენსა რა აატირებ-და-მეთქი. ბოლოს, გადავწყვიტე, ალბათ ორივენი დავიხოცეთ და ახლა იმ ქვეყნად გადავეყარეთ ერთმანეთს, პარმენამაც შეინანა თავისი ქილივი და მაგიტომაც არის ასეთი გულაჩუყებული-თქო. თუმცა მე რაღაცა მატირებდა, მაგას მაინც ვერ მივხვდი... არავინ იცის, როდემდე ვიდგებოდით ასე ჩანტუტებულები და ატირებულები, თეიმურაზოვერი რომ არ გამოჩენილიყო და არ გავეწიწენეთ. ძლიეს დაგვაშორა ერთმანეთს და ახლა ის გადამეხვია. შენ ყოფილხარ კაცი, პიროვნება და ნაღდა ბედაგოგი. ვაჲ, ლამის შევშალე კაცი და აღარ იტყვით, ბოლო-ბოლო რაშია საქმე-თქო. მაშინ კი ინებეს და მოაღეს პირები. სულ ერთმანეთს ასწრებდნენ ახალი ამბის მოყოლას. თურმე სკოლის ანგარიშები დიდი ფული ჩარიცხულა. მერე კი ამ ფულს წერილი მოჰყოლია, ესაა სკოლის სპორტული დარბაზის გასარემონტებელი თანხა და რომ არა თევენი ფიზულტურის მასწავლებელი, ეს ამბავი ვერ იქნებოდა. მოკლედ, დააფასეთ ეგ კაცი და ეს ფულიც ღმერთმა სულ მშვიდობაში მოგახმაროთ. თქვენს საკალათბურთო გუნდსაც მრავალი შევიბრი მოეგოს და სკოლასაც მრავალი წარჩინებული სპორტსმენი აღებარდოსო... ტიროდა პარმენი, ტიროდა თეიმურაზოვერი და ვტიროდი მეც... ბოლოს, ვეღარ გავძელი და გავეცალე იქაურობას. მოვიმიზებე, ჩავალ ეზოში, გადავხედავ პატარა ბავშვებს-თქო...

არ დაიჯერებთ და ამ წერილს ხელს ვინმე ელდარა აწერდა.





სოფო ბოგაძეპი

ღიღა მშვიდობის,
მეგობრუბის კანი
**GUTEN MORGEN
FREUNDE**

თოვდა. ათოვდა სურამის. ზამთარში ყველაზე მეტად ლამაზია ჩემი სურამი. იმ 90-ინგბში ლამპიონებიც კი არ იყო, რომ ეს თოვლის სიბრწყინვალე ქუჩებს მეტად დასტყობოდა.

დედა, რა ლამაზია ზამთარში ჩემი სურამი, გაივლი, იქეთ ნაძვი გიყურებს დაფიფქული, აქეთ გირჩებია დაბლა წამოწოლილები, დაფიფქულ-შეციებულები. მიყვარს, მიყვარს ჩემი სურამი, აი, თოვლის კი რა მოგახსნოთ. მერე სტუდენტი რომ გავხდი, რომ გავიზარდე, ყველას უხაროდა თოვლი თბილიში, მე კიდევ არასოდეს.

დავინახავდი თუ არა ფიფქებს, მციოდა, ჰომ, ძალიან მციოდა, ერთი რაც ტებილად ამ ცივ ზამთარში მახსენდებოდა, ჩემი დირექტორის გზა იყო, უფრო სწორად აღმართი, რომელიც არასოდეს აღმართად არ მოგვჩენებია მეგობრებს, ეს იყო დიდი გზა მეგობრობის...

ამ აღმართზე ბევრი უნდა გელაპარაკოთ, რა სიხარულით ავდიოდით ხოლმე ამ დიდ ქუჩას. ამ აღმართმა გვასწავლა ცხოვრება, სიყვარული და კიდე ბევრი რამ, რაც ცხოვრებას უფრო კარგს და ლამაზს ხდის.

ისე, აღმართი თუ არ აიარე, რანაირად უნდა დაეშვა დაბლა... დედა, რა კარგად ავიარეთ ს აღმართი იმ ბნელ 90-ში.

არა, არა, ყველა აღმართი არ არის ერთნაირი, დამიჯვერეთ, ოო, რანაირი კარგი აღმართი იყო ჩემი დირექტორის, რანაირად დავდიოდით ისე, რომ ერთხელაც არ დაგვიწუწუნია, მაგრამ რას დაიწუწუნებ, როცა სულ რაღაც თექვსმეტი წლის ხარ, სული წინ-წინ გეპარება და თვალებში ათასი ეშმაკი გყავს, მარტო მე კი არა, ყველას ეგრე უხაროდა ეგ აღმართი...

ახლა რომ სული წინ-წინ გამეპაროს, ხომ დავრჩი გალიმებული, დაბერდი სოფია, ასე მეუბნება ხოლმე ჩემი თავი, ძალიან ვბრაზდე-

ბი, რანაირად დავბერდი, კაცო, ხვალ სურამში უნდა წავიდე და ის აღმართი უნდა ავიარო, ვაკედ რომ მეჩვენება მთელი ცხოვრება, ჩემს მეგობრებთან ერთად. ჩემს დირექტორთან მივდივართ, უნდა ვნახოთ, მე კიდე სიბერები ვწუწუნებ, არ გრცხვენია, სოფიო?!

აღმართის ცოტა მოშორებით ჩემი სკოლა იყო, სკოლის დამთავრების შემდეგ, ალბათ არცერთი ზაფხული და შემოდგომა არ მახსენდება, რომ არ შევკრებილიყავით კლასელები და დირექტორი არ მოგვენაზულებინა...

იმდენჯერ ვახსენე, ჩემი კარგი დირექტორი, აუცილებლად და-გაინტერესებდათ ალბათ, თუ რანაირი იყო ეს ლამაზი სულის ქალი, მოკლედ გატყვით-თამრიცო მასწავლებელი უაღრესად განათლებული ქალი იყო, იცოდა რამდენიმე ენა, იყო დიდი დიპლომატი და იცოდა ადამიანების (მასწავლებლების) შექმა მაშინ, როცა თავადის პიროვნება ამას არ ელოდა, იყო დიდი მოტივატორი და ეს მოდა ყველა ბატშეის, ცელქეის, ჭკვიანის, „შატალოს“ მოწყობების, აი, იმ ბიჭების ტუალეტში ჩუმად სიგარეტს რომ ეწევიან, აი, იმ შშობლების პრეტენზიები რომ აქვთ, აი, იმ მასწავლებლების ზოგჯერ სულ უკაბყოფილებით რომ გამოირჩევიან, ცის ეს მოდა, მიწის ეს მოდა, ბევრჯერ თვალები მომიტუტავს, დავკირვებივარ, იქნებ ადამიანი არ არის და ანგელოზია? ფრთები აქვსო ანგელოზისო, ხომ ამზობენ, კაცო, ჰოდა, ერთხელაც რომ მოგჭუტე, ღმერთო, ფრთები დავინახე, არა, არა სოფია, გელანდება, გულში გავიფიქრე, მერე შემაკანალა, ვილაცამ თითქოს ყურში ჩამჩურჩულა-

– ფრთებია, ფრთები, ნუ დასვამ კითხვის ნიშნებს...

შეგშინდი და თან გამიხარდა.

აბა, ასეთი მეგობრობა, რაც ჩენ, მეგობრებს, ჩემმა თამრიცო მასწავლებელმა გვასწავლა, მოკვდავ ადამიანებს შეუძლიათ ვითომ?

ღიღა მშვიდობისა მეგობრებო ანუ GUTEN MORGEN FREUNDE

დედა, რა ლამაზი კაბინეტი ჰქონდა ჩვენს დირექტორს-გრძელი, ძალიან ნათელი. მაგიდა იდგა, დიდი და მწვანე ხავერდი ჰქონდა გადაცრული ზედ და გარშემო ეს ნაჭერი დიდი ლურსმნებით იყო დაჭედილი, ადვილად რომ არ გადასძრობდა ეს მწვანე ნაჭერი. თორმეტი სკამი იდგა, წინ დიდი ფანჯარა იყო, ჭრელი ფარდით, როცა ქარი ამოვარდებოდა ხოლმე, ამ ფარდას გააქანებდა, გამოაქანებდა, ჩემს დირექტორს ეს არ სიამოვნებდა და ხელს ყოველთვის წავლებდა ფარდას, ცდილობდა ფანჯარის იქეთ გადაეგდონ ეს ჭრელი ნაჭერი, ამ ფარდასთავ ბრძოლისას, თმა აქმლებოდა ხოლმე, თან თმას ისწორებდა, თან ფარდას არ ეპუებოდა, მე კიდევ ეს ყველაფერი ძალიან მელამზებოდა.

ვივექი სკამზე, ფეხის წვერებზე და სულ ცოტაც და ამოვთქვა მდიდარი:

- გინდათ, თამრიცო მას, თმა გაგისწოროთ?
- იყოს, იყოს, ეს ქარი არ მიყვარს... მიპასუხებდა ხოლმე.

გამესწორებინა ეს თმა, რა მოხდებოდა, მინდოდა ასე მოვფერუბოდი.

ჩემთან ერთად რიგში, ბევრი ბავშვი იდგა ამაოდ...

სტუდენტი რომ გავხდი, მეორე წელს ჩემი ლამაზი სკოლა დაიწვა,

როგორც ამბობენ ბუხრიდან ცეცხლი გაჩნდა და მთელ სკოლას ისე მოედო, რომ თითქმის ყველაფერი დაიწვა...

ასე უცებ ამ საჩარელმა ამბავშა წამართვა ბავშვობა და ჩემი სკოლის დერეფნებით, კიბეებით, „ბუფეტი“,

დედა „მეტრიკას“ ჩიოდა, სულ მაინტერესებდა, რა იყო ამ „მეტრიკაში“ ასე სადარდებელი, როცა აღარც სკოლა მქონდა და აღარც ის კაბინეტი, სადაც ჩემი საყვარელი დირექტორი იჯდა...

– რა „მეტრიკა“, დედა,

– შვილო, მაგას ალდეგენა უნდა, საჭიროა...

– საჭირო, დედა, ჩემი სკოლაა, სადაც მთელი ჩემი ბავშვობა გავატარე...

მოკლედ, ასე დამეწვა სკოლა, გადარჩა რაღაც ნაწილი, რამდენიმე სკამი,

მაგიდა, მერე დაიწყო ბრძოლა ახალი სკოლის შენობის მოძიებისთვის,

ჩემს დირექტორს ეს როგორ გაუჭირდებოდა თავისი დიპლო-მატით და ძალიან მალე ახალი შენობა აიღო, გაგივირდებათ და არც ერთხელ არა მქონია სურვილი იმ სკოლაში ასვლის, იქ აღარაფერი იყო. ჩემი ბავშვობის კედლებსაც სხვა სურ ჰქონდათ, კიბეებსაც, იატაცი აღარ ჭრიალებდა, არც ფარდები ქანაბდნენ, არც ის თორმეტი სკამი იდგა კაბინეტში, იყვნენ მხოლოდ ჩემი მას-წავლებლები და ისინიც სხვანაირები მეტვენებოდნენ, მოკლედ, ჩემი ბავშვობის რაღაც ნაწილი ამ შენობამ წაიღო...

ჰოდა, მე და ჩემს მეგობრებს დაგვრჩი ეს აღმართი – ჩემი დი-რექტორის სახლისკენ მიმავალი...

იმ ახალ შენობაში ბევრჯერ დაგვპატიუქეს ჩვენმა მასწავლებლებმა, მაგრამ არც ერთხელ არ აცსულვართ, განდა დაიჯვერეთ, გინდ არა, სკოლის სიყვარულს იმ აღმართშე ავლით ვიკლავდით...

ჩემი მეგობრებიდან ყველა სტუდენტი გახდა, ზაფხული მოვიდოდა თუ არა, სურამისკენ მივექანებოდით, ოფახის წევრების ნახ-

ვის მერე, სახლის ტელეფონზე (მაშინ მობილურებიც არა გვერნდა) ზარი ისმოდა ხოლმე.

– სოფი, სალამი, გიო ვარ.

– დღეს კინოს ბალში ვიკრიბებით, თამრიცო მასწავლებელი უნდა ვნახოთ...

– კი, კი, რომელზე, ვიო?

შშშშშშშშშშ

– ალო, ალო, რას სჭირს ამ ტელეფონებს, გიო, ვიღაც ჩაერთო, გავიგე, გაფიგე, მანდ ვარ სამსაათზე.

– ჰომ, არ დააგვიანო, დიტო დღესვე ბრუნდება თბილისში, ხვალ გამოცდა ჰქონია და დღესვე უნდა ვნახოთ თამრიცო მასწავლებელი...

დედაჩემი მელოდებოდა გამზადებული, ბებიასკენ უნდა ჩაგველო,

– დედა, მეგობრებს შევხვდები და მერე საღამოს ბებიასკენ გამოვივლი.

დედას სწყინდა თითქოს ეს ამბავი, მაგრამ მე ზუსტად ვიცოდი, რას ვაკეთებდი...

ბებიაჩემი დამიცდიდა, ჩემს მეგობრებს კი ეჩქარებოდათ, აღმართისკენ გვეჩქარებოდა...

გველოდა მეგობრობა და სიყვარული იმ პატარა აღმართის ავლისას, რომლის ბოლოს ის სახლი იდგა, ჩემი დირექტორი სადაც ცხოვრობდა...

სახლი ძალიან დიდი იყო, დიდი ებოთი, მწვანე ბალანით...

წინ რამდენიმე კიბე ჰქონდა ასავლელი, არც ერთი ჩემი მეგობრარი არ მახსენდება ამ კიბეებზე ნელა ასულიყოს, კუნტრუშით ავირბენდით ხოლმე ამ რვა საფეხურს და

სულ სიხარულით ვაღებდით ჩვენი დირექტორის სახლის კარს...

იქ იწყებოდა დიდი ზემო, სკოლის ამბების – ექსკურსიების, ყველა ჩვენი ცელქობის, ძველი თინეიჯერული შეყვარებულობის ამბების გახსენება.

გრძელ დივანზე ვსხდებოდით, შუაში დიდი კავლის მავიდა იდგა, მაღალ ფეხებზე, ზედ ისე ლამაზად იყო დაყრდნობილი ეს ჩემი სკოლის დირექტორი, რომ თითქოს უფრო ბრწყინვალე ხდებოდა ეს კავლის მავიდა და მეტად ლამაზი...

– აბა, როგორ ხართ? როგორ მოგწონთ სტუდენტობა?

– კარგია, მას, კარგი, უბრალოდ, როცა აღმართისკენ ავლა გვინდა, თქვენი ნახვა,

ეს აღმართი იქ არ არის...

– ლევანი რას შერება, ისევ შეყვარებულია?

– აუ, კი, მას, უფრო მეტად, მარა არაფერი გამოსდის...

ბევრი იცინოდა...

– აღბათ ხმირადაც ვერ ნახულობთ ერთმანეთს, არა?

– ეს შეკოთხვა ჩვენზე ძალიან მოქმედებდა, რადგან მართლაც ასე იყო, რადგან ეს დედაქალაქი იმხელა იყო, რომ ისეთი დიდი სხმირით და აქტიურად ერთმანეთს ვერ ვახულობდით, ზოგი გლდანში ცხოვრობდა, ზოგი ვერაზე, ზოგი თემქაზე და ეს დიდი ქალაქი კიდევ ამის ფუფუნებას არ იძლეოდა, რომ ხმირად გვენახა ერთმანეთი...

წლები გადიოდა, სურამისკენ ჩასვლისას არ არსებოდა, ეს აღმართი არ აგვევლო...

სოფო გოგარაძე

არ გვენახა ჩემი დირექტორი, არ გაგვეხსენებინა ჩვენი ბავშვობა, ჩვენი სკოლა...

ერთ ზამთარსაც ისე მოხდა, რომ ყველას უკვე ოჯახი გვყავდა, აი, სად ყოფილა აღმართი თურმე, ერთხელ გავიჟიქრე, ზუსტად ისეთივე სასიამოვნო აღმართი იყო ეს ოჯახური აღმართი, როგორც ჩემი დირექტორის გზა სახლამდე... მაგრამ არა, ცოტა უფრო ძნელი და მეტი პასუხისმგებლობით სავსე!

თითქმის 40 წელის მიტანებულები გართ ახლა, ყოველ ზაფხულს ვიყრიბებით და ჩვენს ჭალარანარევ დირექტორს ვნახულობთ, მეტად გველამზება და გველამზება ეს ქალი, რადგან მთავარი რაღაცები, რაც ცხოვრებისთვის საჭირო იყო, ძალიან მყარად და საფუძლიანად გვასწავლა...

ჰო, ის არ მითქვამს, რომ თამრიყო მასწავლებელი გერმანული ენის პედაგოგი იყო, იმ რთულ ენასაც გასაწავლიდა თავისი რთული გრამატიკით, ადვილი ხომ არ არის ბავშვებს ასწავლო ასეთი მე- გობრობა და ასეთი რთული ენა... ასეთი რთული დროების სწავლა, წესირი და არაწესირი ზმნები...

Perfekt Präteritum

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვნად მაინც მეგობრობის გამყარება და სწავლა გამოსდიოდა...

სულ ბოლოს, ახლახან ავუარეთ ჩვენს დირექტორს, დიდი სუჟ- რა გაგვიშალა, ღმერთო, რა ბედნიერება იყო, როგორ სათითაოდ ვეფრებოდით და ვემადლიერებოდით, არცერთს, ჩემს სამეგობ- როში ქორწილი მის გარეშე არ გაუკეთებია. გაგივირდება, ჩემო მეითხველო და ეს ყველაფერი ნამდვილი ამბავია...

13 მაისს ყველა ვიკრიბებით ხოლმე, ჩვენს ძალიან საჭირო სამ- სახურებსაც რაღაცნაირად ვაგვარებთ და მის დაბადების დღეზე მივიჩქარით...

უავე 75 წლის გახდა, რანაირად გაგვებარდა ასე? კი არ დაბერდა, უბრალოდ ძალიან გაიზარდა და უფრო დიდი გოგოა, უფრო ლამზია და უფრო კეთილია...

მერე რა, ყოველ მისვლაზე მასთან კიდევ უფრო მეტად ბავშ- ვები ვართ ჩვენ, უფრო პატარები და უფრო მეტად ვიცით მეგობრო- ბის ფასი...

სამოცდათხუთმეტის რომ გახდა, დაბადების დღე ყოფილმა მოსწავლეებმა აღვუნიშნეთ, დამე ეზოში გადავძვერით, ყვავი- ლებით მოვფინეთ მთელი ეზო, მერე ფეიერვერკები გავუშვით და დიდი კალათა გაფუკეთეთ წერილებით სავსე...

ღმერთო, რა ბედნიერი იყო.

აი, ეს არის ცხოვრება! აი, ეს არის მასწავლებლობა, ეს არის გამარჯვება!

ახლა შვებულებებს ველით მე და ჩემი მეგობრები, უკვე დაგეგ- მილი გაქვს ჩვენი მასწავლებლის ნახვა, უკვე ვიცით, რომ ჯერ კინოს ბაღში ვიკრიბებით და მერე

იმ აღმართს უნდა დავადგეთ, ადრე ძალიან ადვილად რომ ავივლიდით ხოლმე...

ამ იმურცი წლის ასაკში, რაცხა, განელდა, კაცო, ეს აღმართი. თამრიყო მასწავლებელი კიდე სულ გვეუბნება, რომ ახლა იწყება ცხოვრება...

ყოველთვის ასე გვეუბნებოდა...

ყველა მრგვალ ასაკში...

20 წელი – დიახ, ახლა იწყება ცხოვრება!

30 წელი – დიახ, ახლა იწყება ცხოვრება!

40 წელი – დიახ, ახლა იწყება ცხოვრება!

თენდება, ტელეფონის ზარია, ახლა მობილურის,

– სოფ, კინოს ბაღში ვართ, გელოდებით...

– აუ, მანქანით ავიდეთ რა, აელა მეზარება აღმართის...

– კაი რაა, ხომ იცი, აღმართს მულამი აქვს...

– ჰო, კარგით, კარგით...

ეზოში თამრიყო მასწავლებელი გველოდა.

თითქოს გადაგვთვლიდა, ხომ ისევ ყველა მივედით მის სანახავად,

მერე თავის თვის ჩაილაპარაკებდა სიტყვებს –:

„ჩავალ ეზოში, გადავხედავ პატარა ბავშვებს.

ცარცით ასფალტზე შემოვნაზაგ დიდ კითხვის ნიშანი?

ამ ყველაფერს რად უნდოდა კითხვის ნიშანი?

ყველაფერი სახეზე იყო-მეგობრობაც, სიყვარულიც.

ჰო, მართლა,

GUTEN MORGEN FREUNDE.





ერის კაშა

სპორტის დღე

ეს რა არის? მეღვიძება და ჩემს საწოლსა და ტუმბოს შორის გამულ ქსელს ვხედავ. მოცუცქნული ობობა დინჯად, მოთმინებით აბამს აბლაბუდას ჩემს თვალწინ. ქსელი ფანჯრიდან შემომავალ შის შუაზე ბრჭყვიალებს. ისევ ძილში ვეფლობი, მაგრამ ჩემი გონება ასე უცბად ვერ სწყდება აბრჭყვიალებულ ქსელს. ვაჲ, ერთ ღამეში რა მაგრად უმუშავია. არადა ზუსტად ვიცი, წინა ღამით, დასაწოლად რომ ვემზადებოდი აქ არანაირი ქსელი არ იყო, არა, ობობაც არ არსებობდა გუშინ. აი, დღეს კი უკვე რა მაგრად მოწყობილა, ხედავ?

ისევ ჩაძინებულს ახლა მეორე ოთახიდან მამაჩემის მაღვიძა-რას ხმა ჩამესმის, მოიცა, კაცო, უკვე აღვომის დრო? მობილურის საათს დავხედე, ჯერ არა, მაგრამ მაინც უნდა ვიჩქარო. დღეს ორშაბათია, სკოლის დღე, აუ, რა მაგრად მეზარება!

მოსაწყინი გაკვეთილებინ და ბოლოდან წასვლაც არ გამოვა, ქართული გვაქს. კარგი რა? ამაზე მაგრა დებილობა რაღა გინდა.

წეტა უფროსებს რატომ ეჩვენებათ ბავშვობის წლები საუკეთე-სოდ?

გადაწყვეტილებებს ხომ სულ თვითონ იღებენ. რამდენი რამ არ შეუძლია ბავშვს, აი, არ მინდა სკოლაში წასვლა, მე კი, სამწუხაროდ, მარტო ვერაფერს წყვეტი. ოჯახური კონსილიუმის გარეშე. რატომ არ შეიძლება უბრალოდ არ წავიდე და მორჩა და კიდევ რამდენი რამ შხოლოდ იმიტომ უნდა გავაკეთო რომ ყველა ასე იქცევა, უჯ, ამაზე ლაპარაკიც კი არ ღირს. აი, სამაგიროდ უფროსებს, განსა-კუთრებით მამებს აქვთ ყველაფრის თავიანთ თავზე მორგების შესაძლებლობა.

აი, ეს ობობა, ის ალბათ ნამდვილად ბედნიერია. ნამდვილად თა-ვის თავის ბატონ-პატრონი, რა კარგია, საქმიანობს თავისთვის. წეტა ობობა ვიყო, გავხამდი ქსელს და ვიცხოვრებდი ჩემთვის რომელიმე მწერის მოლოდინში, არც სკოლა, არც თინა და არც არაფერი.

სულაც არ წავალ დღეს სკოლაში, ვიტყვი რაიმე მიზეზს, ვითომ მუცელი მტკივა ან თავი, ძან არ მიხვდეს თინა, მტკივა თუ არა, მაგრამ დედას ეგრე ვერ მოვატყუებ, ეგრევე მიხვდება. თან ქართულსაც ვერ გავაცდენ, წინა კვირაში არ მელაპარაკა ანა მასი? არა, ტეხავს, უნდა წავიდე. თინას მზრუნველობის ატანას მაინც ხომ სჯობს, კი, კი, თინას ატანას ყველაფერი სჯობს.

1. წეტა, რა ჰქონათ თინასნაირ ქალებს, სულელი, გულუბრუ-ვილი ან იქნებ მთლად დებილი, ჲა? გუშინ კარტში რო მომაგებინა, მართლა ეგონა, რო გამხეარდებოდა? მეც რო თავი გავისულე-ლე, ვითომ ვერ მიგვდი? წეტა, მამაჩემი რით მოხიბლა, თავისი ვარდისფერი ხალათით და ბუმბულიანი ზუსტებით თუ გრძელი ვარდისფერი ფრჩხილებით და სქლად წასმული პომადით? ისე, რაც თავი მახსოვს, დედა არ მინახავს ისე გამოპარანტული, როგორც ეს თავცარიელი დადის სახლში, თანაც სულ ვითომ ბედნიერი და გა-დიმებული. აუ, რა გავა ახლა და მაგის სიფათს რა დაინახავს, არა, უეჭველად სკოლაში წასვლა სჯობს, თინასთან თუნდაც ნახევარი საათის გატარებას, მაგრამ აი, მაშინ დამერხა სკოლაში მანქანით ჩემი მიყვანა თუ აჩემა.

ისე, ეს თინა კაი საუზიმეს ამზადებს ხოლმე. აი, ამისთვის კი ღირს ამათან დარჩენა, წინა კვირაში ლონდონური საუზმით გამიმასპინ-ძლდა, წეტა, დღეს რა არის მენიუში? წეტა, მამაჩემი უკვე წავიდა

სამსახურში? იქნებ მიუუსწრო და ცოტა ფული ვთხოვო. ხო, ავდ-გები და სანამ აპარანში შევალ მამასაც ვნახავ.

ფინანსური მხარის საგრძნობი გაუმჯობესების გზა: უბრალოდ კვირაში ერთი ღამით დარჩით მამასთან და მის აუტანელ ახალ ცოლთან, სულ ესაა!

რა ხალხია ეს უფროსები, ფულით აგვარებენ ყველაფერს, ყოველ შემთხვევაში, ჩემი და გვირგვებით მაინც ყველა, თუმცა არა, დედა არა. დედა პირიქითაა, თითქმის არანაირ მნიშვნელობას არ ანიჭებს ფულს, ისე არც მე, მაგრამ სულ რომ მტკირდება? ნეტა, ანა მასი ფულთან როგორია? ვერ წარმომიდგენია ფულზე გაგიჟებული და შოპინგი დახამებული.

ბუნდოვანი, ძაან ძველი ამბავი მახსენდება: ალბათ პირველ ან მეორე კლაში ვართ, ძალიან ცივა და წვიმს, რატომდაც ანა მასი მთელს კლასს პატარა ავტობუსი გვერეცება და სიას კითხულობს, რწმუნდება, რომ ყველანი აქ ვართ. აი, ავტობუსი იძვრება, ის კი ისევ აჩერებს, ჩარბის და ტროტუარზე რომელიღაც შენობის კედელთან საწყლად ატუზულ მოხუცს ხელში რაღაცას აჩერებს, ალბათ ფულია. მე დაორთქლილ მინას ხელით ვწმენდ, ვხედავ ანა მასს, კმაყოფილი გამომეტყველებით, ისევ ავტობუსისკენ მორბის. ქოლგა არ აქვს, სულ გალუმეულა. ვედარ ვისხენბ, სად ვიყავით იმ დღეს კლასი, ან რა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ მაგრად დამაინტერე-სა უცბად, ვკითხავ ანა მასს, თუ ახსოეს.

ამასობაში ჩემი გაბურგნილი თმები შამპუნის ქაფის წყალობით ულამაზეს ვარცხნილობად გადაქცეულა. შხაპის ქვეშ ვნებივ-რობ, ჯერ არ მეჩერება, ვლილნებ:

Rumble on
and now is the time, the time is now

To sing my song...

ეს სიმღერა მიყვარს, ერთხელ დედაჩემს ვთხოვე, თავისი გემოვნებით ერთი სიმღერა და ემატებინა ჩემი ფლეილისტის თვის და ეს დამატა.

თვალებს ქზუჭავ და წარმოვიდგენ ამათ სამზარეულოს და როგორ ამზადებს თინა თავისი დრაკონს ფრჩხილებით რამე გემრიელს, თითქოს სუსაც ვგრძნობ, ძალიან შშივდება. დარწმუნებული ვარ, რამე ამერიკულ სტილში იქნება, პატარა ბლინები ჯემით ან ტოსტი ბევრი ყველით და რაღა თქმა უნდა, ბროწეულის ან ფურორობლის ფრეში არჩევით.

ანა მასი რომ ყოფილიყო თინას ადგილას...

ნეტა, როგორ საუმეს ამზადებს ანა მასი? ანა მასი რომ ყოფილიყო თინას ადგილას



აი, ახლი წლის დღეებში რომ შემხვდა ანა მასი სუპერმარკეტში, ჯინსით, არც ისე ახალი, თასმებგახსნილი ბათინკით და დაუჯვე-

რებლად არეული თმებით, მისი ყოველდღიურობა მხოლოდ ასე თუ წარმომიდგენია. თუმცა სკოლის გარეთ მხოლოდ იმ ერთხელ ვნახე. თვითონაც შეიშმიუშნა, არა, კი გაუხარდა, გამიღმა კიდეც, ნამდვილი ღიმილით, მაგრამ ალბათ მაინც ერჩივნა, მოსწავლეს ასეთ ფორმაში არასოდეს ენეხა. მაგ სტილში ექნება სახლშიც ყველაფერი, რატომდაც ასე მგონია, ცოტა არეული, უწესრიგო, მაგრამ სუვთა, როგორც დედას.

ეჰ, თინა რომ ანა იყოს, შეიძლება საშინლად ამზადებდეს, ყოველ კვირა ან ყოველ დღე შოპინგზე არ დადიოდეს, არც მანქანა ჰყავდეს და ასეც არის, მაგრამ მაინც, რა მაგარია, როცა გვერდით ნამდვილი ადამიანი გყავს და არა გაღიმებული თოჯინა. ნეტა, მამა რით მოხიბლა თინაშ? ნეტა, მამა რით მოხიბლა თინამ? ნეტა, დედას როგორ ურჩევნია, თინა თინა იყოს თუ ანა მასი?

ალბათ დედას არაფერიც არ ურჩევნია სულ გადალლის, მთავარია, კარგად გამოიძინოს დამლელი სამსახურის წინ. ისე, ერთხელ მაინც როგორ არ წამოსცდა რამე ამ თინაზე, ან მამაჩემზე - ამ უტონობზე. ჩემთან არა, კაცო, მეგობრებთან მაინც, იმ დღეს ლაზა რომ ეუბნებოდა, თინა სალონში შემხვდა უმავისულ და დაუვარცხნელი, საშინელება იყოო. სახეზეც არაფერი შესტყობია, ეტყობა მართლა კიდია, ან ეგვეთია, არ იმჩნევს. ან იმდენი იფიქრა, ჩემთვის ეს ამზაგი სტრესული არ ყოფილიყო, იმდენი იწვალა ამისთვის, საბოლოოდ, თვითოთერაპია გამოუიდა.

ჩემი ტვინი თითქოს ამ დილით ნანახი ობობას ქსელის ხვეულებს მპაყვება და ვედარ ჩერდება. პირველ სანებში დედაჩემისთვის დღე-ღამე, მთელი კვირა ანდაც მთელი თვე, ერთი დაუსრულებელი ცვლი იყო, დროის შეგრძნება დაკარგა და სამსახურიდან შევეულებაც რომ დაუმტავრდა, მერეც, კარგა ხანს, არც წვებოდა ლოგინში, დილით პირდაპირ სამსახურში მიღიოდა. ზაფხული იყო და მთელ ღამეებს აივანზე ატარებდა, ეწეოდა და სალოტებს თამაშობდა. დღემდე არ ვიღია პარაკანია ამზე. ალბათ ჰერინია, რომ არ ვიცი. სახლში ამ დროს დედაჩემი ფუსფუსებდა, ის ალაგებდა და საჭმელსაც გვიმზადებდა, მართალია, კვირაში ორჯერ ან სამჯერ მოდიოდა, სამაგიეროდ სამივე ერთად ვიციოდით და ეს დღეები სხვა დღეებს არ ჰერინია. მერე დიდი ნინით წავიდა პორტუგალიაში, ჩევნ დავრჩით ისევ მოწყენილები.

მართალია, დედა ძალიან იტანვებოდა, მაგრამ ცდილობდა, ჩემთვის ეს არ ენახებინა, მეც როგორც შემეძლო ისე ვიკატუნებდი თავს, რომ ყველაფერი რაც ჩვენს თავს ხდება, ჩვეულებრივია და არაფერი განსაკუთრებული ამაში არ არის.

პირველად რომ გავიგე, ეგრევე გული ამერია, მერეც მთელი თვე გულისრევის შეგრძნება ვერ მოვიშიორე. მამა სახლიდან წავიდა და თავის ნაშასთან აგრძელებს ცხოვრებას, ახლა უკვე ცოლთან, ფუ.

ერთ ძალიან ჩვეულებრივ, არაფრით გამორჩეულ დღეს, სულ რაღაც ორი-სამი თვის შემდეგ რაც მამა ჩვენგან წავიდა, მათემა-ტივის გაკვეთილზე უეცრად წმოვხტი და წამოვიყვირე: - მე როი

მარიამ კაშია

დედა მყავს! – მახსოვს სიჩუმე და ჩემკენ მობრუნებული სახეები. გოგი მასიც, ცარცი ხელში რომ გაუშეშდა და ნელ-ნელა შემობრუნდა, მერე ისეთი თვალებით შემომხედა, უსიტყვოდ დავჯექი და მთელი დღე სანამ დედამ არ მომაკითხა, ჩემს ადგილს არ მოვშორებივარ. დიდ დასვენებაზე ანა მასმა სცადა რაღაცის თქმა, თან თავზე ხელს მისვამდა, მაგრამ ყურებში გაბმული ზუზუნის გარდა არაფერი მესმოდა. ანა მასი მიხვდა და თავი დამანება, თუმცა ჩემკენ მომართულ შზერას დროდადრო ვგრძნობდი. წინა დღეს თინა გავიცან.

დედამ რომ მომაკითხა, უკვე იცოდა. ანა მასი ჰყავდა გაფრთხილებული: ჩემს თავს ასეთი ამბავია და არ მინდა, რამე გამომეპაროსო. მავდონალდში წავედით და ღია ადგილზე დაესხედით, დედა ძალიან ნაღვლიანი იყო, მე დაცარიელებული, ორივეს ძალიან გვიჭირდა, ერთმანეთის გამნევება კი ვერ შევძლით. სამაგიეროდ, საღამოს დარეკა ანა მასმა და მასთან საუბრის შემდევ დედა თითქოს გამნიარულებული მეჩვენა. ულაპარაკოდ ვიმეცადინე უველა გაცვეთილი და უხალისოდ დაგიწყე მარველის რომელიღაც ფილმის ყურება, ჩემდა გასაკირად კარგად შემიყოლია, მალე დედაც შემომიერთდა და 10 წუთის მერე უკვე ერთად ვიცინოდით. რა კარგია, ასეთი დედა რომ მყავს.

იმ დღის შემდევ დედამ ახალი სტრატეგია შეიმუშავა. სახლში ნაკლებად ვიყავით, სამსახურიდან სკოლაში რომ გამომივლიდა, აუცილებლად საღდე უნდა გავევლო. სულერთია, მარკეტში, ტანსაცმლის მაღაზიაში, კაფეში, ვინმესთან სტუმრად ან ქუჩებში უმიზნოდ დავდიოდით და უბრალოდ, დრო გაგვიავდა. ამის გამო სახლში დაქანცული ვბრუნდებოდით, სამაგიეროდ, იმ სიცარიელეს, რომელიც მამამ დატოვა, ვეღარ აღვიქვამდით, ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასე მეჩვენებოდა, ალბათ დედასაც.

მაგ დროს გადავწყვიტე, რომ მაღალ კლასებში აუცილებლად მეცნებოდა მინიმუმ ერთი ტატუ და პირსინგებიც, თუ მომინდებოდა. ეს აბრი მხოლოდ მარის გავუშეილე. ჯერ მიმტკიცებდა, მაგ ასკში ვერც ერთს ვერ გაიკუთხო, მერე მთელ კლასს მოსდომ, მე კაისე გავმწარდი, ვეცი და მთელი ბლუზა თმა მოვაგლიჯე. მეგონა, ამ ჩხების შემდევ გამარჯვობასაც აღარ ვეტყოდით ერთმანეთს, მაგრამ ანა მასმა მიახერხა და დღემდე მეგობრები ვართ, თანაც საუკეთესო. უკვე ერთი ტატუ მაქვს თეძიზე და პირსინგიც წარჩინება. მგონი მეტს აღარ ვაპირებ. სხვათა შორის, მარიმაც მომბაძა და კოჭთან ტატუ გაიკუთა, ოღონდ დედამისს მთელი წელი ერთი ერთი ჩამოსახულის გადასაცავის გადასაცავი.

აბანიდან საძინებლისკენ მომავალს, პირსახოცშემოქვეულს თინა ამედევნა. აუ, რამდენს ლაპარაკობს ეს ბატი, მეუბნება, შენ-ნაირი ფეხები რომ მქონდეს ან მეტდი, შევაშლებოდიო. რა უნდა ჩემგან, მომასვენოს, რა ტვინი წამილო, არ ვიცი, როგორ მოვიშორო თავიდან, ძირს ვიხედები და მის ბუმბულიან ოთახის ჩუსტებზე საშინლად მაურიალებს.

– ნუ მაღავ შენს სხეულს, როდემდე უნდა იარო ამ ჯინსით და ფართო მაისურით, – მეუბნება ის.

უაბროდ შევყურებ და საერთოდ ვერ გამიგია, რა მისი საქმეა, რას ჩავიცვამ, მაგრამ იმდენად მეიდია, არაფერს ვეუბნები და თმის შშრალებას ვაგრძელებ. ხვდება, რომ ჩემს სივრცეში იჭრება და არც ისე ხალისით გადის ოთახიდან, რომელიც სპეციალურად ჩემთვის მოაწყვეს მამამ და თინამ, თავიანთ აზალ სახლში. როგორი დავალებული ვარ!

– მალე გამოდი სამზარეულოში, უკვე რვა გახდა, მე წაგიყვან სკოლაში. – შემომძახა უკვე ოთახიდან გასულმა.

ვდგავარ, თმას ვამშრალებ, თვალი მიშტერდება საწოლსა და ტუმბოს შორის გაბმულ ქსელზე და ისევ საკუთარი ცხოვრების ქსელში ვიბლართები.

მარის ამბებიდან ორი დღის შემდევ ანა მასმა მთხოვა, გაცვე-თილების შემდევ დავლოდებოდი, მეც, რა თქმა უნდა, დაველოდე. დერეფანში ვიდექით, ჯერ ცოტა ხანს მიყურა, მერე მომიახლოვდა, მხარზე თავისი შეუბუქი ხელი დამადო და მითხრა:

– იცი? ელენე, შენზე ვნერვიულობ. – ვიცი, მას, მაპატიეთ.

ანა მასმა ხელი გამიშვა, თავი ზემოთ ამიწია, თვითონ დაიხარა და ძალიან დაბალი ხმით მითხრა:

– ყოველთვის შეგიძლია მოხვიდე ჩემთან და ნებისმიერ საკითხზე დამელაპარაკო. – ახლა კი ერთი რჩევა უნდა გაკითხო:

მეცრა შტრერ ვიყავი, მთელი სერიოზულობით ვუთხარი:

– გისმენთ, მას!

მესინჯერში ალექსანდრეს შეტყობინებაა, მწერს, სკოლაში ერთად წავიდეთო, აქვე ცხოვრობს, გამიმართლა. იცის, რომ მამასთან დავრჩი.

აუ, ეს ბატი როგორ მოვიშორო თორე კი. ალექსანდრეს ვწერ, რომ იც წუთში სადარბაზისთან მოვიდეს, გჩერება მაინც აქეთა.

ჩქარ-ჩქარა ვჭამ და თან თინას თავიდან მოშორების მცდელობას ხელს არ ვაკლებ. როგორც იქნა, დამეხსნა. ხო, მართლა, საუზმე: ფორთოხლის ფრეში და ყველიანი სენდფიჩები. გამოვიცანი, ნამდვილი – რა ჰქვია იმას? ხო, ვანგა ვარ.

ალექსანდრეზე მეფიზირება, უცნაურად იქცევა ამ ბოლო დროს, ადრე ერთად ვთამაშობდით ქსელში, ვჩერება მაინც აქეთა. მე თურამეს მივწერ, პასუხს მწერს, მაგრამ ორი სიტყვით და აღარც სკოლაში მელაპარაკება დიდად. გასაკირადა, დღეს რომ მოინდომა ჩემთან ერთად წამოსვლა.

ავტობუსში ესხედვართ მე და ალექსანდრე. ჩვენ წინ მჯდომ ტრას პატარა ლეკვი ჰყავს ხელში, ლეკვი ვეფერები, ისიც იტრუნება. მერე ალექსანდრეს გავხედავ და ძალიან დაძაბული მეუბნებაა, ხელს ვკიდებ და ვეუბნები – წამო, ჩავდივართ.

სკოლამდე ხელჩავიდულები მივდივართ, არც ერთი არ ვუყურებთ ერთმანეთს, არც ხელს ვუშვებთ. კარგი შეგრძნებაა. ხალხი რატომდაც თვალს გვაყოლებს. მე მისამოვნებს, ალექსანდრეს – არ ვიცი.

შესასვლელთან ანა მასი გვხვდება, ხელს გვიქნევს და ოდნავ ელიმება ჩვენი დანახვისას. ალექსანდრე ხელს მიშვებს და კარგა


მანძილით მასწრებს. მე ეგრე არ მეჩეარება, პირველი სპორტი გვაქვს, დღეს მგონი კალათბურთის დღეა და ძალიან მეზარება. ზობინით მიუყვები კიბეს, გონიერები ისევ ჩემს ადრინდელ ამბებს დავტრიალებ.

ანა მასს გუსმენ სულგანაბული, მიკვირს და მაინტერესებს, რა უნდა მითხრას. ის კი მეუბნება:

- მარწყვის რძე გირჩევნია, თუ შოკოლადის? – შოკოლადის,
 - ვპასუხობ გაოცებული.
- ის იღმის და ცოტა ხანში სკოლის ბუფეტიდან ორი ცალი შოკოლადის რძე მოაქვს, მერე სკოლის გარეთ მოაჯირზე ვსწედვართ, ფეხებს ვაქანავებთ და შოკოლადის რძეს ვსვამთ. ანა მასი გამოცანას მეუბნება, თუ გამოვიცნობ, შემდეგი მე უნდა მოვიფიქრო. ძალიან მაგარი შეგრძნებაა, იმაზე მეტი ვარ, ვიღრე ნერვებმოშლილი, მამისგან მიტოვებული ბავშვი, ჩემი მასწავლებელი ჩემთან ერთად არის. არც ძალიან მივავრდება. ჩემი ესმის. ცივი დღეა, მაგრამ შიანი, ყველაფერი კარგადაა.

ასე ვისხედით, სანამ დედა არ მოვიდა, საკმაოდ დააგვიანა იმ დღეს. კიდევ კარგი, რომ დააგვიანა. მამას წასვლის შემდეგ პირველად ვიგრძენი ასეთი სიმსუბუქე.





ძვირფასო მასწავლებლებო!
ეურნალი „მასწავლებელი“ და ინტერნეტგაზეთი „Mastsavlebeli.ge“ შარმოგიღენთ

მასწავლებლის წიგნს:
„პვლევაზე დაფუძნებული სწავლება“



17

მასწავლებლის წიგნი

პვლევაზე
დაფუძნებული
სწავლება



მასნაბლიერთა
გროვების
მაციტარების
მრთველი
ცენტრი



mastsavlebeli.ge

კონკურსის პარტნიორი

ექიმთი

ლითენაზორული კონკურსის მხარდამშვიდი



www.chemistry.ge



სალაპარის
გამომცემობა

WWW.TPDC.GE